

Ḡmaby
Ḡm n r d a m ḡ ḡ m n

Ḡddhdeḡ
Ḡzboḡmbn

საქართველოს მშენებლობის კავშირთან
არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
შრომებთან მთავარი სარედაქციო კოლეგია

9/31



Franz Grillparzer

Der arme Spielmann

Ins Georgische übersetzt
eingeleitet und kommentiert
von Viktor Rachtiaschwili

VERLAC „SABTSCHOTA SAKARTWELO“. TBILISSI 1983

ფრანს ბრეძანყნი

დღეობა და მკვლელობა

ბრეძანყნი თანგძნა
ნინასიყაჯობა და მკვლელობა
დაუწით ვიქტორ კახნიძე

ბამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი 1983

И (Австр)

83—3

8 892

Franz Grillparzer

Der arme Spielmann

Das Kloster bei Sandomir

Wilhelm Goldman Verlag

München.

გამოჩენილმა ავსტრიელმა დრამატურგმა, პოეტმა და პროზაიკოსმა ფრანც გრილპარცერმა ორად ორი ნოველა დაწერა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ავსტრიულ ნოველისტიკას და ხელი შეუწყო მის შემდგომ განვითარებას. თუ „სანდომირის მონასტერში“ ავტორი რომანტიკულ ფერებში გვიხატავს სიწმინდისა და სამართლიანობისთვის ჩადენილ შურისძიებას, „საბრალო მუსიკოსში“ მეოცნებე მუსიკოსის ცხოვრების აღწერითა და მუსიკის გაიდუალებით იგი რეალისტური პროზის ერთ-ერთ უბადლო ოსტატად გვევლინება.

70304—123

Г ————— 395—83

M 601(08) — 83

© ქართული თარგმანი, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983

წიგანს იტყვასოგა

გრილპარცერი მეტისმეტად დარბაისელი და ბუნებრივი პოეტური ტალანტით დაჯილდოებული კაცია.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე.

ფრანც გრილპარცერის დრამატული პიესის „საფოს“ წარმატებით მოხიბლულ ბაირონს უთქვამს: ამ ავტორს საკმაოდ ძნელად წარმოსათქმელი გვარი აქვს, მაგრამ მერწმუნეთ, მსოფლიო მალე კარგად დაიმახსოვრებსო.

გერმანული რომანტიზმის, კლასიციზმისა და სანტიმენტალიზმის, გოეთეს ანტიკური ტრაგედიებისა და შილერის ისტორიული დრამების გავლენით, მაგრამ ავსტრიის მაშინდელ ცხოვრებაზე დაყრდნობით შექმნილმა ნაწარმოებებმა, ლირიკულმა შედეგებმა და ეპიგრამებმა ფრანც გრილპარცერს ავსტრიული ლიტერატურის პირველი კლასიკოსისა და მსოფლიოს უდიდესი დრამატურგის სახელი მოუპოვა.

გამოჩენილი დრამატურგი, პროზაიკოსი და ლირიკოსი, ავსტრიული ლიტერატურის მამამთავარი ფრანც გრილპარცერი დაიბადა 1791 წლის 15 იანვარს, ვენაში. მამამისი, ცნობილი ვენელი ვეჟილი, დოქტორი ვენცელ გრილპარცერი მაღალ საზოგადოებაში მიღებული და გავლენიანი კაცი იყო. დედამ — მარია ანა ზონლაითერმა გულკეთილობა, გრძნობიერება, პოეტური განწყობილება და მუსიკის სიყვარული, როგორც ეტყობა, უხვად დააბედა სიყრმის შვილს. წმინდა ანას გიმნაზიის დასრულების შემდეგ ჯერ ფილოსოფიას სწავლობდა, 1811 წელს კი ვენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. ბედნიერი ბავშვობა 1809 წელს მამის გარდაცვალებამ ჩაუ-

მწარე. პირად უბედურებას სამშობლოს ბედუკუღმართობაც დაემატა. 1809 წელს ნაპოლეონის ჯარებმა ავსტრია უბრძოლველად ჩაიგდეს ხელში. ამ ამბავმა მომავალი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას სამუდამო დადი დააჩნია. ლექსებისა და დრამების წერა ჭაბუკობაშივე დაიწყო, მაგრამ მორიდებულმა და თვითკრიტიკულად განწყობილმა ახალგაზრდამ გვიან გაამეღოვნა გულისნადები. ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია მისი ნიჭის თაყვანისმცემელმა უფროსმა მეგობარმა, აღიარებულმა პროზაიკოსმა, დრამატურგმა და მთარგმნელმა იოზეფ შრაიფოველმა (1768—1832). 1815 წლიდან ფინანსთა სამინისტროში მსახურობს, 1818-23 წლებში ვენის თეატრის თანამშრომელია, 1832-56 წლებში კი კვლავ ფინანსთა სამინისტროს არქივის დირექტორი. 1819 წელს მოულოდნელად დედა გარდაეცვალა. ცხოვრებაზე გულაყრილი მარტოხელა პოეტი (სიცოცხლის მანძილზე მეგობრობდა კათარინა ფრიოლიხს, მემკვიდრეობაც მას უანდერძა, მაგრამ ცოლად არ შეუერთავს) ამ დროიდან მოყოლებული ხშირად მოგზაურობს იტალიაში, გერმანიაში, ინგლისში, თურქეთში, საბერძნეთსა და საფრანგეთში. უკვე აღიარებული და პოპულარული დრამატურგი დრეზდენში ხვდება ლუდვიგ ტიკს, ბერლინში — ადელბერტ ფონ შამისოს, რაჰელ ვარნჰაგენს, ჰეგელს, ვაიმარში — გოეთეს, პარიზში — ჰაინრიხ ჰაინესსა და ლუდვიგ ბიორნეს.

დიდად განათლებული და მებრძოლი სულის პოეტი ვერ ეჯუება ავსტრიის სახელმწიფო კანცლერის კლემენს მეტერნიხის (1773-1859) რეაქციულ პოლიტიკას, რომელიც „საღვთო კავშირის“ ცხოვრებაში გატარებითა და პოლიციური რეჟიმის განმტკიცებით ცდილობდა ქვეყანაში ფეოდალურ-აბსოლუტისტური სული შეენარჩუნებინა, მაგრამ „მეტერნიხის სისტემამ“ (მაშინდელი ცნობილი გამოთქმაა), მისმა სულისშემხუთველმა პოლიტიკამ ველარაფერი გააწყო: ავსტრიასა და თითქმის მთელ

ევროპაში მომხდარმა ისტორიულმა ძვრებმა, ნაპოლეონის ჯართან გამარჯვებამ ძველებურად წელში გამართა სახელმწიფო და ხალხი, ხელახლა ააღორძინა დაცემული ავსტრია. ძღვეამოსილი და აყვავებული ავსტრიის დაცემასა და აღზევებას კვლავ მოესწრო პოეტი. პატრიოტული თვითშეგნებისა და ეროვნული თვითშემეცნების დავიწყება გამოფხიზლებული და აღმდგარი ხალხისათვის უკვე შეუძლებელი იყო. იმდროინდელ იდუმალებით მოცულ ავსტრიას, რომელიც ათეული წლების მანძილზე მოწყვეტილი იყო ევროპას, ფრიდრიხ ენგელსმა სწორედ ამიტომ უწოდა „ევროპის ჩინეთი“. მართალია, ავსტრიამ გარეშე მტრებზე გაიმარჯვა, მაგრამ მეტერნიხი მკაცრად ილაშქრებდა ყოველგვარი ეროვნულისა და პატრიოტულის წინააღმდეგ, გაუბოდა, ჩქმალავდა და აკნინებდა ფრანგულ რევოლუციურ სულს, ავსტრიელთა პატრიოტულ გამოვლინებას, საკუთარი ქვეყნის ისტორიას, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს. საგარეო საქმეები კი მოაგვარა, მაგრამ მრისხანე კანცლერს ახლა შინაურ მტრებთან გამკლავება უჭირდა. გრილპარცერი ვერ ეგუებოდა მეტერნიხის რეაქციულ რეჟიმს და მუდმივი დავა ჰქონდა ცენზურასთან, თუმცა აშკარა პოლიტიკურ ბრძოლას არ უცხადებდა...

სახელგანთქმული მწერალი 1847 წელს ვენის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს, 1856 წელს სახელმწიფო მრჩევლად, 1859 წელს ვენისა და ლაიფციგის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად, 1864 წელს ქალაქ ვენის საპატიო მოქალაქეობა უბოძეს. 1871 წელს მხცოვან მწერალს 80 წლის იუბილე გადაუხადეს. ფრანც გრილპარცერი გარდაიცვალა ვენაში 1872 წლის 21 იანვარს და იქვეა დაკრძალული.

1875 წელს ვენის მეცნიერებათა აკადემიამ დააარსა გრილპარცერის სახელობის პრემია, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ ენიჭება ავსტრიელ და გერმანელ ავტორებს ავსტრიის

თეატრის სცენაზე განსახიერებული საუკეთესო პიესებისათვის. აღნიშნული პრემია სხვადასხვა დროს დაიმსახურეს გამოჩენილმა დრამატურგებმა ადოლფ ვილბრანდტმა, ლუდვიგ ანცენგრუბერმა, გერჰარტ ჰაუპტმანმა, ოტო ერიჰ ჰარტლებენმა, არტურ შნიტცლერმა და სხვებმა. 1889 წელს ვენის სახალხო ბაღში დაიდგა დიდი დრამატურგის ძეგლი, ხოლო 1890 წელს დაფუძნდა „გრილპარცერის საზოგადოება“, რომლის მიერ გამოქვეყნებულ „წელიწდეულში“ სისტემატურად იბეჭდება საინტერესო გამოკვლევები და სტატიები ზოგორც უახლეს ავსტრიულ ლიტერატურულ პრობლემებზე, ისე თვით ფრანც გრილპარცერის შემოქმედების ცალკეულ საკვანძო საკითხებზე.

ფრანც გრილპარცერს, ვისი ლირიკული შედეგებიც „გერმანული პოეზიის ბრწყინვალე მარგალიტებად“ (ადალბერტ შტიფტერი) მიიჩნევა, სულ ცოტა, ერთი საუკუნე მაინც „დააგვიანდა“ საქართველოში. ამიტომ, ვეცდებით, მისი მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედებიდან, რაც შეიძლება მოკლედ, ქართველი მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ მხოლოდ და მხოლოდ საქვეყნოდ აღიარებულ რამდენიმე დრამატულ ნაწარმოებზე.

პირველი პიესა, რომლითაც 26 წლის გრილპარცერმა სახელი მოიხვეჭა, იყო რომანტიკული ტრაგედია „წინაპარი ქალი.“ დრამატული პოემა იწერებოდა ნაპოლეონის დაცემის, ავსტრიის აღორძინებისა და ფეოდალური რეაქციის გამარჯვების წლებში. 1817 წელს ვენის თეატრის სცენაზე განხორციელებულმა დადგმამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მანამდე უცნობი ავტორი ერთბაშად ყველასთვის ახლობელი გახდა. ულამაზეს ბერტას, მისი შეყვარებული იარომირისა და ბერტას მამის — გრაფ ბოროტინის მონოლოგებში ნათლად გამოჩნდა დრამატურგის

იდეურ-ფილოსოფიური ჩანაფიქრი, მშობლიური ხალხის ბედით დაინტერესებული და შეშფოთებული ახალგაზრდა შემოქმედის ხვაშიადი, იღუმალი აზრები, გაბედული ხმა. გრილპარცერი შეეცადა „ბედისწერის ტრაგედიის“ შტამპების დაძლევასა და თანადროული ავსტრიის შესაფერი ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოების შექმნას, რაც ნაწილობრივ შეძლო კიდეც. ამიტომაცაა, მებრძოლი სულით გაუღენთილ ამ ტრაგედიას ლიტერატურათმცოდნეები ხშირად შილერის „ყაჩაღებს“ რომ აღარებენ.

ალექსანდრ ბლოკმა ეს პიესა თარგმნა რუსეთის შავბნელი რეაქციის წლებში (1908). წამძღვარებულ მოკლე წინასიტყვაობაში იგი წერს: „წინაპარი ქალი“ „ოიდიპოსივითა“ და „მაკბეტივით“ არამარადიული, მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტიმური ტრაგედიაა; მთრთოლვარებასა და სიცინცხალეს იგი მანამ შემოინახავს, სანამ ბედკრულ კაცობრიობას იმ ჭირვარამის გადატანა უწერია, რაც გრილპარცერმა ავად თუ კარგად უკვე გადაიტანა და რისი გადატანაც ახლა ჩვენ მოგველის მომავალში“.

გრილპარცერმა 1817 წელს დაწერა ტრაგედია „საფო“, რომელიც ერთი წლის შემდეგ დაიდგა ვენის თეატრის სცენაზე. „წინაპარი ქალისგან“ განსხვავებით, დრამატურგი თანამედროვეობას განერიდა და სამოქმედო ასპარეზად მუზათა და თავისუფალ, შეუზღუდავ, ლალ შემოქმედთა ადგილსამყოფელი — ელადა აირჩია. ჭაბუკი ფაონის სახით, ვინც ვერ თანაუგრძნობს ზეგარდმო ნიჭით ცხებულ პოეტს, არათუ არ იტაცებს, არ აღელვებს, არამედ შიშსაც კი გვრის საფოს ძალდატანებითი ტრფობა, მწერალმა გვიჩვენა გენიოსსა და ჩვეულებრივ ადამიანს, „ხელოვნებასა“ და „ცხოვრებას“ შორის ურთიერთდამოკიდებულება. საკმარისია ბაირონის დღიური მოვიშველიოთ, რათა დიდებული პოეტის აღფრთოვანება ჩვენც გადმოგვედოს:

„ტრაგედია „საფო“ ლეთაებრივია!.. ავტორის სახელი ალბათ საუკუნეებს გადაეცემა. მე მას არ ვიცნობ, მაგრამ ჭეშმარიტად დიდი ნიჭის პატრონი უნდა იყოს!“

გრილპარცერის სიდიადე ისაა, რომ მას ეპოქის თითქმის არც ერთი საჭირობოროტო საკითხი უპასუხოდ, უმოქმედოდ არ დაუტოვებია.

„მეფე ოტოკარის ბედნიერება და აღსასრული“ (1825), რომელიც ისტორიულად მე-13 საუკუნეს ეხება, სინამდვილეში XIX საუკუნის 20-იანი წლების სინამდვილეს ასახავს. თანამედროვეთათვის, რა თქმა უნდა, ძნელი გამოსაცნობი არ იყო, ტირანისა და ანტიჰუმანისტის — მეფე ოტოკარის სახეში ავტორი ნაპოლეონს რომ გულისხმობდა.

ლირიკულ ტრაგედიაში „ზღვისა და სიყვარულის ტალღები“ (1831) მწერალმა აშკარა ბრძოლა გამოუცხადა რელიგიასა და ასკეტიზმს. თუ შილერის ბალადაში „ჰერო და ლეანდრე“ საბოლოოდ ამალღებული და ყოვლისმძლე სიყვარული იმარჯვებს, ამ პიესაში გამოყვანილი ჰერო და ლეანდრე რელიგიის მსხვერპლნი ხდებიან.

დრამატურგიულ ზღაპარ-პოემაში „ცხოვრება სიზმარია“ (1834), ავტორი ქრისტიანული მოძღვრებით განმსჭვალულ ლოპე დე ვეგასა და კალდერონის ამავე სახელწოდების კომედიებს ძალაუფლების მოყვარულ გმირსა და მყუდრო ოჯახურ ცხოვრებას უპირისპირებს.

გრილპარცერის მდიდარ დრამატულ ნაწარმოებთაგან გვინდა გამოვყოთ აგრეთვე მწერლის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი და დაუდგმელი პიესები: „ტოლედოელი ებრაელი ქალი,“ რომლის მთავარი გმირი ესპანეთის მეფე ალფონსო ქვეყნის წინაშე ვალის მოხდის მიზნით ზურგს შეაქცევს თავის საყვარელ რაქელს, და „ლიბუშა“, დრამატურგის ოცნებით შექმნილი უტოპიური ქვეყანა, სადაც გულახდილობა, პატიოსნება, პირ-

დაპირობა, მეგობრობა, კაცთმოყვარეობა, სამართლიანობა და სიყვარულია გაბატონებული.

ახლა გვსურს შედარებით ვრცლად განვიხილოთ გრილპარცერის მიერ ქართულ თემაზე, უფრო ზუსტად, ქართულ-ბერძნულ ურთიერთობაზე დაწერილი ტრილოგია „ოქროს საწმისი“ (1821).

თქმულებები არგონავტებზე, მითები და ლეგენდები ოქროს საწმისზე, ისტორიულ-მითოლოგიური ამბები კოლხეთზე, დაუშრეტელი ფანტაზია უმშვენიერეს, ჯადოქარ, გონიერ, მოხერხებულ და მოსიყვარულე კოლხ ასულ მედეაზე მარადიული თემა იყო და ალბათ მომავალშიც ასე იქნება მსოფლიო ხელოვნებაში. დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია მეორე მხატვრული სახე, რომელსაც მედეას მსგავსი გავრცელება და გარდასახვა განეცადოს. ევრიპიდეს გამონაგონმა, მითიდან გადახვევამ და მედეას სახეცვლილებამ, იაზონისა და მედეას ტრაგიკულმა ბედისწერამ არგონავტიკა მოარულ თემად აქცია მსოფლიო ლიტერატურაში. ბერძენი და რომაელი სიტყვის გამოჩენილი ოსტატების შემდეგ, ეს თემა, ჩვენი აზრით, ყველაზე ფართოდ გერმანელმა მწერლებმა და მთარგმნელებმა გამოიყენეს.

ოქროს საწმისის იდუმალებით მოცულ სანუკვარ განძზე, არგონავტთა მოგზაურობასა და თავგადასავალზე, მეფე აიეტის გმირობასა და ვაჟკაცობაზე, იაზონისა და მედეას ბედუკულ-მართობაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, რომელთაგან ფრანც გრილპარცერის „ოქროს საწმისი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია.

წინამორბედ ავტორთაგან განსხვავებით გრილპარცერმა საკმაოდ ორიგინალური გზა აირჩია. ჩანაფიქრი ასეთი ჰქონდა:

მისი დრამატული პიესა არც მითსა და არც ევრიპიდეს ტრაგედიას კვალდაკვალ არ უნდა გაჰყოლოდა. როგორც მწერალი ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, დრამის პირველი და მეორე ნაწილები — „კეთილი სტუმარი“ და „არგონავტები“ — მკითხველთა და მსმენელთათვის ისეთნაირად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ მათთვის ნათელი ყოფილიყო ადრე მომხდარი ამბავი. ეს თავისებური შემზადება იყო იმ დიდი და საშინელი ტრაგედიისათვის, რომელიც პიესის მესამე ნაწილში — „მედეაში“ ხდება.

გრილპარცერმა მითებსა და მრავალრიცხოვან წყაროებში მოცემულ მედეას სახეს სხვა თვისებებიც მიუმატა. „კეთილ სტუმარში“ მედეა ქალღმერთ არტემიდესავით მამაც მონადირედაა გამოყვანილი, რომლის მიერ მოკლული შველი მდედრობითი სქესის ღვთაებას — დარიმბას ეწირება. ეს დრამატურგის მიგნებაა, რომლითაც ავტორმა თავიდანვე ხაზი გაუსვა მედეას ზვიადობას, თავისუფლებისმოყვარეობას, ზედმეტ ამპარტავნობასაც კი. აქ კარგად ჩანს ქალწულის უზრუნველი ცხოვრება და მამრობითისადმი ერთგვარი მტრული დამოკიდებულება. ეს უფრო ნათლად დასტურდება, როცა ძიძის ქალიშვილს, რომელსაც მწყემსი შეუყვარდა და გადაწყვიტა თავისი ბედი მას დაუკავშიროს, მედეა სასახლიდან აძევებს და ასეთი სიტყვებით მიმართავს:

მე დიდი მეფის აიეტის ქალიშვილი ვარ
და რასაც ვჩადი, ასე უნდა, რაკილა ვჩადი...
სად გაგონილა, ან სად ხდება, რაც რომ არა გსურს,
შენს უნებურად ის აკეთო? რაკი ვაკეთებ,
მწადია კიდევც...

მედეა ვერ ეგუება შევიწროებას, შეზღუდულობას, ოჯახურ კარჩაკეტილობას, მამაკაცის მორჩილებას. ამიტომ ამბობს:

უკიდევანო ბაღნარია ეს ჩემი მიწა,
ზესკნელის ლურჯი სვეტები კი ბინად მეგულვის,
აქ მინდა ვიდგე, მალალ მთიდან მონაბერ ნიავს
თავისუფლად რომ შევაგებო ლალი გულმკერდი.

ბერძენი გადამთიელების გამოჩენით ქალიშვილს მყუდრო-
ება ერღვევა, თავისუფლება ერთმევა, იძულებულია საგონე-
ბულსა და გაჭირვებაში ჩავარდნილ მამას დაეხმაროს, გვერდში
ამოუდგეს, ანუგეშოს.

დრამატურგს ასევე ორიგინალურად აქვს გააზრებული ფრი-
ქსუსის სახე. იგი თავის დასთან ჰელესთან ერთად ოქროს ვერძ-
ზე შემჯდარი კი არ მოდის კოლხეთში, როგორც ეს მითებსა და
ბევრ ავტორთა ნაწარმოებებშია, არამედ ნავით მოადგება აიეტის
სამფლობელოს და განზრახული აქვს შუბზე წამოცმული ოქ-
როს საწმისი, სამშობლოს საკურთხეველთან მოპარული გამარ-
ჯვებისა და შურისგების სიმბოლო, კოლხურ ღვთაებას შესწი-
როს. ვინაიდან ეჭვით შეპყრობილი აიეტი ვერ მიმხვდარა, ბერ-
ძენი სტუმარი მტრული განზრახვით ეწვია თუ მოყვრობა განუ-
ზრახავს, მახვილით განგმირავს მას, რის გამოც მამასა და ქალი-
შვილს შორის კიდევ უფრო მწვავედ აუთანხმოება.

„კეთილი სტუმრის“ ბოლოს მედეას მიერ წარმოთქმული
სიტყვები — „ვაი შენ! უიმე! უი!“ — ერთნაირად ეხება მის
ოჯახს, მამამისს, პირადად მას, რადგან ფიცის გამტეხთ ერი-
ნიები არასდროს ინდობენ. ლალი, მხიარული, უდარდელი ქალ-
წული-მონადირე დაღვრემილ-დაფიქრებული, გულმოკლული
და სევდიანი დაიარება, ღამღამობით მთვარეს ესაუბრება, ლო-
ცულობს, გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებს. ეზიზღება, სძაგს,
ჭირის დღესავით ეზარება მისი ამფორიაქებელი და მყუდრო-
ების დამრღვევი მამა. როგორც ნაწარმოებიდან ვიგებთ, არა
მარტო იაზონის დათაფლული და სასიყვარულო სიტყვები, არა-

მედ მამის სიძულვილი სამშობლოს პატრიოტ მეფის ასულს უადვილებს მშობლიური მიწის მიტოვებას.

მედეა დიდი იმედით მიჰყვება იაზონს ძველისძველი ცივილიზაციის ქვეყანაში — საბერძნეთში, მაგრამ მალე გულ-აცრუებული, გაწბილებული და სასოწარკვეთილებამდე მისული, იგი არა მარტო ქმრისა და მისი ნათესავებისათვის, არამედ იმ გარემოში აღზრდილი საკუთარი შვილებისთვისაც კი მარად უცხო, მუდამ უამს გარეული რჩება. ამიტომ იყო, რომ მედეამ, რომელმაც სამშობლო დათმო, კერა მიატოვა, ნათესავებს, ტოლსწორებს, ნაცნობ-მეგობრებს შეეღია და ყველაფერი სიყვარულს ანაცვალა, იაზონს არ აპატია ოჯახის დალატი და პირადი შეურაცხყოფა, საშინელ შურისგებას მიმართა და შვილები სასიკვდილოდ გაიმეტა. აქ გრილპარცერი ვერ ასცდა მითიდან ევრიპიდესეულ გადახვევას და ბერძენი ტრაგიკოსის გამონაგონი არჩია, რადგან, მისი აზრით, პიესის ამგვარი ფინალი კარგად გამოხატავდა მაშინდელი ავსტრიის ჰუმანურ კრიზისს.

გრილპარცერის „ოქროს საწმისი“ მრავალჯერაა დადგმული ბევრი ქვეყნის თეატრის სცენაზე. მისი პრემიერა შედგა 1921 წლის 25 მარტს ვენაში, რამაც დრამატურგს დიდი პოპულარობა მოუხვეჭა. ცნობილმა ავსტრიელმა პროზაიკოსმა და დრამატურგმა ჰაინრიხ ლაუბემ ერთხანს მივიწყებული დრამა ხელახლა ააღორძინა. გერმანულენოვანი ქვეყნების თეატრებში XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული იგი ახლაც ხშირად იდგმება.

გრილპარცერის პიესა თეატრი და თავისუფალი ლექსითაა დაწერილი. კრიტიკოსთა დაკვირვებით, დრამატურგი კოლხებს უფრო ხშირად ვერლიბრით, იშვიათად კი თეატრი ლექსით „ალაპარაკებს,“ ხოლო ბერძნებს — პირიქით, რაც მწერლის პოზიციასზე მიუთითებს. იაზონისა და მედეას — სხვადასხვა ქვეყნის შვილთა — ზნე-ჩვეულებების განსხვავება რამდენადმე

ენის სფეროში იჩენს თავს. ბერძენთა მეტყველება დახვეწილი, ასე ვთქვათ, გაცილებით ლიტერატურულია, კოლხებისა კი შედარებით „ველური.“ ეტყობა, გრილპარცერი ასე თუ ისე იზიარებს ბერძენთა მოსაზრებას არაბერძენ ხალხთა ჩამორჩენილობასა და დაბალ კულტურაზე.

ფრანც გრილპარცერის „ოქროს საწმისი“ დღემდე არც ერთ ენაზე არ არის თარგმნილი.

რაც შეეხება ამ კრებულში გამოქვეყნებულ გრილპარცერის ნოველებს, მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესანიშნავი მცოდნე იოახიმ მიულერი „სანდომირის მონასტრის“ პირველწყაროდ ვალთერსა და ჰილდეგუნდზე არსებულ ძველ ფრანკულ თქმულებას მიიჩნევს. ეს თქმულება VI საუკუნიდან მომდინარეობს, რომლის გერმანული ორიგინალი არ შემორჩენილა. „ვალთარის სიმღერა“ ლათინურად უთარგმნია X საუკუნის ბერს ეკეჰარდ I-ს (910-973), შემდგომ კი გადაუმუშავებია XI საუკუნის საეკლესიო მოღვაწეს ეკეჰარდ IV-ს (980—1060). გერმანული საგმირო ეპოსის აღნიშნული ძეგლი ალემანებსა და ფრანკებს შორის ბრძოლის ეპიზოდებს გვიხატავს და პოემაში ბევრი ისტორიული პირია გამოყვანილი. მრავალ ჭირვარამგამოვლილ ვალთარისა და ჰილდეგუნდის სასიყვარულო თავგადასავალი კეთილად მთავრდება, გრილპარცერს კი, როგორც ი. მიულერი ვარაუდობს, უსარგებლია ძმები გრიმების მიერ 1813-16 წლებში გამოცემული „ძველი გერმანული ტყეების“ (სამტომეული) უძველესი რედაქციით, რომელშიც კრაკოველი ვალთერი ფრანკების მეფეს ქალიშვილს (ჰილდეგუნდს) მოსტაცებს, თავის სამშობლოში — პოლონეთში ჩამოიყვანს, მაგრამ კანონიერი ცოლქმრული ურთიერთობის დარღვევისა და მის მოსისხლე მტერთან ვისლავთან მრუშობისათვის მძინა-

რეებს კლავს საწოლში. ეს შემზარავი ამბავი გრილპარცერს უბის წიგნაკში ჩაუწერია 1820 წლის ივნისში. ნოველის ესკიზი, რომელიც დლიურში 1822 წლითაა დათარიღებული, გვაფიქრებინებს, რომ პოეტს გამოქვეყნებამდე (1828) რამდენჯერმე გადაუმუშავებია. მასში ნახსენები XVII საუკუნის დიდი მხედართმთავარი, პოლონეთისა და ლიტვის მეფე იან III სობესკი (1629-1696), რომელმაც მეგობრული კავშირი დაამყარა ავსტრიასთან და მასთან ერთად 1683 წელს ვენასთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა თურქები, ნოველის სიუჟეტთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული. მწერლის სურვილია, ისტორიულ სამოსელში გახვეულ ნოველაში თავისი ფიქრები და გრძნობები ჩააქსოვოს, ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი გახადოს და უდროოდ გარდაცვლილ შარლოტე პაუმგარტენტთან გამიჯნურება და უნუგეშო სიყვარული ასეთნაირად დაგვიხატოს. ამდენად, ნოველაში ძირითადად XIX საუკუნის დასაწყისის ყოფა და სულიერი ტკივილებია ნაჩვენები.

გრილპარცერის ავტობიოგრაფიიდან ვგებულობთ, რომ მას წაკითხული და შესწავლილი ჰქონდა გერმანული რომანტიზმის თეორეტიკოსების შელინგისა და ფიხტეს ფილოსოფიური შრომები, აუგუსტ და ფრიდრიხ შლეგელების ლიტერატურულ-ესთეტიკური წერილები. ამიტომაც, რომ „სანდომირის მონასტერს“ რომანტიკული ნოველისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება აქვს: მოგზაური რაინდები, იდუმალებით მოცუბუხარი, უცნაური ბერი, მთვარით განათებული გარემო, გაცრუებული სიყვარული, შურისძიება, მკვლელობა, მონანიება... მოქმედება ვითარდება ელვისებურად, დაძაბულად, საინტერესოდ; ნოველა, როგორც იტყვიან, სულმოუთქმელად იკითხება; მისი გვერდზე გადადება, შესვენება, შეყოვნება, თავში მოზღვავებული ფიქრებისა და ოცნებების დაოკება შეუძლებელია. იგრძნობა დიდი ფსიქოლოგის, მხატვრული სიტყვის

გამოჩენილი ოსტატის სტილი, თხრობის ორიგინალური მანერა, ამბის დამაჯერებლობა. მასში ნათლად შეინიშნება რომანტიკული ლიტერატურისთვის ნიშანდობლივი „საშინელებანი,“ განსაცდელი, ფათერაკი, „ბედისწერის“ ტრაგედიის ნიშნები და სხვა, რაც ასე უხვად გვხვდება მის თანადროულ გერმანელ რომანტიკოსთა შემოქმედებაში (ნოვალისი, ტიკი, არნიმი, ბრენტანო, ჰაინე, ჰოფმანი, შამისო, აიხენდორფი და მრავალი სხვა).

„სანდომირის მონასტრის“ გამოქვეყნებიდან დაახლოებით სამოცდაათი წლის შემდეგ დიდმა გერმანელმა დრამატურგმა, ნობელისა და თვით ფრანც გრილპარცერის პრემიის ლაურეატმა გერჰარტ ჰაუპტმანმა ამ ნოველის მიხედვით შექმნა დრამა „ელგა“, რომელიც წლების მანძილზე წარმატებით იდგმებოდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის თეატრების სცენებზე.

„სანდომირის მონასტრის“ გამოქვეყნებიდან ოცი წლის შემდეგ ფრანც გრილპარცერმა 1848 წელს აღმანახ „ირისში“ დაბეჭდა „საბრალო მუსიკოსი,“ რომელშიც რეალისტური პროზის უბადლო ოსტატად მოგვევლინა. პირველ ნოველასთან შედარებით, აქ თხრობა დინჯად, აუჩქარებლად და აუღელვებლად მიმდინარეობს. მწერალი დეტალურად აგვიწერს სახალხო ზეიმს, მხიარულებას, განცხრომას, სადაც „მშრომელი ხალხი წმინდა ბრიგიტეს ერთი დღესასწაულიდან მეორემდე თითებზე ითვლის ღირსსახსოვარ დღეებს.“ ნოველის ავტორი, დრამატული ნაწარმოებებისგან განსხვავებით, რამდენადმე არღვევს ტრადიციას, შეგნებულად გვერდს უვლის სამეფო კარის წარმომადგენელთა, მაღალი საზოგადოების წრის წევრთა, გმირების, გამოჩენილი პიროვნებების ცხოვრების აღწერას, რადგან განსაკუთრებით უყვარს ხალხი, „როცა ერთად შეიყრებიან, ცოტა ხნით საკუთარ ჭირ-ვარამს ივიწყებენ და თავიანთი თავი

ერთიანი მთლიანის ნაწილად მიაჩნიათ, რაშიც არსებითად, ბო-
ლოს და ბოლოს, ღვთაებრივი მადლია ჩაქსოვილი. დიახ, ღმერ-
თია სწორედ, ყოველ სახალხო დღესასწაულს სულის ჭეშმარიტ
დღესასწაულად რომ წარმომისახავს და მეც იქითკენ მივილტ-
ვი, როგორც ყველა მლოცველი და ღვთის მავედრებელი... მარ-
თლაც, ხომ შეუძლებელია, შეიცნო დიდი ადამიანი, არ შეიგრ-
ძნო უბრალო მოკვდავის სული.“ „სულის ჭეშმარიტი დღესას-
წაულის“ მაძიებელი მწერალი მოულოდნელად ერთ მოხუც
მევიოლინეს შეეჩეხება, რომლის თავის დაჭერა, მოქმედება
და გამომეტყველება მის ყურადღებას მიიქცევს და ყველაფერს
„დაავიწყებს.“ თვითონაც გულჩათხრობილი მწერალი თითქოს
ძირითადი თემიდან უხვევს, რადგან მოხუცის ბეჩავობა ააფო-
რიაქებს და ერთი სული აქვს მისი ცხოვრების საიდუმლო შეი-
ტყოს, ამოიცნოს, აქამდე დადუმებული უცნაური მუსიკოსი,
რომელსაც სიცოცხლის განვლილი დღენი თავგადასავლად არც
მიაჩნია, ძალაუნებურად აალაპარაკოს. მოხუცი უბრალოდ,
სადაც, შეულამაზებლად მოუთხრობს თავის უდარდელ ბავ-
შვობას, მოწაფეობის წლებს, ჭაბუკობაში სიყვარულით გატა-
ცებას, ოჯახურ ტრაგედიას, მკაცრ და ულმობელ ცხოვრებას-
თან შეუგუებლობას. მწერალი იგებს, რომ ეს მათხოვრადქცე-
ული მევიოლინე სასახლის კარის ყოფილი მრჩევლის, ერთ
დროს გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწის შვილი ყოფილა. არა-
ცხოვრებისეულობამ, უგერგილობამ და უხერხემლობამ, მამა-
მისის ყოფილი მდივნის გაიძვერობამ, რომელმაც დიდძალი
ფული დასტყუა, „ხალხის წრიდან“ გამოსული მედუქნის
ქალიშვილის — ბარბარას ლალატმა პატიოსანი და მიმნდობი
იაკობი ბოლოს ამ ყოფაში ჩააგდო. მუდამ „მოღიმარი და თავი-
სი თავით ერთობ კმაყოფილი“ მოხუცი, რომელიც აცხადებს,
„რა თავგადასავალი უნდა მქონდეს, დღევანდელი დღე გუშინ-

დელსა ჰგავს, ხვალინდელი — დღევანდელს ემგვანება, ვიცი, ზეგინდელიც ასეთივე იქნება და მერე, აბა, ვინ რა იცის?“, სულიერად მაინც არ ეცემა და სხვების ბედნიერებას საკუთარ სიცოცხლესაც კი სწირავს.

იაკობის საპირისპიროდ ბარბარა მომთმენი, ტლანქი, მოუქნელი, ძლიერი ნებისყოფის, მკვახე სიტყვა-პასუხის, „ცხოვრების“, „საქმის“ ქალია, მაგრამ მის პირდაპირობასა და გულწრფელობაში მკითხველს ეჭვი არ ეპარება. ამიტომაცაა, სიმპათიას რომ იმსახურებს. ერთმა გერმანელმა კრიტიკოსმა ნოველისგან ასეთი გადახვევაც კი დაუშვა: იაკობს რომ ბარბარა შეერთო, ნუთუ ბედნიერები იქნებოდნენო? მერე თვითონვე პასუხობს: კაცმა არ იცის, რა მოხდებოდაო.

გრილპარცერის შემოქმედების ბევრი მკვლევარი ნოველას ავტობიოგრაფიულად მიიჩნევს. მართლაც, „საბრალო მუსიკოსი“, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტის „ჩაშინაგნებული“ სახე, უფრო ნათლად, საკუთარი „მეს“ შინაგანი სამყაროს გადმოცემის თავისებური ხერხი, სულის თავგადასავალია. მწერალმა თავისი მხატვრულ-ესთეტიკური და იდეურ-ფილოსოფიური მრწამსი მუსიკოსს ოსტატურად „გადააბრალა“ და მისი პირით ის განცდები, უიღბლობა, უმწეობა, ეპოქის უბადრუკობა და სინამდვილისადმი ჰუმანისტური დამოკიდებულება გამოთქვა, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე აწუხებდა. ნოველა ნაღვლიანი იუმორითაა შეზავებული და ამავე დროს მასში აღრეული გერმანული რომანტიზმის მოძღვრების—„რომანტიკული ირონიის“ ხერხიცაა გამოყენებული. ფრანც კაფკამ მთხრობელს ანუ მწერალს, რომლის იდეურ განსახიერებას ხელმოცარული მუსიკოსი წარმოადგენს, მოსწრებულად „კომიკოსი ფსიქოლოგი“ უწოდა.

ფრანც გრილპარცერმა „საბრალო მუსიკოსში“ თანადროულ ავსტრიული სინამდვილე გამოამზეურა; მწერალმა იმთავითვე განჭვრიტა „სულისა“ და „საქმის“, „ხელოვნებისა“ და „ცხოვრების“ შეუსაბამობა-წინააღმდეგობანი, რომლის საწყისი — „ნოველა ხელოვანზე“ ვილჰელმ ჰაინრიხ ვაკენროდერისგან მომდინარეობს. თავის უმაღლეს მწვერვალს კი XX საუკუნის უდიდესი რომანისტის თომას მანის შემოქმედებაში აღწევს.

ვიქტორ კახნიაშვილი



სანდომირის მონასტერი

სინამდვილედ მიჩნეული აბზავი

ჩამავალი მზის სხივები ოქროსფრად ავარაყებდა სანდომირის სავოევოდოს თვალწარმტაცი ხეობის ფერდობებს. დღელამის გაყრისას რომ იცის ხოლმე, ისე ელამუნებოდა შარავანდელი აღმოსავლეთით დატანებულ მრავალსარკმლიან, მყუდრო და მოციაგე მონასტრის გალავანს, როცა გაღმა ბეჭობზე ანაზღად ორი ბეჭთაროსანი, რამდენიმე მსახურის თანხლებით, ტყის პირს მიუახლოვდა; ცხენოსნებს დაისის ზარების რეკვამთითქოს რაღაცა გაახსენათ, ცოტა ხანს შეყოვნდნენ, იქაურობა მიათვალ-მოათვალიერეს, მერე ხეობა ჩორთით გადაიარეს და მონასტერს მიადგნენ.

ნაგვიანვე სტუმრებს ჩაცმულობაზევე შეატყობდით, უცხოელები უნდა ყოფილიყვნენ. შავთოროსან მხედრებს ფრთებით გაწყობილი ფართო ქუდები ეხურათ, ცხენირმის ტყავის ქურთუკები ემოსათ და ვიწრო საცხენოსნო შარვლებზე მაღალყელიანი ჩექმები ეცვათ, რითაც აქაური პოლონელებისგან იმწამსვე განარჩევდა თვალი. სინამდვილეში ასეც იყო. გერმანელ მკვიდრთ და გერმანიის იმპერატორის მალემსრბოლთ მამაციან სობესკის სასახლისკენ მიეჩქარებოდათ, მაგრამ რაკი გზაზე შემოაღამდათ, მათს წინ ასვეტილ მონასტერში ჩამოხდნენ ღამის გასათევად.

იმ საღამოსთვის უკვე ჩარაზული კარი სტუმართმოყვრულად გაიღო, დარაჯმა სტუმრები თავაზიანად შეიპატიჟა და მგზავრთათვის განკუთვნილ დიდ დარბაზში შეუძღვა, სადაც დასვენება და ღამის გათევა შეეძლოთ მოსულთ; მასპინძელმა თან მოიბოდინა, მთავარებისკობოსი და სხვა სულიერი მამანი მწუხრის წირვაზე გახლავთ და დღეს აღარ ძალუძთ ასეთ ძვირფას სტუმრებს მოგეგებონო. ამ საეჭვოდ გამომზირალი კაცის ახსენა-განმარტებას თითქოს ადასტურებდა ერთფეროვან წამღერებულ კილოსა და მოგუდულ ხმაზე წარმოთქმული სიტყვებით.

რომლებიც შორს ეფინებოდა იქაურობას. საეკლესიო საგალობელს თაღებიც იმეორებდნენ.

უცხოელები მათთვის განკუთვნილ მოსასვენებელ ოთახში შევიდნენ; თვალნათლივ ეტყობოდა, მთელი მონასტრის დარად, ისიც ახალი აშენებული უნდა ყოფილიყო, თუმცა ზუსტად მიემგვანებინათ ძველებური გოთური ფორმებისათვის. კედლებთან ალაგ-ალაგ რიგიანი ავეჯი დაედგათ. ფართოკამაროვანი სამერცხულები ღიობზე გადიოდა, საიდანაც კარგად მოჩანდა, აღმოსავლეთით ამოსული მთვარე როგორ ებრძოდა ჩამავალი მზის უკანასკნელ სხივებს, რომლებიც მკრთალად დასციმციმებდნენ მომალლო გორაკებს; ველზე, ხეობებსა და წიწვიან ტყეში სიბნელე ჩამოწვა, ირგვლივ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა და სულიერსა და უსულოს თავისი სუდარა გადააფარა.

რაინდთა მსახურებმა ვახშამი გააწყვეს და ღვინო შემოიტანეს. დაღლილ-დაქანცული სტუმრები ღია თაღოვან ფანჯრებთან გაშლილ უხეშად გარანდულ მაგიდას შემოუსხდნენ. სავარძლებში მოკალათებულნი ხან მთვარის მომჯადოებელი ბაკმის თამაშით ტკბებოდნენ, ხან ვახშამს მიირთმევდნენ და ზედ მახალს აყოლებდნენ, სახვალთო მგზავრობისთვის კარგად რომ მომაგრებულიყვნენ.

ამასობაში გაიარა დაახლოებით ერთმა საათმა. სიბნელე ჩამოწვა, ზარების რეკვა და საეკლესიო გალობა დიდი ხანია შეწყდა. დასაძინებლად გამზადებულმა მსახურებმა უუაგულ დარბაზში დაკიდებული მკრთალად მანათობელი კანდელი აანთეს, სარკმელთან მსხდომი რაინდები კი კვლავ გაცხარებული კამათობდნენ, ალბათ რაღაც მნიშვნელოვან საქმეს წყვეტდნენ, ანდა სულაც თავიანთი ახლანდელი მგზავრობის მიზანზე ბჭობდნენ. უცბად დარბაზის კარზე ვიღაცამ დააბრაახუნა; სანამ სტუმრები ძალაუნებურად ლაპარაკს შეწყვეტდნენ და გაეპა-

სუხებოდნენ, მობრძანდითო, კარი გაიღო, დარბაზში იმ საეკ-
ვოდ გამომზირალმა კაცმა შემოაბიჯა და იკითხა: ბუხრის დან-
თებას ხომ არ ინებებთო?

შემოსულს გაცრეცილი, ალაგ-ალაგ დაკემსილი ანათორა
ეცვა, რაც მის ისედაც ტლანქსა და ჯმუხ აღნაგობას სულმთლი-
ანად თხრიდა. სიბერისგან წელში მოხრილი, ტანდაბალი ჩანდა.
ძველი ტანსაცმელიც რომ არა, სახეზე ისეთი სიმკაცრე და ძა-
ლა აღბეჭდოდა, ყველაფერს იფიქრებდით, მისი ბერობა კი
არასოდეს გაგიელვებდათ თავში. ერთდროს კუბრივით შავი
თმა და წვერი ახლა უკვე შეჭალარაგებოდა, გაბარდნოდა და
შუბლი, პირი და ნიკაპი მთლად დაეფარა. კრძალვით დახრილ
თვალებს იშვიათად აბრიალებდა, მაგრამ, როცა ააელვარებდა,
შიგ ისეთი მრისხანება ჩაუდგებოდა, რომ მისი თეთრად გადა-
ტეტილი სახე ნამდვილ ელვას ემსგავსებოდა და კაცი ცოტა
შვებას იგრძნობდა, როდესაც დიდრონი ქუთუთოებით კვლავ
დაიფარებოდა. ასეთნაირად წარუდგა ბერი უცხოელებს და ილ-
ლიაში შეშაამოჩრილი შეეკითხა: ბუხარში ცეცხლის გაჩაღებას
ხომ არ ინებებთო?

ორთავემ ერთმანეთს გადახედეს, მერე გაკვირვებული შეა-
ქერდნენ უჩვეულო შესახედაობის კაცს. ამასობაში ბერმა ბუ-
ხართან ჩაიმუხლა, ცეცხლი დაანთო, ყურიც არ ათხოვა იმათ
ნათქვამს: ჯერჯერობით ისე არ ცივა და ზედმეტად ნუ ირჯები-
თო. ღამლამობით ხომ საკმაოდ გრილა, გაიფიქრა და ფუთფუთი
განაგრძო. როცა საქმე მოათავა და ბუხარში ნაღვერდალი მხია-
რულად აგუზგუზდა, რამდენიმე წუთს შეჩერდა, ხელები
ცეცხლს მიუფიცხა, შემდეგ კი, უცხოელებისთვის ზედაც არ
შეუხედავს, უჩუმრად კარისკენ გააბიჯა.

ის იყო კარიბჭეს მიუახლოვდა და სახელურს წაავლო ხელი,
როცა ერთ-ერთმა უცხოელმა დაასწრო:

— რაკი აქა ხართ, წმინდა მამაო...

— ძმაო! — თითქოსდა უნებლიეთ შეუსწორა ბერმა და ზურგშექცეული და თავჩალუნული კარის ზღურბლთან გახევდა.

— მაშ, რახან ასეა, წმინდა ძმაო! — განაგრძო უცხოელმა, — რაკი აქა ხართ, ერთი სურვილი აგვისრულეთ.

— ბრძანეთ! — წარმოთქვა ბერმა და შემოტრიალდა.

— იცით რა, — დაიწყო უცხოელმა, — გაოცებულნი ვართ ამ დიდებული ადგილით და თქვენი მონასტრის ხუროთმოძღვრებით, ალბათ ახალი აგებული უნდა იყოს.

ამ სიტყვების გაგონებაზე ბერმა მოსაუბრეს თვალი თვალში გაუყარა.

— დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, — განაგრძო მან, — რაც ასეთ წმინდა ტაძრებს არცთუ ისე იშვიათად აშენებდნენ. რამდენი ხანია, რაც ეს მონასტერი დგას?

— ალბათ იცით რამე, არა? — ჰკითხა ბერმა და იატაკს ჩააშტერდა, — თუ ჯერჯერობით არაფერი გსმენიათ?

— რომ ვიცოდე, განა შეგეკითხებოდით? — მიუგო უცხოელმა.

— ხანდახან ასეც ხდება, — წაიბურტყუნა ბერმა. — ეს საყდარი სამი წელია დგას. ოცდაათი წელი! — უცებ შეასწორა და იატაკისთვის თვალი არ მოუწყვეტია.

— საძირკველი ვინ ჩაუყარა? — კვლავ ჰკითხა უცხოელმა. — ღვთისმოსავი კაცი ყოფილა.

ბერმა მოულოდნელად ღვარძლიანად გადაიხარხარა. სკამის საზურგე, რომელსაც ეყრდნობოდა, სულ მთლად დაიშალა; უცხოელებს მიპყრობილ მის თვალებში თითქოს ჯოჯოხეთურმა ალმა გაჰკვესაო, უცებ შეტრიალდა და გარეთ გავარდა.

გაოგნებულ სტუმრებს გონს მოსვლა ვერც მოესწროთ, რომ კარი კვლავ გაიღო და დარბაზში იმავე ბერმა შემოაბიჯა. თითქოს არაფერი მომხდარაო, ბუხარს მიუახლოვდა, გელათი ნაკვერ-

ჩხალი მიჩხრიკ-მოჩხრიკა, შეშა შეუკეთა, ცეცხლი გააჩალა და განაგრძო:

— ამ სასახლის მსახურთაგან ყველაზე უღირსი გახლავართ. ყოველნაირ შავ სამუშაოს მე ვასრულებ. უცხოელებს თავაზიანად უნდა მოვეპყრა; თუ რამეს შემეკითხებიან, რიგიანი პასუხიც გავცე. მგონი, რაღაც მკითხეთ, არა? ოღონდ, რა გნებავდათ?

— გვსურდა, ამ მონასტრის დაარსების ამბავი შეგვეტყო, — თქვა უფრო ხნიერმა გერმანელმა, — მაგრამ თქვენმა ცივმა უარმა...

— დიახ, დიახ, — უპასუხა ბერმა, — თქვენ უცხოელები ხართ; არც ხალხს იცნობთ, არც აქაური ადგილები იცით. თქვენს გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობას გვერდს ავუვლიდი, მაგრამ ვიცი, წინამძღვართან დამაბეზლებთ, ისიც მაშინდელივით შემრისხავს, ერთხელ პლოცკელმა გრაფმა აუგად რომ მოიხსენია ჩემი წინაპრები და მე შიგ ყელში ვწვდი. ვარშავიდან მოდიხართ? — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ იკითხა მან.

— არა, იქითკენ მივემგზავრებით, — უპასუხა უცხოელმა.

— უკეთური ქალაქია, — თქვა ბერმა და ჩამოჯდა. — ყველა უბედურება იქიდან მოდის. ამ მონასტრის დამაარსებელი ვარშავაში რომ არ მოხვედრილიყო, მაშინ არც ამ საყდარს ააგებდა, ვერც ბერს შეეყრებოდით აქ და არც ბერად შევდგებოდით. რახან იქიდან არ მოდიხართ, პატიოსანი ხალხი უნდა იყოთ და ვითვალისწინებ რა ყოველივეს, ერთ ამბავს მოგიყვებით, მაგრამ გთხოვთ, თხრობას ნურც შემაწყვეტინებთ და როცა ამბის მოყოლას დავამთავრებ ნურც ნურაფერს მკითხავთ. ბოლოს და ბოლოს, მეც მსიამოვნებს წარსულის გახსენება. ასეთი ნისლი რომ არ ჩამოწოლილიყო და მთვარეც ასე მკრთალად არ ანათებდეს, უფრო კარგად დაინახავდით ჩვენს საგვარეულო ციხე-დარბაზს.

ბოლო სიტყვები თითქოს ჩაყლაპაო, ისე ძლივგასაგონად წაი-

ბუტბუტა და ღრმა სიჩუმე გამეფდა; ანათორის ფართო სახე-
ლოებში მკლავგაყრილი და თავჩაქინდრული ბერი გაუნძრევ-
ლად იჯდა. ორივემ გაიფიქრა, ალბათ, ბერი თავის დაპირებას
ნანობსო, თავები გადააქნ-გადმოაქნიეს და ის იყო, წასვლა
დააპირეს, რომ მოულოდნელად მასპინძელი წელში გასწორდა
და ღრმად ამოიოხრა; შუბლზე ჩამოფხატული კაპიუშონი უკან
გადაუვარდა; ველურივით აბრიალებულ თვალებში სევდა ჩაუდ-
გა, მთვარისკენ პირი იბრუნა, ნიკაპით ხელს დაეყრდნო და და-
იწო:

— სტარშენსკი შთამომავლობით გრაფი გახლდათ. ის ვეე-
ბერთელა ადგილი და ეს მოედანი, სადაც ახლა მონასტერი
დგას, მას ეკუთვნოდა. მაშინ აქ საყდრის ხსენებაც არ იყო.
მხოლოდ ვრცელი მინდორი გადაჭიმულიყო; მთვარის სხივები
ჩამონგრეულ კედლებს რომ ეფინება, გრაფი იქ ცხოვრობდა.
ურიგო კაცი როდი იყო, მაგრამ კარგიც არ ეთქმოდა. ბრძოლებ-
ში მამაცობით გამოირჩეოდა, და დანარჩენ ღროს კი მამა-პაპა-
თა ციხე-კოშკში განმარტოებით და უჩუმრად ცხოვრობდა. ადა-
მიანებს ერთადერთი რამ აოცებდათ მხოლოდ: მისთვის არა-
სოდეს შეუნიშნავთ მდებრობითი სქესისადმი რაიმე ლტოლვა;
ეტყობა, გაურბოდა ბანოვანთა საზოგადოებას. ამიტომ ქალთ-
მოძულედ მონათლეს, თუმცა სინამდვილეში ასეთი არ იყო. ბუ-
ნებით მოკრძალებული სულის პატრონს, — ამას ხელად მიმი-
ხვდებით, რამდენად მართალს მოგახსენებთ, — თქვა ბერმა და
წელში გასწორდა, — თვითმყოფობისა და დამოუკიდებლობის
ყოვლისშთანთქმელი კმაყოფილება განიზიდავდა ქალთა სიახ-
ლოვისგან. ამგვარ უხალისობას რომ გაურბოდა, ეს ანიჭებდა
სწორედ ხალისს. აღარაფერი დაგრჩათ? ერთი თასი ღვინო
მომაწოდეთ! გრაფი არც ისე ურიგო კაცი იყო.

ბერმა ღვინო მოწრუპა და განაგრძო:

— ასე ცხოვრობდა სტარშენსკი და იმ ქვეყანაშიც ასე აპი-

რებდა გადაბარგებას, მაგრამ შუბლზე სულ სხვა რამ ეწერა. ერთხელ საიმპერიო სეიმზე დასასწრებად ვარშავაში გაემგზავრა. ერთ საღამოს, იმ ადამიანების ბიწიერებით აღმფოთებული, თითოეული მხოლოდ თავის თავზე რომ ფიქრობს, თუმცა ყველას კეთილდღეობაზე ერთნაირად უნდა ზრუნავდეს, ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა. ცა შავ, საავდრო ღრუბელს დაეფარა; ირგვლივ ჩამობნელებულიყო და ყოველ წუთს წვიმას აპირებდა. ანაზღად ზურგს უკან აკანკალებულ-აცრემლებული ქალის ხმა შემოესმა:

— თუ კეთილი კაცი ხართ, შემიბრალეთ მე უბედური!

გრაფი სწრაფად შებრუნდა. მის წინ ატუზულ ქალიშვილს ხელები გაეშვირა და რაღაცას შესთხოვდა. იმ ლუსკუმში ვერაფერს გაარჩევდით. ღარიბულად ეცვა; კუნაპეტ ღამეში მისი ყელი და ხელები თეთრად ანათებდა. გრაფი ხმაამოუღებლივ გაჰყვა მავედრებელს. ასულმა ათიოდე ნაბიჯი გადადგა და შინ შევიდა; მალე სტარშენსკიმაც ერთ ბნელ წინკარში ამოყო თავი. ქალიშვილის მხურვალე და ფაფუკი ხელი მის მარჯვენას შეეხო.

— ორდენის რაინდები ხართ? — თხრობა შეწყვიტა ბერმა და უმცროსი უცხოელისკენ შეტრიალდა. — თქვენს მოსასხამზე გამოყვანილი ჯვარი რას ნიშნავს?

— მალტის ორდენის რაინდი გახლავართ, — მიუგო მან.

— თქვენც? — ახლა მეორეს მიუბრუნდა ბერი.

— არამც და არამც, — მოკლედ მოუჭრა მეორემ.

— ცოლ-შვილი თუ გყავთ?

— არასოდეს მყოლია.

— რამდენი წლისა ხართ?

— ორმოცდახუთის.

— მაშ ასე! — წაიბურტყუნა ბერმა და თავი გააქნია. შემდეგ განაგრძო:

— მხურვალე ხელის შეხებისთანავე გრავს რალაცნაირი იდუმალი გრძნობა დაეუფლა. ასული თითქოს აღმოსავლურ ზღაპარს უყვებოდა ერთ კაცზე, რომელსაც განგებამ იმის ნიჭი შთაბერა, ფრინველთა და ბუნების სხვა არსთა ენა გაეგო, და ერთხელ, ნაკადულის პირას ჩრდილში მწოლი, ადრე მხოლოდ ჩქამი და გამოუცნობი ბგერები რომ ჩაესმოდა, სიხარულით განცვიფრდა, როცა გაარჩია ყოველი არსის სიტყვა, ჩასწვდა მათ აზრს; ასე დაემართა გრავსაც; თვალწინ სრულიად ახალი სამყარო გადაეშალა; აცახცახებული მისდევდა ქალიშვილს, რომელმაც მომცრო კარი გამოაღო და დაბალჭერიან, ოდნავ განათებულ ოთახში შეუძღვა.

სინათლის პირველი სხივი ყმაწვილქალს დაეცა. სტარშენსკი შინაგანად ზეიმობდა, რაც წინათგრძნობამ უკარნახა, სინამდვილედ რომ გარდაექცა. ქალიშვილი მართლაც ნატიფი, მშვენიერზე უმშვენიერესი იყო. შუბლსა და მხრებზე ჩამოყრილი შავი კულულები და გრძელი წამწამები განსაკუთრებულ იერს აძლევდა მის მბრწყინავ, მოლურჯო თვალებს. პირსა და ამობურცულ მარწყვისფერ ტუჩებს ვერას აკლებდა პატარა, ძლივს შესამჩნევი ნაჭრილობევი, თხელ თეთრ ზოლად რომ გასდევდა ლოყაზე და ზედა ტუჩის წითელ ხაზში იკარგებოდა. ნიკაპსა და ლოყებზე ჯუტა ემჩნეოდა; შუბლი და ცხვირი ისეთი მოხდენილი ჰქონდა, ალბათ, მხატვარიც ვერ იოცნებებდა, სწორედ იმნაირი, ჩემი მიწა-წყლის ქალიშვილებს რომ ამშვენებთ; ისინი სრულყოფდნენ მის მომხიბვლელ თავს და დიდებულად ერწყმოდნენ ქალწულის მოქნილ და ხორცსავსე სხეულს, რომლის განუზომელ სიმშვენიერეს ღარიბული ჩაცმულობა უფრო აჩენდა, ვიდრე ფარავდა.

— მართლა, რასაც გიყვებით, ხომ არაფერი გსმენიათ ამის თაობაზე, მალტის ორდენის რაინდო? ჰო, ჰო, დაჩაჩანაკებული

ბერი მზადაა კვლავ ჭკუაზე შეცდეს! მოდი, ერთიც დავლიოთ!
მაშ ასე, კმარა!

ქალიშვილის ჭვრეტით გრაფი ისე იყო დაბნეული, ძლივს შეამჩნია ოთახის კუთხეში დაფუტურობულ ჩალაზე მწოლი საცოდავი მოხუცი, რომელსაც თავით ბალიშის ნაცვლად დაგლეჯილ-დაფლეთილი უნაგირი ედო და დაკონკილი საბანი ეფარა; მან დაძონძილი სამოსელიდან ხელი გამოჰყო და მიკნავებული ხმით იკითხა:

— ელვა, შენა ხარ? ვინ მოიყვანე?

— აი, აქ გახლავთ დავრდომილი, — შესჩივლა ქალიშვილმა სტარშენსკის, — გაჭირვებამ მაიძულა, თანაგრძნობისთვის მომეყვანეთ. ეს, ძველ თავადთა შთამომავალი და დევნით ბოლომოდებული კაცი, მამაჩემია. — ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ასული მოხუცის საწოლს მიუახლოვდა, საბანი გაუსწორა, ძონძები მიალაგ-მოალაგა და იქაურობა მოაწესრიგა.

გრაფი მიუახლოვდა. ამბავი ბოლომდე მოისმინა. მის წინ მწოლიარე კაცი ქალაქბეტი ფონ ლაშეკი გამოდგა. ის და მისი ვაჟები მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში გამოააშკარავეს და სამშობლოს ღალატისათვის შვილები წინდაუხედავ პოლიტიკურ თანამოაზრეებთან ერთად გადაასახლეს. მამას საგვარეულო ადგილ-მამული ჩამოართვეს და ასეთ სიღატაკეში ჩაადგეს.

როცა შეიტყო, იმ კაცის გვარი ლაშეკი იყო, სტარშენსკი მაშინვე მიხვდა, საკუთარი თავის გაუბედურებაში მოხუცის მთლად უდანაშაულო არ უნდა ყოფილიყო. მართალია, შვილების განზრახვის უშუალო თანამონაწილე ვერ იქნებოდა, მაგრამ ახალგაზრდობაში დაუოკებელი თავქარიანობითა და ხანდაზმულობაში ზედმეტი ხელგაშლილობით მემკვიდრეები სწორ გზას ააცდინა, კარიერა დაუხშო და სახიფათო მომავლისკენ უბიძგა. გრაფმა ყველაფერს ადვილად აუღო ალღო, მაგრამ ამჟამად

საქმე ამ საცოდავი მოხუცის გადარჩენას ეხებოდა და ელგას მამამაც სიყვარულით აღმოადებული და მჭევრმეტყველი ქომაგი გაიჩინა სტარშენსკის სახით, რომელიც მის ქალიშვილს ასე შეფრფვინვოდა.

ლაშეკი ქალიშვილითურთ საკადრის ბინაში გადაიყვანეს და შესაფერისად უზრუნველყვეს. სტარშენსკიმ, რაც კი ზეგავლენა ჰქონდა, არაფერი დაზოგა, ძველი ნაცნობობაც გამოიყენა, ფულისა და საჩუქრების გაცემასაც არ მოერიდა, ოღონდ უბედური კაცი ძველებურად ფეხზე დაეყენებინა, ვაჟები კი გადასახლებიდან დაებრუნებინა. საბედნიეროდ, წინდაუხედავ ლაშეკთა შეხედულება საშიშრად აღარ მიაჩნდათ, რადგან ბოლო დროს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. თხოვნა შეიწყნარეს; განდევნილნი სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდნენ. ბევრი მათი გაუბედურებული ამხანაგი დაუფიქრებლობით უცხო ქვეყნებში დარჩა სამოღვაწეოდ; მხოლოდ ლაშეკის ვაჟებმა და მათმა შორეულმა ნათესავმა ოგინსკიმ ისარგებლეს დიდი ვაი-ვაგლახით მიღწეული შეწყნარებით. იმათ ჩამოსვლას ყოველ წამს ელოდნენ.

ლაშეკისთვის ჩამორთმეული სამკვიდრებლის დაბრუნება შეუძლებელი გახდა. ყოველ ცისმარე დღეს ახალ-ახალი მევაღეები მოდიოდნენ. თამასუქები და გადაუხდელი ვახში ბევრად სჭარბობდა უძრავი ქონების ღირებულებას. სტარშენსკიმ შუაკაცობა იკისრა, ვალიც გადაიხადა, საკუთარი ადგილ-მამულიც დააგირავა და მაინც ლაშეკთა მამაპაპური სამფლობელოს უმნიშვნელო სანამყენე ნაწილი იხსნა, რომელიც მომავალში უთუოდ გაფართოვდებოდა.

ელგას გულის მონადირებას ამასობაში კარგი პირი უჩანდა. როდესაც ქალწულმა თავი კვლავ მდიდრულ კაბაში იხილა, სტარშენსკის მხიარული შეძახილით შეეგება და ზრუნვისა და გულისხმიერებისთვის თავისი აგზნებული ტუჩები მის ტუჩებს

დააკონა. ამ პირველმა და ჯერჯერობით უკანასკნელმა კოცნამ სტარშენსკის იმედი გაუღვივა, რომ ქალიშვილი მის მიმართ გულგრილი არ უნდა ყოფილიყო. ყმაწვილქალს სიამოვნებდა ვაჟის სიახლოვე, ყოველთვის ამჩნევდა და გრძნობდა მის არყოფნას. სტარშენსკის ბევრჯერ შეუნიშნავს, როცა ეს უმანკო არსება ნაღვლიანი თვალებით შეჰყურებდა მას; რამდენჯერ ძლივს გამოსტაცა ხელი, კოცნა რომ დაუპირა, მაშინ, როდესაც, დიდი სიამოვნებით დაეწაფებოდა ქალწულის ტუჩებს. ვაჟი მომავლის ნათელი იმედით იყო აღსავსე, მაგრამ მოულოდნელად მდგომარეობა შეიცვალა. ელგას ფიქრიანობა და დაღვრემილობა დასჩემდა. თუ ადრე გულიანად ერთობოდა, ლამაზი ჩაცმულობითა და ცხოვრების ტკბობით დაბანგული ხანდახან აჭარბებდა კიდევ, ბოლო დროს საზოგადოებას გაუბრბოდა. ლამაზი, უნაოჭო შუბლი ეჭვის ღრუბლებით დაეფარა, სევდიან თვალებზე ცრემლები მოსდგომოდა და ხშირად ძირს დახრილი წამწამებიდან სათითაოდ მოგორავდნენ ეს დაუბატიყებელი სტუმრები. სტარშენსკი ამჩნევდა, მამა მკაცრად და მუქარით რომ შეავლებდა თვალს ქალიშვილს, ელგა კი ნაძალადევი მხიარულებით ცდილობდა ჩაეხშო გულსმოწოლილი კაეშანი. ერთხელ, ჩქარი ნაბიჯით სასტუმრო ოთახისკენ მიმავალმა სტარშენსკიმ, წინკარში მოხუცი ქალაქპეტის გაბრაზებული ხმა გაიგონა, რომელიც სალანძღავ სიტყვებსაც არ იშურებდა. გრაფმა კარი შეაღო, იქაურობა მოათვალიერა და სარკმელთან, მამისკენ ზურგშექცეული, ძალზე აღელვებული, ამრეზილი ქალიშვილი დაინახა. ეტყობოდა, ეს ლანძღვა-გინება ელგას ეხებოდა. მაშინ გრაფმა გულში მტკიცედ გადაწყვიტა, ნიშნობა დაეჩქარებინა და ყველივე ამით ბოლო მოეღო უმწიკვლო არსების მტანჯველი და გამოუცნობი მომავლისათვის.

სანამ სტარშენსკი თავის განზრახვას შეასრულებდა და ელგას თანდათანობით ადრინდელი სიხალისე დაუბრუნდებოდა,

ამასობაში მისი ძმები და ნათესავი გადასახლებიდან დაბრუნდნენ. კარგა ხნის უნახავ ძმებთან შეხვედრამ ელგა არცთუ ისე გაახარა, როგორც ამას გრაფი ვარაუდობდა და მოელოდა. მეტადრე თვალში გეცემოდათ ქალიშვილის გულცივობა, რომ აღარაფერი ვთქვათ უმოწყალო დამოკიდებულებაზე, მის ძმებთან ერთად დანაშაულსა და სასჯელში მონაწილე საბრალო ნათესავის — ოგინსკის მიმართ, რომელსაც ხანდახან იმის ღირსადაც არა თვლიდა, სახეზე წესიერად შეეხედა. ტანადი და მოხდენილი ოგინსკი სულაც არ იმსახურებდა ამგვარ ზიზღს; პირიქით, მორჩილებითა და გამგონობით აშკარად ისწრაფოდა, თავის თავზე ყველასათვის კარგი შთაბეჭდილება შეექმნა. ყმაწვილი ქალის უკმეხობა არ აღიზიანებდა, ისე კი, ყველა საბაბს ეძებდა, ოღონდ აქაურობას გასცლოდა და ელგას აბუჩადამგდებ მზერას გაშორებოდა. ბოლოს, სულ მთლად ჩაიყლაპა და არავინ უწყის, სად გადაიკარგა.

გრაფმა ელგა შეირთო. მოხუც ქალაქპეტს სიხარულის ცრემლი სდიოდა. სახეატკრეცილი ქალწული გრაფს უჩუმრად მკლავებში ჩაუვარდა და შეუღლებაც ასეთნაირად დასრულდა. დიდი ამბით გამართულმა დარბაზობამ მთელ დედაქალაქს ამცნო სტარშენსკის ბედნიერება და მრავალრიცხოვანმა სტუმარმა ამ პურობაზე მისი დიდი პატივისცემაც გამოხატა. სასახლის კარზე სტარშენსკი დიდი პატივით სარგებლობდა; იგი მალე შეეგუა იქაურ ხმაურსა და ბრწყინვალეობას; ამაში სიამოვნებასაც პოულობდა, თუნდაც იმიტომ, რომ განცხრომითა და ზარ-ზეიმით ცხოვრება ელგას ძალიან მოსწონდა. კაცმა რომ თქვას, რატომაც არა, სინორჩე აკლდა თუ მომხიბვლელობა? განა ამდენი გაჭირვების მერე ეს ლაღობა ორმაგ სიამოვნებას არა ჰგვრიდა, სიამტკბილობასა და რაღაც ახალ, გამოუცნობ სამყაროში არ ახედებდა? გრაფმა სრული თავისუფლება მიანიჭა მეუღლეს და ამით ბედნიერად თვლიდა თავს. ასწილ ნეტა-

რებას რომ მისცემოდა, ერთადერთი რამ აკლდა მხოლოდ: მათი შეუღლების დღიდან აგერ თითქმის წელიწადი გადიოდა, მაგრამ ჭერ-ჭერობით ელგას დედობისა არა ეტყობოდა რა.

გაბედნიერებულ წყვილთა თავდავიწყება უეცრად ერთმა გარემოებამ სულ მთლად გააუფერულა. ერთ დღეს სტარშენსკის პატიოსანი და გამოცდილი მოურავი შუბლშეჭმუხნილი და მოღუშული ეახლა. დარბაზში მარტონი ჩაიკეტნენ, იანგარიშეს, შეადარეს და უმაღლესად დაადგინეს, რომ ბოლო ხანს ზედმეტმა ხელგაშლილობამ და ელგას ნათესავებისთვის გაწეულმა უთავ-ბოლო ხარჯმა გრაფი პირწმინდად გააკოტრა, რაც მომავალში აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო. ამ საქმეში ყველაზე დიდი არევ-დარევა ელგას ძმებმა შეიტანეს. ცნობილია, უბედურება იმას ასწორებს, ვისაც გამოსწორება ძალუძსო, მაგრამ სამშობლოდან კარგა ხნით ექსორიაქმნილ თავქარიან ამ ორ ახალგაზრდას პარპაში თანდათან გაუასკეცდა. რაკი სტარშენსკის ქონებაზე ხელი მიუწვდებოდათ, ძმებმა მისი დანაზოგი ფულის უანგარიშო ხარჯვა დაიწყეს: განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც განცხრომაში მყოფმა გრაფმა მოურავის მორიდებულ შეკითხვაზე, რა მოვიმოქმედოთო, ცოტა არ იყოს, გულფიცხად უპასუხა: წუწურაქობა და ხელმომჭირნეობა არ გამოგადგებათ, ცოლისძმებს ნუ შემიზღუდავთ, რამდენიც უნდათ, იმდენი ფლანგონო, მალე მოყვრების მოთხოვნასა და დანახარჯს ბოლო აღარ უჩიანდა.

გრაფმა გონების თვალი გადაავლო თავის ახლანდელ მდგომარეობას და წესრიგის მოყვარულმა კაცმა უყოყმანოდ გადაწყვიტა, მცდარი გზიდან უხიფათოდ გადაეხვია. მხოლოდ ელგაზე ფიქრი აღუძრავდა შიშს. აჰყვება კია ეს ხალისიანი, ცხოვრების ტკბობით გაუმადლარი არსება? გადაწყდა — მოსახდენი მომხდარიყო და როგორც მოვალეობა კარნახობდა, გრაფიც ისე მოიქცა. მაინც გულის ფანცქალით შევიდა ელგას მოსასვენებელ

ოთახში; გრაფმა ცოლს საქმის ვითარება გააცნო და აუხსნა, ქალაქის დატოვება აუცილებელი რომ იყო, რათა ამ ბოლო დროს დაუფიქრებლად ჩადენილი საქციელი და ფუქსავატობა თავის მამულში გამოესწორებინა; სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, როდესაც ამ სიტყვების გაგონების-თანავე ელგა მკერდში ჩაეხუტა ქმარს და სიამოვნებითა და სიხარულით ყველაფერზე დაეთანხმა. რასაც გრაფი მოისურვებდა და ბრძანებდა, ქალიც უსიტყვოდ დაემორჩილებოდა! ელგას კუფხა-კუფხად სცვიოდა ცრემლები და ქმრის ფერხთით აპირებდა დავარდნას, კაცს რომ არ წამოეყენებინა, არ დაეტუქსა და ღონიერ მკლავებში დიდხანს არ მოექცია, რამაც ცოტა ხნით ყველაფერი გადაავიწყა ამ ქვეყანაზე.

გამგზავრების საქმე კარგად მოგვარდა. ჭაბუკობიდან მარტობას მიჩვეული სტარშენსკი, ვისი სილაღე და ნებივრობაც მამაპაპეულ სასახლეს, ხოლო მეუღლესთან სიამტკბილობაში გატარებული ახალგაზრდობა ქალაქს შემორჩა სამარადჟამოდ, თითქმის ლოცავდა მოულოდნელად თავზე დამტყდარ უბედურებას, რამაც აიძულა საბოლოოდ მშობლიურ მხარეს დაბრუნებოდა. ელგა ფაციფუცობდა, ემზადებოდა; მაისის ერთ თბილ საღამოს გრაფის ოჯახი გატენილი ზანდუკებითა და სავსე სკივრებით ხელახლა აშენებულ და დამშვენებულ ძველ საგვარეულო ციხე-დარბაზს მიადგა, რომლის მყუდრო შემოგარენში ბუღბუღების სტვენა და ყვავილების მძაფრი სუნი ძირფესვიანად აღადგენდა ყოველივეს, რაც ქალაქის სასახლეებში ცხოვრებით განებივრებულ კაცს აქ ყოფნით დააკლდებოდა.

ჩამოსვლის მერე მალე გამოირკვა, ასე ადვილად რატომ დათანხმდა ელგა ქალაქის მიტოვებას. ქალი ფეხმძიმობას არ ამჟღავნებდა, მაგრამ სტარშენსკის, ვისაც ამჟამინდელი ყველა სურვილი შეუსრულდა, უსაზღვროდ ბედნიერად მიაჩნდა თავი.

გაზაფხულმა და ზაფხულმა სოფლურ მხიარულებაში, კე-

თილმოწყობასა და მოლოგინების მოლოდინში ჩაიარა. როდესაც ხეებს ფოთოლი ჩამოსცვივდა და ზამთრის პირველმა მაუწყებელმა ძლიერმა ქარმა ციხე-დარბაზის სარკმლები შეაზანზარა, დიდხანს ნალოდინევე ელგას საზარელი დღეები დაუდგა, მაგრამ დროულად იმშობიარა და ანგელოზივით გოგონა გამოწვდილ მკლავებში ჩაუგორეს გრავს, რომელმაც ფრთხილად გამოართვა და სიხარულის ცრემლი დააპკურა პაწიას. იოლი მშობიარობის შემდეგ გამოჯანმრთელებული ელგა კვლავ ვარდით გაიფურჩქნა და დამშვენდა.

ვაგლახ, ეს ბედნიერება დედაქალაქიდან მოსულმა სამწუნარო ამბავმა დაჩრდილა. ელგას მამა გარდაეცვალა; მოხუცი ქალაქპეტი ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, ყველაფერი არეულ-დარეული დატოვა. ამჯერად, წინდახედული სიძის მხარდაჭერას მოკლებული და უგუნურ ქცევასა და უანგარიშო ხარჯვას მიჩვეული ლაშეკის ვაჟები სესხზე სესხს უმატებდნენ და მევახშეები, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, მოხუცი მამის მემკვიდრეობა მათ ვალს გაისტუმრებდა, სასოწარკვეთილებას მიეცნენ, როცა შეიტყეს, გარდაცვლილი ქალაქპეტის ანდერძით საკმაო თანხა, ადრევე სათანადოდ გაფორმებული საბუთებით, საჩუქრად მათ ერთადერთ ღარიბ ნათესავს — ოგინსკის გადასცემოდა. მართალია, ის ნათესავი დიდი ხანია აღარსად ჩანდა, მაგრამ, ეტყობოდა, ცოცხალი ეგულებოდათ, ადგილსამყოფელიც ყველასთვის საიდუმლო როდი იყო, რადგან მისთვის განკუთვნილი თანხა აიღო და ეს საქმეც ასე დამთავრდა.

ლაშეკთა უთავბოლო მფლანგველობა რომ გამოაშკარავდა, ხმა გავარდა, ძმები ამბოხებისთვის თანამოაზრეებს აგროვებენ და უწინდებურად საიდუმლო შეთქმულებას აწყობენო. აბეზარი ცოლისძმები და მათი მევალენი ერთბაშად სტარშენსკის ეცნენ, მაგრამ გრავმა შეძლო მოყვრებისა და მევახშეთა მოგერება, მედგრად უკუაგდო იმათი მოთხოვნა და კმაყოფილი

იყო, ელგა ყველაფერში გულწრფელად რომ ეთანხმებოდა და მხარს უჭერდა. როცა ძმებმა ყოველი ღონე იხმარეს და ბოლოს გრაფის ციხე-კოშკსაც მიაღგნენ, ელგამ საყვედურით აავსო და ისეთი ამბავი დაატეხა თავს, რომ ალბათ სამუდამოდ მოსისხლე მტრად გადაეკიდნენ ერთმანეთს.

ასე გაიარა ორ წელიწადზე მეტმა; გადატანილი ქარიშხლის მერე ოჯახში დამკვიდრებული მშვიდობა ძვირუხსენებელი გახდა. გრაფი აღრე თუ ძლიერ განიცდიდა ვაჟის უყოლობასა და უქმეკვიდრეობას, ახლა მზე და მთვარე ამ ერთადერთ ბავშვზე ამოსდიოდა.

კაცი ძნელად თუ წარმოიდგენდა უფრო მშვენიერ არსებას, ვინემ ეს გოგონა იყო. იგი დღითი დღე იზრდებოდა. სახის ნაკვეთებით დედას ჰგავდა, მაგრამ ბუნებამ პაწია, ლამაზი თავი რომ გამოაყოლა, ცოტა არ იყოს, ჭირვეულობაც გამოამყლავნა. თუ ელგას ქალურობას შავი თმა, დაბინდული წარბები და ცისფერი თვალები განსაკუთრებულ მომხიბვლელობას მატებდა, ამ კოკროჭინა გოგონას სანდომიან სახეზე მოოქროსფერო კულულები ეფინა, გადაკალმულ ღია ფერის წარბებს ქვემოთ კი, ყაჩაღები რომ მზეს არ ენახვებიან, ისე დამალოდა დიდი, მაყვლისფერი თვალები. გრაფი ხშირად ხუმრობდა დედა-შვილის მსგავსებაზე; როცა ის იტყოდა, ბავშვი თავით ფეხამდე ზედგამოჭრილი დედამისიაო, ელგა გულში მაგრად ჩაიკრავდა ხოლმე პატარას და მასავით ამობურცულ ლალისფერ ტუჩებს ნაზად უკოცნიდა.

რაჟამს გრაფი ოჯახური სიამტკბილობით გულს იჯერებდა, დანარჩენ დროს ელგას ნათესავების უზომო ხელგაშლილობით განიავეებული ქონების აღდგენასა და გავერანებული ადგილმამულის კეთილმოწყობაზე ფიქრობდა. გრაფი დილიდან საღამომდე ბაკებსა და ბედლებს უვლიდა, მინდვრებსა და გასაკაფავი ტყის ნაკვეთებს ათვალეერებდა, მას თითქმის ყოველთვის

თან ახლდა ერთგული მოხუცი მოურავი, ვინც მამამისს მთელი ცხოვრების მანძილზე პატიოსნად ემსახურებოდა და ოჯახში სრული ნდობით სარგებლობდა. კარგა ხანია სტარშენსკი უგუნებობას ატყობდა მოხუცს. თუ უცაბედად მისკენ შეტრიალდებოდა და სახეზე დააკვირდებოდა, უმალ შეამჩნევდა ხოლმე, ოდესღაც მხიარული თვალების პატრონი მოხუცი დასევდიანებული უჩუმრად როგორ შესცქეროდა მას.

ერთხელ, გრაფი და მოხუცი შუადღემდე მინდორში იყვნენ მომკვლევთან. როცა მზემ დააცხუნა და სტარშენსკიმ თხმელის ჩრდილს შეაფარა თავი, მოხუცმა მსახურმა გრაფს ცივი წყალი გაუწოდა და თან აღფრთოვანებით წამოიძახა:

— ღვთის წყალობით, რა მადლი ჰქვია ამ მინდვრებს! რა სვებედნიერია მისი მფლობელი!

— ასეც არის, — მიუგო გრაფმა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და წყლის სმა განაგრძო.

— ადვილი მისახვედრია, — სიტყვა დასცდა მოხუცს, — ქალაქად რომ ამდენი უკმაყოფილო მზადაა სახელმწიფოსა და მის წესწყობილებას ოღონდ რაიმე ზიანი მიაყენოს, ვერაფრით მოიგებ იმათ გულს, ყველაფერი უკუღმა ეჩვენებათ, მაგრამ სოფლად, ტყეებსა და მინდვრებში, აშკარად ეტყობა ქვეყანას, მოაქეამამდე მხოლოდ ერთადერთი ღმერთი რომ განაგებს და არცთუ ისე ურიგოდ. შფოთისთავები კი არ ცხრებიან, ლამოთავიანთ ქსელში გააბან მამა და ძმა, დაი და სიძე. ღმერთმა დასწყევლოს იმათი თავი!

გრაფი წამოდგა.

— კარგად მიგიხვდი, — თქვა მან, — ვინაა გულისხმობა ჩემს მოყვრებზე ახალი ხომ არაფერი გსმენია?

მოხუცი ფეხებში ჩაუვარდა სტარშენსკის, ცხარე ცრემლებად დაიღვარა და უცბად წამოიძახა:

— ჩემო ბატონო, საკუთარ თავს მაინც ნუ ატყუებთ! მიხედეთ თქვენს ცოლსა და შვილს! საერთოდ ყველაფერს, რაც გაგაჩნიათ! ნუ შეარცხვენთ წინაპრების ღირსეულ სახელს!

— რა დაგემართა? — განრისხდა გრაფი.

— ჩემო ბატონო, — თავისას იმეორებდა მოხუცი, უნდა იცოდეთ, რომ ცოლისძმები რაღაც ავ საქმეს გიმზადებენ!

— შენ ჰკუიდან ხომ არ შეიშალე?! — დაუღრიალა სტარშენსკიმ.

— ალბათ ვიცი, რასაც ვამბობ, — მიუგო მოხუცმა, — თქვენი მოყვრების ამფსონი ჩუმ-ჩუმად დაძვრება ციხე-დარბაზში. მერე ქურდულად გაიპარება ხოლმე. ხანდახან დილიდან საღამომდე პარკის დასავლეთით მიგდებულ სათვალთვალო კოშკთან იმალება.

— ვინ გითხრა?

— მე თვითონ რამდენჯერმე საკუთარი თვალით ვნახე.

— მალულად მოდის კოშკში?

— მალულად, კოშკში!

— როდის?

— ხშირად!

— ჩემი მოყვრების დოსტი?

— დიახ, ვარშავაში მყავს ნანახი იმათთან.

— რა ჰქვია, თუ იცი?

— როგორც მოგეხსენებათ, ვარშავაში ერთხელ ვარ ნამყოფი, ისიც ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე; მაშინ არც დავინტერესებულვარ, თქვენი მოყვრების მრავალრიცხოვან მეინახეთ ვის რა ერქვა, მაგრამ ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, ის იმათთან ვნახე.

— როდის დაიარება კოშკში?

— ღამლამობით!

ბოლო სიტყვის გაგონებისას სტარშენსკი, ცოტა არ იყოს,

შეკრთა, მაგრამ მერე, როცა ჩაფიქრდა, იმდენი მიზეზი მოუძებნა საიდუმლოებით მოცულ სტუმრობას, შინ რომ დაბრუნდა, საკმაოდ დამშვიდებულ-დაწყნარებული იყო. ელგას კი ისე, სასხვათაშორისოდ ჰკითხა: დიდი ხანია ძმებისა აღარაფერი გსმენიაო?

— ბოლო დროს რომ მესტუმრნენ, მას შემდეგ არა ვიცი რა, — ჩვეულებრივ უბასუხა ქალმა.

გრაფმა მოხუც მოურავს უბრძანა, ეს ამბავი საიდუმლოდ შეენახა და სიტყვა არსად წამოსცდენოდა. ერთგულებისთვის შეძრული კაცი დააშოშმინა, თვითონ კი გადაწყვიტა, რაც შეიძლება მალე გამოეკვლია საქმის ვითარება.

გამოხდა ხანი. ერთხელ, ნასადილევს, გრაფი ცხენზე შეჯდა და ციხე-დარბაზიდან მოშორებული მამულისკენ გასწია; ორი-ოდე დღე იქ უნდა დარჩენილიყო. კარგახელა მანძილი ჰქონდა გავლილი, როცა მოსაღამოვდა; უცებ უკნიდან შეშფოთებული ხმამაღალი ძახილი შემოესმა და თავისი სახელი გაიგონა. შებრუნდა თუ არა, მაშინვე მოხუცი მოურავი იცნო, რომელიც დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილი ცხენს მოაგელვებდა, ცდილობდა წინ მიმავალ მხედარს დასწეოდა, ახველებდა, სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ ყვირილითა და ხელების ქნევით ანიშნებდა, მომიცადეო. გრაფმა ცხენს სადავე მოზიდა და შედგა. აქოშინებული მოხუცი თავის ბატონს მიუახლოვდა და უფრო აქოშინებული ჩურჩულა. უცნობი, ვინც ეჭვი აღუძრა მოხუცს, კვლავ კოშკის მახლობლად დაეღანდა. გრაფმა მაშინვე შეაბრუნა ცხენი და შინისკენ გააჭენა; მოურავი და მოსამსახურეები უკან მიჰყვნენ, მაგრამ ძლივს ეწეოდნენ. გრაფი და მოხუცი კოშკიდან კარგა მოშორებით ჩამოქვეითდნენ და ცხენები მოსამსახურეებს მიუგდეს, რომლებიც მათ დანიშნულ ადგილზე უნდა დალოდებოდნენ. ბარდებსა და ჯაგნარს გააღწიეს და იმ სათვალთვალ კოშკისკენ გასწიეს, სადაც დაუპატიჟებელი სტუმარი იგულებოდათ.

ამასობაში ჩამოხნელდა. მთვარე ჯერ არსად ჩანდა და ჰორი-
ზონტზე ოდნავლა კრთოდა შებინდების მაუწყებელი სინათლის
ზოლი. უცებ სათვალთვალო კოშკის შორიახლოს, დაბურული
ხეების ძირში, შუქი შეამჩნიეს. თვალის დახამხამებაში ტყის
პირას გავიდნენ და იმ მოტიტვლებულ ბორცვს მიუახლოვდნენ,
სადაც კოშკი იდგა, მაგრამ სათოფურებიდან არც შუქი ჭიატებ-
და და არც კაცი ჰაჭანებდა სადმე. ახალამოსულ მთვარის შუქზე
მოხუცმა მიწაზე ახლად-ახალი ნაფეხური გაარჩია, ციხე-კოშკის
კარიც ღია დახვდა, თუმცა შეიძლებოდა ნაკვალევი შეშლოდა
კაცს, კარი კი რომ არ ჩაეკეტათ, სულ ადვილად დარაჯისთვის
დაებრალებინათ.

გრაფმა შვებით ამოისუნთქა, თანმხლებთან ერთად ბორც-
ვი ჩაათავა და ციხე-დარბაზისკენ აიღო გეზი. მშვიდად მთვლე-
მარე გარემოს მთვარე უხვად აფრქვევდა ვერცხლისფერ სხივებს
და მათ წინ ასვეტილ მოკაშკაშე ციხე-კოშკს ზღაპრულ იერს
აძლევდა. ფიქრებში წასულ სტარშენსკის ახლა უფრო მომჯა-
დოებლად წარმოუდგა ცოლის სახე, ვინემ ოდესმე. მხოლოდ
ამის მერე გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ მის გულში აღძრუ-
ლი ეჭვი ცოტათი ქალსაც ეხებოდა და მარტოოდენ იმწუთას,
როცა იგრძნო გონებაში გაელვებული ეჭვის უმართებულობა
და ქალწულებრივი სინაზით საწოლში რულმოკიდებული ელ-
გას გამომეტყველება თვალწინ წარმოესახა, ისეთი სიყვარულით
განიმსჭვალა, არც პირველი შეხვედრისა და არც ქორწინების
უამს რომ არ ეგრძნო.

ასე ოცნებობდა, თან ნელინელ მიაბიჯებდა. უცებ მკლავზე
ვიღაც შეეხო. მხლებელი განათებული მინდვრისკენ იშვერდა
თითს და გრაფს რაღაცას ანიშნებდა. სტარშენსკიმ იქით გაი-
ხედა და კაცი დალანდა, რომელიც მთვარის შუქს ერიდებოდა
და ბნელში ქურდულად ციხე-კოშკისკენ ფეხაკრეფით მიდიოდა.
გრაფმა ველარ მოითმინა, ერთი მაგრად შეჰყვირა, ხმალი იშიშვ-

ლა და ლანდს მიჰყვა. უცნობი ყვირილზე დაფრთხა და ტყეში გაუჩინარდა. გრაფს სურდა დასდევნებოდა, მაგრამ ახლა მეორე ლანდს მოჰკრა თვალი, რომელიც კოშკის კედელს აჰკვროდა და ისე მიიპარებოდა. მალე დაეწივნენ. მდევრებს გრაფის მეუღლის მოახლე, შიშისგან აცახცახებული დორტკა შერჩათ ხელში; პირველ შეკითხვაზე — აქ რას იქმო, დორტკამ არეულად, მობოდიშების მსგავსი რაღაც წაიბურტყუნა, მეორეზე კი — აქ საიდან გაჩნდიო, მის მაგივრად პასუხი გასცა ღიად დარჩენილმა ჭიშკარმა, საგანგებოდ რომ იკეტებოდა ყოველთვის და სტარშენსკის ბრძანებით იღებოდა მხოლოდ, რადგან გასაღებს გრაფი ინახავდა ხოლმე საგულდაგულოდ.

სტარშენსკიმ ყოველი ღონე იხმარა, მაგრამ მოსამსახურე გოგოს ვერაფერი დააცდენინა. მაშინ გაცოფებულმა გრაფმა მოახლეს ხელი სტაცა და სანამ მეუღლის საძინებლამდე მიიყვანდა, საიდუმლო გასასვლელებში სულ კინწისკვრით ატარა. ოთახში სინათლე ენთო და კარიც ჯერ არ დაეკეტათ. ელგას არათუ ეძინა, საზეიმოდ გამოწყობილიყო. გრაფს სიბრაზისაგან ენა ებმოდა; იგი მოუყვა ცოლს, რაც იმ საღამოს თავს გადახდა და მკაცრად მოითხოვა, ან ამ გომბიომ ყველაფერი აღიაროს, ან არადა, ახლავე სასახლიდან გავაგდებო. დორტკა კანკალმა აიტანა და ატირებული, მუხლებზე დაეცა.

სტარშენსკიმ იფიქრა, მეუღლე შეცბუნდებოდა ან მის სადარტლიან აღშფოთებას გაიზიარებდა, მაგრამ არც ერთი მოხდა და არც მეორე. ქალმა თავიდანვე გულგრილად სთხოვა, ხმამაღალი ლანძღვა-გინებით ოჯახის მყუდროებას, ნუ დაარღვევო, მაგრამ, რახან გრაფი თავისას არ იშლიდა და მხეველის გაგდებას მოითხოვდა, მაშინ გაცეცხლებულმა ელგამაც ხმას აუწია: ჩემი პირადი საქმეა, შინამოსამსახურეებს როგორ მოვეპყრობი, მე თვითონ განვსჯი და გადავწყვეტ მოახლის დათხოვნასო. მოთმინებიდან გამოსულმა გრაფმა დაჩოქილი გოგო ზეზე წამო-

აყენა და ოთახიდან გაგდება დაუპირა, მაგრამ ამ დროს ელგა წამოვარდა, გოგოს ხელი სტაცა, თავისკენ მოქაჩა და თან საშინლად შეჰკივლა:

— მაშინ მეც გამაძევე შინიდან, ხომ დიდი ხანია ეგა გწადია! უწინ ასეთი რომ არ იყავი! რა უიღბლო ვყოფილვარ! — ქვითინით განაგრძობდა ელგა, — ამდენი წყენა, ესოდენი შეურაცხყოფა როგორ ავიტანო! ჩემი გულისთვის უდანაშაულო მოსამსახურეები რად უნდა იტანჯებოდნენ!

ესა თქვა და თითი თავისი მოსასვენებელი ოთახის კარისკენ გაიშვირა; მოახლე უთქმელადაც მიხვდა ქალბატონის ბრძანებას და უცბად გაუჩინარდა. ელგამაც დრო იხელთა, მას მიჰყვა და ოთახში შესვლისთანავე კარი ჩაკეტა.

სტარშენსკი ერთხანს გაოგნებული იდგა. ბოლოს გონს მოეგო, ძალღონე მოიკრიბა და ცოლის ოთახიდან გავიდა; რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ განცვიფრებულ-გაოგნებული კვლავ შედგა. მოხუცი მოურავი მიუახლოვდა და რაღაც უთხრა; გრაფმა მოხუცს ხმაამოუღებლად გვერდი აუარა, კარი გამოაღო, დერეფანი გაიარა და თავისი მოსასვენებელი ოთახისკენ გასწია, რომელიც ციხე-კოშკის პირდაპირ მდებარეობდა. ზღურბლს რომ მიადგა, შებრუნდა, მოურავს ხელით ანიშნა, გაცილება არ მესაჭიროებო, და კარი მიიხურა. აბა, ვინ უწყის, როგორ გაატარა ის ღამე? დილით მასთან შესულ მოსამსახურეს ჩაცმული გრაფი სავარძელში დახვდა. ჯერ იფიქრა, სძინავსო, მაგრამ როცა მიუახლოვდა, დაინახა, გრაფს ფართოდ გახელილი უსიცოცხლო თვალები უსასრულობისთვის მიეპყრო და არ იძვროდა. მსახური რამდენჯერმე შეეხმინა. შემდეგ მეუღლის დანაბარები მოახსენა, გთხოვთ, ჩემს ოთახში ერთად ვისაუზმოთო. სტარშენსკი ჯერ გაკვირვებული შეაცქერდა, მერე კი ადგა და უსიტყვოდ გაჰყვა მსახურს.

გახალისებული და დამშვენებული ელგა ისე შეეგება მეუღ-

ლეს, თითქოს არათფერი მომხდარაო; წუხანდელი ამბავი ხუმ-
რობანარევი ღიმილით გაიხსენა. ელგამ ქმარს მოახლის ფარული
სიყვარული გაუმჟღავნა, შემდეგ დორტკას უხმეს და მისგან
საკმაოდ მიკიბულ-მოკიბული ამბავი მოისმინეს, რომელსაც
იგი ენის ბორძიკით ჰყვებოდა. დასასრულ, მხევალმა პატიება
ითხოვა, გრაფის მეუღლემაც-გაითვალისწინა მისი ადრეული
კარგი ქცევა და სულგრძელად თავისი და ქმრის სახელით მიუ-
ტევა დანაშაული. გრაფმა თანხმობა თავის დაქნევით გამოხატა
და გოგოც კვლავინდებურად შინ დარჩა.

სტარშენსკიმ ხმის ამოუღებელი წაისაუზმა და კოშკიდან
უმძრახად გავიდა. გზაზე მოხუცი მოურავი შეეგება და უჩუმ-
რად აედევნა; დუმილის დარღვევა ვერ გაბედა, მაგრამ ბატონის
დაღვრემილ-დაძმარებულ სახეზე უთქმელი კითხვებისა და
ეჭვების პასუხს ეძებდა. როგორც ყოველთვის, ახლაც ისე მი-
დი-მოდიოდნენ და საქმიანობდნენ. გრაფი არა მარტო ცდილობ-
და გუშინდელ ფათერაკზე არ ეფიქრა, არამედ საერთოდ არა-
ფერზე ფიქრობდა. თუკი დადევნებული სირაქლემა ბუჩქებში
ჩაყოფს თავს და ასე ჰგონია, საფრთხის არდანახვა მის იქ არ-
ყოფნასაც ნიშნავს, ხშირად ასეთნაირად იქცევა ადამიანიც.
რადგანაც იმდენი ხვაშიადი აქვს ჩამარხული გულში, რომ განზ-
რახ თავის თავსაც არ უმჟღავნებს.

რამდენიმე დღის შემდეგ სტარშენსკიმ მეუღლის ოთახში
მოისურვა შესვლა. მოახსენეს, ქალბატონი ბანაობსო; მეორე
ოთახიდან ბავშვის წკრიალა ხმა შემოესმა და იქითკენ გაემარ-
თა. პაწიას იქაურობა აერ-დაერია, იატაკზე მოკალათებულიყო,
ელგას ძვირფასეულობა და სამკაულები თავის სანუქვარ სათა-
მაშობად გადაექცია, ნოხი გადაებრუნებინა, დედის პატარა
სატუალეტო მაგიდიდან ზარდახშა დაეთრია, გაეხსნა და ყველა-
ფერი სულ ერთიანად მიმოეფანტა. სტარშენსკი უწყინრად ბუ-

ზღუნებდა, ბავშვს ხელიდან სათითაოდ ართმევდა „ნადავლს“ და პატიოსანი თვლების მიჩენილ ადგილზე დადებდას აპირებდა. ეტყობა, ზარდახშის მაგიდიდან ძირს გადმოვარდნისას ორფერდა საიდუმლო სახურავი მოყანყალდა და, როცა გრაფმა მისი კვლავ ჩასმა მოინდომა, ჩარჩოში ნაინანატრად ჩასმული სურათი გამოცურდა და იატაკზე დავარდა, რომელიც სტარშენსკიმ აკანკალებული ხელით აიღო.

ეს იყო პოლონურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცის სურათი. „რა საოცარი მსგავსებაა“, ელდანაკრავივით გაიფიქრა გრაფმა. როგორც ბუნების მიერ ნაბოძებ მის ბავშვს, მასაც ისეთივე შავი თვალები და ქერა თმა ჰქონდა. მან ჯერ გოგონა შეათვალიერა, მერე კვლავ სურათს დახედა. ეს სახე სადღაც ენახა, მაგრამ სად? როდის? კანკალმა აიტანა. იგი ერთხელ კიდევ დააკვირდა ბავშვს. პაწია გველისებური შავი თვალებით იმზირებოდა, ქერა კულულები კი ცეცხლის ალივით ეკლაკნებოდა თავზე, რამაც ვარშავაში ყოფნის თავზარდამცემი მოგონება ცოლეურთაგან უკუგდებულ ნათესავზე უეცრად ამოუტივტივა გონებაში.

— ოგინსკი! — კბილების ღრჭენით წამოიყვირა გრაფმა და სიმწრით მაგიდას წაავლო ხელი.

მეორე ოთახში გაღებულმა ჩქამმა ოდნავ გამოათხიზლა. ზარდახშას სახურავი მოარგო, დაკეტა, სურათი უბეში ჩაიღო და მკვლელივით გაიქცა.

იმ დღეს ციხე-კოშკში გრაფი აღარავის უნახავს. სადილობისას მისი ადგილი მაგიდასთან ცარიელი იყო. საღამო ჟამს სტარშენსკი ძიძის ოთახში შევიდა და ბავშვი გამოართვა. პატარას ხელი ჩაჰკიდა, ბაღში გაატარა-გამოატარა, მერე კი ეულად მდგარი ხავსმოდებული ქოხისკენ წაიყვანა. მათ საძებნელად გასულმა მოურავმა დაინახა, მერხთან რომ იყვნენ. გრაფს ბავშვი მუხლებშუა ჩაეყენებინა, ხელში სურათი ეჭირა და ხან

მას ჩააცქერდებოდა, ხან კიდევ პაწიაზე გადაიტანდა მზერას; ალბათ ერთმანეთს ადარებსო, გაიფიქრა მოხუცმა.

მეორე დღეს სტარშენსკი უთენია გაემგზავრა, მაგრამ არავისთვის დაუბარებია, სად მიდიოდა. ვარშავაში კი ამოუყვია თავი, რათა ძირფესვიანად შეეტყო (ძალზე გვიან!) ელგას წარსული. გამოარკვია, რომ ელგას და ოგინსკის, რომელიც მოხუცი ქალაქპეტის კარზე იზრდებოდა, ადრევე ჰყვარებიათ ერთმანეთი, მაგრამ იმის შიშით, ნათესაური ურთიერთობა უფრო მეტ სიახლოვეში არ გადაიზარდოსო, მოკეთე სახლიდან დაუთხოვიათ; გადასახლებიდან დაბრუნებულმა ოგინსკიმ სტარშენსკის ქორწინებამდე რამდენიმე ხნით ადრე ქალიშვილთან ძველი კავშირი განაახლა და ის საკმაოდ თანხაც, რომელიც მოხუცმა ლაშეკმა ანდერძით თავისიანს დაუტოვა, ნაწილობრივ იმის საფასურიც იყო, რომ უარი თქვა ელგასთან ურთიერთდამოკიდებულებაზე. გარდა იმისა, რომ ქალიშვილი იძულებით დაშორდა ოგინსკის, გრაფთან შეუღლების თანხმობაც მისი სიღარიბითა და გრაფის სიმდიდრით იყო გამოწვეული. ამ მართაც სტარშენსკიმ გაჭირვების უამს დიდი გულუხმობა გამოიჩინა, სიძეს ფულიც დასტყუა; მოყვარემ ჯერ ფიცი ჩამოართვა გრაფს, მერე კი ოგინსკის ადგილსამყოფელიც მიასწავლა. ამასობაში ციხე-კოშკში მღელვარებამ და შიშმა დაისადგუ-რა. სხვებთან შედარებით ელგას დინჯად ეჭირა თავი. ქმრის ასეთნაირ გაუცხოებას ქალი იმდამინდელ ამბავს მიაწერდა, მაგრამ, რადგან ნამდვილი დამნაშავე არსად ჩანდა, ეტყობა, იმედოვნებდა, ბოლოს და ბოლოს გრაფიც დაწყნარდებაო. ქალ-ბატონის პირისფარეში უწინდებურად დორტკა იყო.

გაიარა რამდენიმე ხანმა და მოულოდნელად გრაფი თავისი ადგილ-მამულის საზღვართან გამოჩნდა; უკან კარებდაგმანულო

კარეტა მოსდევდა და კაციშვილმა არ იცოდა, ვინ იჯდა შიგ.
იქიდან საბანში გახვეული კრიჭაშეკრული კაცი გადმოათრის,
ვისთვისაც ჩვარი ჩაეჩარათ პირში, და მოურავს გადასცეს, რო-
მელსაც წინასწარ გრაფის ბარათი მიეღო და საბატონოს მიჯნა-
ზე ელოდებოდა. გათოკილი კაცი პარკის დასავლეთ ნაწილში
აშენებულ ძველ სათვალთვალო კოშკში საგულდაგულოდ ჩა-
კეტეს. მალე იქაურ მცხოვრებლებში ათასგვარი ჭორი გავრ-
ცელდა.

გრაფი ციხე-დარბაზში დაბრუნდა. ელგას ბავშვი ეჭირა
ხელში, მაგრამ ქმრისკენ გაექანა და გახარებული შეეგება. მოი-
სმინა, როგორ წუხდნენ უეცარი გაუჩინარებით და როგორი გუ-
ლის კანკალით ელოდნენ მის გამოჩენას. შეუქქეს ბავშვის გონიე-
რება და იქვე სახელდახელოდ აჩვენეს, რა წარმატებასაც მიაღ-
წია პაწიამ ამ დროის განმავლობაში. როცა ვახშმობის დრომ
მოაწია, სტარშენსკიმ დაღლილობა მოიმიზეზა და განაცხადა,
შეუძლოდ ვარო. ბევრი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, იმათ გა-
ნერიდა და თავის მოსასვენებელ ოთახში ჩაიკეტა. ნამგზავრო-
ბა საბაბი იყო, თორემ მოგვიანებით შინიდან გავიდა და სა-
თვალთვალო კოშკისკენ გაემართა მარტოდმარტო, სადაც გა-
რიურაჟამდე დარჩა.

მეორე დღეს კოპებშეკრული ელგა ბრაზით ცოფებსა ყრი-
და. გრაფის ღამეული გასეირნება შეუმჩნეველი არ დარჩენია.
სასოწარკვეთილი და უკმაყოფილო იყო. როცა სტარშენსკისთან
საუბარი დააპირა, მან უმაღლ შეაწყვეტინა და თავიანთ ცოლ-
ქმრულ ურთიერთობაზე ჩამოუგდო სიტყვა. ბოლო დროს ვარ-
შავაში ყოფნისას გრაფმა ახლებურად გადახედა სიმხიარულეს
აყოლილ ქალაქს და მისთვის ერთხელ კიდევ ნათელი გახდა:
ისეთ მომხიბვლელ და სიცოცხლით აღსავსე არსებას, ელგა რომ
იყო, სოფელში არ ეცხოვრებოდა. შემდეგ ჰკითხა:

— დედაქალაქში დაბრუნებას ხომ არ ისურვებდი?

— მე, ჩემი მხრივ, თანახმა ვარ! — მიუგო ცოლმა.

გრაფმა მეუღლეს აუხსნა, საგვარეულო ადგილსამყოფელს ვერ მივატოვებ, რადგან ბევრი რამ ჯერ კიდევ მოუგვარებელია, ჩვენს ქონებას საფრთხე ემუქრება და ვალდებული ვარ კოშკში ვიცხოვრო. მაშინ ელგამ განუცხადა, მეც შენთან ვრჩები, რადგან გადაწყვეტილი მაქვს კუბოს კარამდე ერთად ვიყოთ. გამეტებით წყევლიდა ორივე ძმას, რომლებიც უსინდისოდ მოიქცნენ და გამომძალველობით მისი გულკეთილი მეუღლე ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდეს და ამტკიცებდა, არავითარი გრძნობა აღარ შეემრჩა მათ მიმართო. სასახლის კართან ძმებმა მოწყალებაც რომ მთხოვონ, ყურადაც არ ვიღებ და კარის გაღებასაც არ ვაღირსებო. ამ დროს გრაფს ვარშავაში თავის მოყვრებთან უსაუბრია და მფარველობასაც შეჰპირებო. გადასახლებაში მათთან ერთად ნამყოფი ამხანაგიც დასწრებიან...

— რა ერქვა? — ჰკითხა სტარშენსკიმ, ელგა დაფიქრდა.

— ოგინსკი! — წამოიძახა გრაფმა და უმაღლეს ცოლს შეატქერდა.

ქალს სახეზე არაფერი დასტყობია, ისე თქვა:

— ჩემი ძმების არც ერთი ამხანაგი ღმერთს არ უქნია, ის კი ყველაზე უარესია!

— ვინ ის?

— ის, ვინც შენ ახსენე!

— მაინც ვინ?

— რა თქმა უნდა, ოგინსკი! — უპასუხა ელგამ და სახეზე მკვდრისფერმა გადაჰკრა.

გრაფი სარკმელთან მივიდა და გარეთ გაიხედა. მას მიჰბაძა, მერე იდაყვით მხარზე დაეყრდნო ქმარს. ელგამაც შერხეულა. ძატი არ

— სტარშენსკი, — უთხრა მან, — გატყობ, ამ ბოლო დროს ძალიან გამოიცვალე. ისიც ვიცი, ბევრ რამეს მიმაღავ და ძველებურად აღარ გიყვარვარ.

გრაფი ცოლისკენ შებრუნდა:

— რაკი საუბარი გსურს, ბარემ მოვილაპარაკოთ. შენ ჩემი აწეწილი ნაქმეებიც იცი და მისი მიზეზიც კარგად მოგეხსენება, მაგრამ რაც მტანჯავს და მაწვალებს, ერთადერთმა მე ვიცი მხოლოდ. თუ ეს გარემოება გულზე მძიმე ტვირთად მაწევს, არანაკლებ მაღარდიანებს, ყველაფერში მე რომ ვარ დამნაშავე. რა თქმა უნდა, მამაპაპურ ავლადიდებას ასე ქარაფშუტულად რომ მოვეპყარი, ყოველმხრივ გასაკიცხი ვარ; იქნებ მაშინ დავისაჯე კიდევ, როცა ასეთი ჯიუტი და მარტოობას შეჩვეული კაცი სიცოცხლით აღსავსე გოგონაზე დავქორწინდი, ვერ გავითვალისწინე მისი უდარდებლობა, გრძნობები და მისწრაფებანი, ვერ მოვზომ-მოვიფიქრე, ჩემი ცოლი რომ გახდებოდა, ისე თუ გავწირავდი, ცხოვრებისეული ერთფეროვნება მისთვის აუტანელი გახდებოდა.

— სტარშენსკი! — წამოიძახა ელგამ და ქმარს აღერსიანი, მაგრამ საყვედურით აღსავსე თვალები მიაპყრო.

— ახლახან საზღვარგარეთ სამსახური შემომთავაზეს, — განაგრძო სტარშენსკიმ, — იქნებ ყველაზე უკეთესი ყოფილიყო რამდენიმე ხნით, შესაძლოა დიდი ხნითაც, მიმეტოვებინა წინაპართა მიწა. გუშინ ჩემი განზრახვა ჯერ კიდევ ბუნდოვნად მეჩვენებოდა, მაგრამ წუხელ დავრწმუნდი, რომ ეს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება ყოფილა.

— წუხელ, — შეეპასუხა ელგა და უნდობლად შეხედა, — წუხელ გადაწყვიტე? სად? ალბათ სათვალთვალო კოშკში, არა? სტარშენსკი გაოცებული წამოხტა.

— მიგიხვდი? — განაგრძო ქალმა, — იქიდან მოგაქვს ასეთი საშინელი აზრები? მოგზაურობის სურვილიც ხომ იქ დაგე-

ბადა? ლამაზმანიც იქ გეყოლება უთუოდ! ჭორმა ჩემს ყურამ-
დისაც მოაღწია, საბანში გახვეული ვიღაც სათვალთვალო კოშკ-
ში რომ ჩამოგიყვანია. იქნებ სწორედ ის ბედნიერი მიჯნურია,
ვისაც ყოველდღე ეალერსები, საკურთხეველთან აღთქმული
ფიცი კი გადაგავიწყდა? ესაა ჩემი ცხოვრება? წამოდი, — მიუ-
ბრუნდა იქვე მდგომ ბავშვს, — წამოდი! ჩვენ ამას მძიმე ტვირ-
თად ვაწევართ. ოჯახურ სიტკბოებას ცხოვრების სიამენი ამჯო-
ბინა!

ესა თქვა და გასასვლელისკენ გაემართა. გრაფმა გესლიანად
გადაიხარხარა, ისე ხმამაღლა, რომ თავადვე შეცბა, მოეჩვენა,
თითქოს თვითონ კი არა, ვიღაც სხვა იცინოდა. ელგა შემობ-
რუნდა.

— ასეც ვიცოდი, — თქვა მან, — რომ მეხუმრებოდი. ნუ
დამიმაღავ სათვალთვალო კოშკის საიდუმლოებას, ჩემი თვალთ
მინდა ვნახო, რაც იქ ხდება. მპირდები, რომ შემისრულებ?

გრაფი ტახტზე ჩამოჯდა და თვალებზე ხელები აიფარა.
უცებ კარის ჭრიალი შემოესმა. თითებშუა გაიხედა და მეულ-
ლის მოახლე დაინახა, რომელმაც ქალბატონს ღამის პერანგი
შემოუტანა; ელგამ ცბიერი ღიმილით თავი დაუკრა და იმწამს-
ვე უკან გაისტუმრა. მერე ტახტისკენ წავიდა, ქმარს გვერდით
მიუჯდა და შესწუწუნა:

— სტარშენსკი, მოდი, ერთხელ და სამუდამოდ შევრიგდეთ!
რამდენი ხანია მე და შენ მარტო აღარ გვისაუბრია.

ქალმა ქმარს ლოყაზე ლოყა მიადო, მერე კი მისი ხელი
თავის მთრთოლვარე გულისკენ წაიღო. გრაფს ურუანტელმა
დაუარა ტანში, თვალთ დაუბნელდა; ცოლს ხელი ჰკრა და ოთა-
ხიდან გავარდა.

შუალამის ჟამმა დაჰკრა. ციხე-კოშკში სრული სიჩუმე გამე-
ფებულიყო. ელგას თავის ოთახში ეძინა. უცბად იგრძნო, რომ
ვიღაცამ შეანჯღრია; გამოფხიზლებულმა ქალმა ლამპის უუქზე

ქმარი იცნო; გრაფმა ხელში ფარანი მოიმარჯვა და ცოლს ბრძანების კილოთი მიმართა: ადექი და ჩაიციო.

— რატომ? — ჰკითხა ქალმა.

— თქვენ ხომ გსურდათ სათვალთვლო კოშკის საიდუმლოება შეგეტყოთ. დღისით ვერ მოხერხდებოდა, მაგრამ თუ სიბნელე და ღამის სიგრილე არ გაშინებთ, შეგიძლიათ ახლა გამომყვეთ, — მიუგო კაცმა.

— ავი რამ ხომ არ განგიზრახავს? — ჰკითხა ცოლმა. — გუშინ ძალზე ახირებული მეჩვენე!

— თუ წამოსვლა არ გინდა, მაშინ დარჩი! — ურჩია სტარშენსკიმ და წასვლა დააპირა.

— შესდექ! — შეჰყვირა ელგამ. — თუ შიში დედაკაცის ხვედრია, მე დედაკაცი არ გახლავარ. ამ გაურკვეველობას ერთხელაც ხომ უნდა მოეღოს ბოლო. იქნება რამე გეშველოს და მერე მწარედაც მოინანიო.

— თუ გინდა დარწმუნდე, — შეაგულიანა სტარშენსკიმ, — მაშინ მომყევი.

ელგა საწოლიდან წამოვარდა და მხრებზე ქურქი მოიგდო. წასვლა დააპირა თუ არა, იქვე მწოლმა ბაღღმა გაიღვიძა და ტირილი მორთო.

— ეგ შენი ბავშვი ამ ციხე-დარბაზში ყველას გააღვიძებს, — უთხრა გრაფმა.

ელგას სიტყვაც არ დაუძრავს, პაწია ლოგინიდან ააყენა, თბილად შეახვია, ხელში აიყვანა და ქმარს გაჰყვა.

ბნელი და ცივი ღამე დაიჭირა. მოქუფრულ ცაზე ათასფრად ციმციმებდნენ ვარსკვლავები, მაგრამ მთვარე არსად ჩანდა, ყარიბთათვის ძნელად გასასვლელი ერთადერთი ბილიკი რომ გაენათებინა. მხოლოდ სტარშენსკის ფარნის შუქი ვიწრო ზოლად ეცემოდა მიწას და ამ შუალამისას ჩათვლემილი ბუჩქების დაბლა გართხმულ ფოთლებს ოდნავ თუ ანათებდა.

ჩაუარეს იმ ადგილს, სადაც ოდესღაც სამხეცე იყო, ახლა კი სათვალთვალ კოშკი იდგა.

შესასვლელთან ქმარმა ცოლს ჰკითხა:

— შენ გწადია, ჩემი ფარული საიდუმლო ამოიცი. გადაწყვეტილი გაქვს, გამოააშკარავო ცოლქმრული ერთგულების მოღალატე და მიჯნურის თანდასწრებით თავსლავი დაასხა. სამართლიანობა მოითხოვს, ხიფათიც და ხეირიც თანაბრად გავინაწილოთ. სანამ შესულხარ, შემომფიცე, რაშიც შენს ქმარს ადანაშაულებ, თვითონ სპეტაკი და უბიწო რომ ხარ.

— თავის დასაძვრენ მიზეზს ეძებ, ხომ? — ნიშნი მიუგო ელგამ.

— დედაკაცო! — განაგრძო გრაფმა. — თვალი გადაავლე წარსულს, აღარას ვამბობ უპატიოსნობის დაღზე, ერთი პატარა სამარცხვინო ლაქაც თუ ამჩნევია შენს გავლილ ცხოვრებას, გირჩევ, ამ ზღურბლს არ გადმოაბიჯო.

ელგამ ქმარს გვერდი აუარა და შესასვლელისკენ გაქანდა. გრაფმა კვლავ გზა გადაუღობა ცოლს და შეჰყვირა:

— ერთ ბიჯსაც ვერ გადადგამ, სანამ ბოლომდე არ დამარწმუნებ. შენს ბავშვს თავზე ხელი დაადე და დაიფიცე!

მაშინ მძინარე პაწიას ელგამ თავზე მარჯვენა დაადო და წარმოთქვა:

— მე რომ არავითარი ფიცი არ მჭირდება, ეს შენც კარგად მოგეხსენება, მაგრამ, რახან ასეა, ვფიცავ!..

— კმარა! — შეაწყვეტინა სტარშენსკიმ, — ებეც გეყოფა შემოდი და დარწმუნდი!

გრაფმა კარი გააღო. მათ ერთი ვიწრო ხვეული კიბე აათავეს და მეორეს მიადგნენ; კარი იქაც ჩარაზული იყო. გრაფმა ისიც გააღო და ორივემ დიდ დარბაზში შეაბიჯა, სადაც უავიკრეტსაბმელი ჩამოეფარებინათ. გრაფმა წინგამოწეულ მაგიდას სკამები შემოუწყყო, ფარანში ანთებული ცვილით ბრინჯაოს

მძიმე შანდლებში ჩასმულ ორ თაფლის სანთელს მოუკიდა, მაგიდის უჯრიდან შეკვრა ქალაღლი ამოიღო, დაჯდა და ცოლსაც ხელით ანიშნა, დაჯექიო; იგი მაშინვე დასკუბდა სკამზე. ელგამ ირგვლივ მიმოავლო თვალი, მაგრამ ვერავინ შენიშნა. ქალი მოსასმენად მოემზადა.

გრაფმა ქალაღლები აიღო. გადაარჩია. სინათლისკენ მიიჩოჩა და კითხვა დაიწყო: „ვალღარებ, გრაფ სტარშენსკისთან ქორწინებამდე და შეუღლების შემდეგაც ქალაქპეტის ლაშეკის ქალიშვილთან უზნეო კავშირი რომ მქონდა. ის ერთადერთი ბავშვი...“

— წარმოუდგენელი ცილისწამებაა! — დაიკვილა ელგამ და წამოხტა. — ვინ მაბრალებს ასეთ უგუნურობას?!

— ოგინსკი! — ხმას აუწია გრაფმა. — წამოდექ და დააღასტურე შენი ჩვენება!

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე სტარშენსკიმ ფარდა გადასწია; ბორკილდაღებული კაცი ჯაჭვით კედელზე იყო მიბმული და გაშლილ ხალაზე იწვა.

— ვინ მიხმობს? — იკითხა ტუსაღმა.

— ელგაა მოსული და გეკითხება, რამდენად მართალია თქვენი აუღიანი ურთიერთკავშირი! — უბასუხა გრაფმა.

— რამდენჯერ უნდა გავიმეორო ერთი და იგივე? — ჰკითხა პატიმარმა და შემობრუნებისას ჯაჭვი გააუღარუნა. — მასთან ურთიერთობა მართლაც უღიდეს სიამოვნებას მგვრიდა.

— გესმის?! — დაუღრიალა გრაფმა მეუღლეს, რომელიც გადაფითრებულიყო და აღგიღიღან არ იძვროდა. — აიღე გასაღები და ეგ კაცი ახლავე ბორკიღებისგან გაათავისუფლე.

ელგა აყოვნებდა. როცა გრაფმა ქარქაშიღდან ხმაღი ნახევრამდე ამოაძრო, მაშინ კი იკაღრა ბრძანების შესრუღება. ჯაჭვი უღრიაღლით დავარდა ძირს; ოგინსკიმ მათკენ გაღმოაბიჯა.

— რა გინღათ ჩემგან? — იკითხა მან.

— შენგნით ღრმად ვარ გულდაკოდელი, — დაუდრიალა გრაფმა. — ისიც კარგად მოგეხსენება, ვაჟკაცები და თავდაზნაურები - როგორ უსწორდებიან შეურაცხყოფისათვის. აჰა, ეს მახვილი და შევებათ! — გრაფმა სერთუკის შიგნით დამალული მეორე ხმალი იშიშვლა.

— მე დუელს არ ვაპირებ. — თქვა ოგინსკიმ.

— ვალდებული ხარ! — შედრიალა სტარშენსკიმ და ხმალი მოუღერა.

ამ ყოფაში რომ იყვნენ, უცებ კიბეზე ხმაური გაისმა. აქამდე უძრავად მდგარი ელგა ანაზღად კარს ეცა, გაღება დააპირა, თან ხმამაღლა გაჰკიოდა და შველას ითხოვდა. სტარშენსკიმ იმ დროს მიუსწრო, როცა ქალი სახელურს ეჯაჯგურებოდა, ხელი ჰკრა, გვერდზე მიაგდო და კარი ისევ ჩაკეტა. სანამ გრაფი შესასვლელთან ჯახირობდა, ოგინსკიმ ისარგებლა, სარკმელი გამოაღო და არცთუ ისე მაღლიდან-ეზოში ისკუბა. ოგინსკის არაფერი სტკენია, უვნებლად დახტა მიწაზე და როცა გრაფი ფანჯარას ეცა, ლტოლვილის ნაბიჯების ხმაც მიწყდა.

გრაფი ცოლს მიუბრუნდა:

— მართალია, შენი დანაშაულის თანაზიარი გამექცა, მაგრამ შენ ვერსად წამიხვალ!

— ნუთუ მართლა გჯერა ასეთი ცილისწამება? — წაიბუტბუტა ელგამ.

— მე ის მჯერა, რაც თავად ვიცი, — უთხრა სტარშენსკიმ, — ბავშვის სახის ნაკვთებს რომ დააკვირდები, მაშინვე თვალში გეცემა უტყუარი მსგავსება. შენ სიცოცხლის ღირსი არა ხარ, აქვე უნდა ჩაძაღლდე!

ქალი მუხლებზე დავარდა:

— შემიბრალებ მე საცოდავი! — მოთქვამდა ელგა. — რასაც ინებებ, ის მიყავი, ოღონდ სიცოცხლე შემიწარჩუნე. მომიკვამთე, უარმყავი, გინდ მონასტერში გამამწყესე, გინდ საპყრობილში

ში ჩამამწყვდიე, რათა ჩემი ცხოვრების დარჩენილი დღეები იქ
გავატარო, მაგრამ სიცოცხლე კი მაჩუქე, მხოლოდ და მხოლოდ
სიცოცხლე!

გრაფმა ცოტა დაახანა, მერე ამოთქვა:

— თუ შენს ბილწ, ნაძრახ სიცოცხლეს ყველაფერზე მაღლა
აყენებ, მაშინ იცოდე: შენი ხსნის ერთადერთი საშუალება
არსებობს.

— მითხარი, მითხარი რამე, — ამოიკვნესა ელგამ.

— ჩემს ღირსებას სამარცხვინო დალი ამ ბავშვის გაჩენამ
დააჩნია, — თქვა გრაფმა. — თუ მას სიკვდილი დაუხუჭავს
თვალებს, ვინ იცის, ეგებ ჩემი მრისხანებაც დაცხრეს. ჩვენ მარ-
ტონი ვართ, ვერავინ გვხედავს, ღამე და სიბნელე წარხოცავს
ამ დანაშაულს, მიდი და ბარემ ბოლო მოუღე!

— როგორ? მე? — დაიწვილა ელგამ. — შვილი მოვკლა?
არაკაცო! შეჩვენებულო! მაგას როგორ მიბედავ?!

— მაშინ!.. — დაიღრიალა სტარშენსკიმ და იატაკზე დაგდე-
ბულ ხმაღს ხელი დაავლო.

— შესდექ! — შეჰყვირა ელგამ, — შესდექ! თანახმა ვარ!

იგი ბავშვს მივარდა, ეხვეოდა, კოცნიდა, გულში იკრავდა,
ცხარე ცრემლებით უნამავდა სახეს.

— კიდევ ყოყმანობ? — კვლავ შეჰყვირა სტარშენსკიმ და
მისკენ გაიწია.

— არა! არა! — წამოიძახა ელგამ. — ღმერთო, შემინდე
დანაშაული, იმას რომ მაძალეებენ, რისი ჩადენაც არ შემიძლია.
მაპატიე, ჩემდა საუბედუროდ გაჩენილო შვილო!

ღედამ ბავშვი ერთხელ კიდევ მაგრად ჩაიკრა გულში, მერე
გადმოკარკლული თვალები ირგვლივ მიატარ-მოატარა და ქურქ-
ში გარჭობილ გულსაკინძს მიაგნო. მის ხელში გულსაკინძმა
გაიელვა თუ არა...

— შეჩერდი! — დაუღრიალა სტარშენსკიმ. — მსურდა გამო-

მეცადე, თავი დამეჭერებინა, რაიმე ადამიანური თუ გაგაჩნდა კიდევ, მაგრამ საბოლოოდ დავრწმუნდი, უკუნ ღამესავით ბნელი სულის პატრონი ყოფილხარ. ბავშვი კი არ უნდა გამოემშვიდობოს ამ წუთისოფელს, არამედ შენ უნდა გამოეთხოვოს სამუდამოდ სიცოცხლეს, შე სულწაწყმედილო!

ამ სიტყვების თქმა და ხმლის მოქნევა ერთი იყო; სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა; მოცელილი სხეული ბავშვს დაეცა, მაგრამ პაწიას არაფერი დაშავებია.

ახლომახლო მცხოვრებთათვის ის ღამე გახლდათ ყველა ღამეზე უსაზარლესი. ცაში ავარდნილი ხანძრით გამოღვიძებული იქაური მკვიდრნი თავიანთი თვალთ ხედავდნენ, სტარშენსკის ციხე-კოშკის დასავლეთით ახლომდებარე ძველი სათვალთვალო კოშკი როგორ გახვეულიყო ცეცხლის ალში. ეცადნენ ჩაქრობას, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს; სულ მთლად გადაბუგულ, მხრჩოლავ ნანგრევებში შავი კედლებილა აღმართულიყო. გრაფის გაღვიძება მოიწადინეს, მაგრამ არც მისი და არც ცოლშვილის კვალი არსად ჩანდა. ყველა კუთხე-კუნჭული რომ მოიარეს, ნახანძრალში ადამიანის ძვლები გამოჩხრიკეს, მაგრამ შეიძლებოდა ის სამი გვამის ნარჩენი ყოფილიყო?

ერთმა მთიელმა ღარიბმა მენახშირე ქალმა გამთენიისას ყველა მოკვდავთაგან უბედნიერეს ადამიანად ჩათვალა თავი. ცოლ-ქმარს მშვიდად ეძინა, როცა ქოხის კარზე მიუკაკუნეს. ქალი წამოდგა და კარი გააღო; ნარიჟრაჟევზე კარგად გაარჩია ნამტირალევი ბაღი, რომელიც ორი წლისა თუ იქნებოდა; პაწიას ტანსაცმელი კი არ ემოსა, ერთ დიდ შალში იყო გახვეული; ბავშვის გვერდით პატარა ყუთი იდო. როცა კოთხო გახსნეს, შიგ იმდენი ოქრო აღმოჩნდა, ცოლ-ქმარს რომ არასოდეს უოცნებია. მოკლე სათავდებო ბარათში ეწერა, ბავშვი მენახშირეთა ოჯახს ეძლევა აღსაზრდელად და გამდელს ფულადი დახმარება მომავალშიც გაეგზავნებაო.

ორი დღის შემდეგ გრაფი კვლავ გამოჩნდა თავის ხელქვეით

თებთან, რათა ვარშავაში გასამგზავრებლად მომზადებულიყო. იქ ჩასვლისთანავე ეცადა, მეფეს შეხვედროდა, რასაც მალე მიაღწია კიდევ; ამ ამბით შეძრწუნებულმა ხელმწიფემ კანცლერს უხმო და უბრძანა, შეედგინა სიგელი, რომლის ძალითაც გრაფ სტარშენსკის, ვითარცა თავისი გვარეულობის უკანასკნელ ნაშიერს, უფლება ეძლეოდა საკუთარი ნება-სურვილით ემართა სამემკვიდრო მიწა.

გრაფმა საგვარეულო მიწის ნაჭერი გაყიდა, მოგებული თანხა ვალებში დაარიგა, ნაწილი მონასტრის აგებას შესწირა, რომლის აშენება დაიწყო იქვე ახლოს, სადაც ოდესღაც ძველი, ჩანავლებული სათვალთვალო კოშკი იდგა. ასეთია ამ მონასტრის ისტორია, — თხრობა დაასრულა ბერმა.

— გრაფს რაღა დაემართა? — ჰკითხა ერთ-ერთმა უცხოელმა.

— აკი თავიდანვე გითხარით, — თქვა ბერმა, — როცა მოვრჩები, არაფერს შემეკითხოთ-მეთქი, მაგრამ თქვენსას მაინც არ იშლით! ურიცხვი პარაკლისი გადაიხადეს იმის სულის მოსახსენიებლად, ვისაც მოულოდნელმა მკვლელობამ ჩადენილი ცოდვის შუა გზაზე მიუსწრო; უბედურის სულის საცხონებლად იმ ცოდვის წინდაუხედავ დამნაშავეს დანაშაულითვე მიეზლო. გრაფი მის მიერვე დაარსებულ მონასტერში ბერად აღიკვეცა. მონასტრული ცხოვრების მყუდროებასა და მონანიების ერთფეროვნებაში თავდაპირველად შეებას პოულობდა. იმის ნაცვფეროვნებაში თავდაპირველად შეებას პოულობდა. იმის ნაცვლად, თანდათან ჩაეყუჩებინა მწუხარების ნესტარი, დრო ცოდვა-ბრალს კიდევ უფრო მძაფრად წარმოუჩენდა ხოლმე. მალე ეშმაკეულის სულმაც მოწყალების თვალთ გადახედა, რაც მისი ჩამომავლობისთვისაც არ იყო უცხო და სენაკის უდაბურება აუტანელ ტანჯვად გადაექცა. ავსულებს ესაუბრებოდა და საკუთარი თავი ეზიზღებოდა; შეშლილს რამდენიმე წლის განმავლობაში თვალყურს ადევნებდნენ. ბოლოს გამოჯანმრთელდა და დილიდან საღამომდე გარე-გარე დაეხეტებოდა. ერთ ხანს

ყველაფერი სიხარულს ჰგვრიდა, ძალ-ღონეს ტყეში მორების გადაზიდვა-გადმოზიდვაზე ხარჯავდა. მხოლოდ ღამლამობით, იმ დროს, როცა ეს საზარელი ამბავი მოხდა, ნაშუაღამევს, სულის მოხსენიებისას...

მონასტრის კედლებიდან გალობა მოისმა; ბერმა თხრობა შეწყვიტა; იმავე წუთს საათმაც ჩამოჰკრა.

ამ ხმის გაგონებაზე ბერი შეკრთა, ბაგეები აუთრთოლდა, მუხლები მოეკვეთა, გეგონებოდათ, ეს-ეს არის ჩაიკეცებაო. უცბად კარი გაიღო და ზღურბლზე მონასტრის წინამძღვარი გამოჩნდა, რომელსაც მკერდს მისი ღირსების მაჩვენებელი — მბრწყინავი ჯვარი უმშვენებდა.

— სადა ხარ აქამდე, სტარშენსკი?! — შესძახა მან. — შენი მონანიების დროც დადგა.

ბერმა ამოიკვნესა, დაჭრილი ნადირივით მოიკუნტა, შეშინებული ძაღლივით კარამდე მიიძურწა და, როცა წინამძღვარმა გასასვლელში გაატარა, იქიდან შურდულივით გავარდა.

ფიცხლავ სულიერი მამაც თან მიჰყვა და კარი გაიხურა.

უცხოელები იმდენ ხანს უსმენდნენ გალობას, სანამ ღამის სიმყუდროვეში უკანასკნელი ბგერა მიწყდებოდა, მერე კი, ცოტა მაინც რომ დაესვენათ, დასაძინებლად წავიდნენ.

ღილით წინამძღვარს სტუმართმოყვარეობისათვის დიდი მადლობა მოახსენეს და გამოემშვიდობნენ. უმცროსმა ვერ მოითმინა, გაბედა და გუშინ საღამოს მათთან მოსაუბრე ბერი მოიკითხა. პრელატმა არაფერი უპასუხა, მარტოოდენ ბედნიერი მგზავრობა უსურვა სტუმრებს.

მხედრები ვარშავისკენ გაემართნენ და გადაწყვიტეს, გამობრუნებისას უფრო დაწვრილებით გამოეკითხათ შემდგომი ამბავი ბერისა, რომელშიც, რა თქმა უნდა, საწყალი სტარშენსკი ამოიცნეს, მაგრამ, ვინაიდან საქმის ვითარება შეიცვალა და სამშობლოში სხვა გზით უნდა დაბრუნებულიყვნენ, ამის მეტი არც ბერზე და არც სანდომირის მონასტერზე აღარაფერი სმენიათ.



საბრალო მუსიკოსი

ყოველწლიურად, ივლისში, მთვარის მოვანების კვირასა და ორშაბათს, ვენაში დიდი ზარ-ზეიმი იმართება, რომელიც სხვა ზადიკთაგან განსხვავებით ნამდვილი სახალხო დღესასწაულია. ეს კვირა-უქმე თვით ხალხმა დააწესა და თვითონვე ლხინობს; თუ იმ უქმე დღეებში უბრალო მოკვდავთა შორის ვინმე დიდგვაროვანი გამოჩნდა, ისიც მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რათა ამ ლაღობის აღსანიშნავად ხალხის წრიდან გამოსულ ადამის შვილებში გაერიოს. სულ ერთია, განმარტოების საშუალება მაინც არ მიეცემა; ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე წლის წინათ რომ მოენდომებინა, ვერ განაპირდებოდა.

ამ დღეს აუგარტენში, ლეოპოლდშტადტსა და პრატერში მოზღვავებული ხალხის მხიარულებას საზღვარი აღარა აქვს, ბრიგიტენაუში კი საეკლესიო დღესასწაულს აღნიშნავენ და განცხრომას ეძლევიან. მშრომელი ხალხი, წმინდა ბრიგიტეს ერთი დღესასწაულიდან მეორემდე, თითებზე ითვლის ღირსსახსოვარ დღეებს. ბოლოს, დიდი ხნის ნანატრი სატურნალიებიც დგება. შუბლგახსნილ და წყნარ ქალაქში აზავთება იწყება. მშფოთვარე ბრბო ქუჩებს ავსებს. ისმის ფეხით მოსიარულეთა ბაკაბუკი, ადამიანების ჩურჩული, აქა-იქ ხმამაღალი შეძახილები. წოდებრივი განსხვავება ქრება; მოქალაქე და ჯარისკაცი თანარბად ინაწილებს საერთო მღელვარებას. ქალაქის კარიბჭესთან თანდათან იერიშზე გადადიან, მატულობს შეტევა, სძლევენ, მარცხდებიან, კვლავ ხელთ იგდებენ და ბოლოს და ბოლოს შესასვლელი ზღუდე დაძლეულია. მაგრამ, დუნაიზე გადებული ხიდის გადამლახავი ახალ სიძნელეს აწყდება. აქაც გამარჯვებულნი ორ ნაკადად იყოფიან, ქვემოთ — უძველეს კალაპოტში — ძველი დუ-

ნაი და ზევით კიდევ ხიდის თავთან ამდინარებული ხალხის ტალ-
და აბობოქრებულ, ნაპირებზე გადმოსულ, დატბორებულ ზღვას
მიაგავს. უცხოდ ჩამოსულ კაცს ასეთნაირი ბორგვა საეჭვოდ
მოეჩვენებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ უნაპირო მხიარულებისა
და მძაფრი აღტაცების გამოხატვაა.

ქალაქსა და ხიდს შუა უკვე გამწკრივებულა ამ საეკლესიო
დღესასწაულზე ჩამოსულ ღვთისმოსავ შვილთა — ჭემმარიტ
მორწმუნეთა და გამრჯე ადამიანთა ეტლები. მიუხედავად ამისა,
ქუჩები ოთხთვალეებითაა გადაჭედილი, რაშები მიჭენაობენ,
ხალხის ნაკადს ორად აპობენ, ხოლო როცა ჩაივლიან, უდარდე-
ლი და უვნებელი ბრბო კვლავ ერთდება. ვენაში მეეტლეებსა
და ფეხით მოსიარულეთა შორის ასეთი უთქმელი კავშირია
დამყარებული: დაოთხილი რომ მიდიოდეს ბედაური, კაციშვილს
არაფერს ავნებს და როგორი უყურადღებოც არ უნდა იყოს
ქვეითი, ცხენს ფეხებში მაინც არასოდეს ჩაუვარდება.

ყოველ წამს ოთხთვალეებს შორის მანძილი თანდათანობით
მცირდება. წარჩინებულთა ეტლები წინმავალთ შეერივნენ და
გზა მთლად გადაღობეს. ცხენები ერთ ადგილს ტკეპნიან. დალა-
მებამდე ხუთი-ექვსი საათით ადრე-ნაირ-ნაირი ეტლები და
ოთხთვალეები ისე აირივნენ და გადაიხლართნენ ერთმანეთში,
ისედაც რომ ვერ ახერხებდნენ ადგილიდან დაძვრას, ახლა, რო-
ცა ქუჩას ყოველი შესახვევიდან ახალ-ახალი ოთხთვალეები მო-
აწყდა, ნამდვილად ვერ გაამართლა ძველისძველი ანდაზა:
„ფეხით ბორიალს მაინც რამით მგზავრობა გერჩივნოსო.“ მოსე-
ირე ბრბო ერთ ადგილას მოტორტმანე ოთხთვალეებში მსხდომ
გამოპრანჭულ ქალებს მისჩერებია, თანაუგრძნობს, დასცინის.
ასე წამდაუწყუმ გაჩერებას შეუჩვეველი ჰოლშტაინური შავრა
ყალყზე დგება, თითქოს სურს წინ ჩახერგილ მდაბიოთა ეტლს
გადაახტესო, რაც აურიამულებულ ბავშვებსა და ქალებს შიშის
ზარსა სცემს. გააფთრებულ მეეტლეს მისდა უნებურად პირ-

ველად უხდება ცხოვრებაში ზარალის გამოანგარიშება, სხვა დროს გასროლილ ისარზე სწრაფი ფიაკრით ხუთი წუთის სავალ მანძილს სამი საათი რომ უნდა მოანდომოს. ისმის მეეტლეთა ლანძღვა-გინება, აყალ-მაყალი, მყრალი გადაძახილები, შიგადაშიგ მათრახიც კი გადაუჭირეს ერთმანეთს.

ბოლოს, რახან ყოველი უნუგეშო შეჩერება ამ ქვეყანაზე ამავე დროს შეუმჩნეველი წინსვლაა, იმედის სხივი ასეთ Status quo-შიც გამობრწყინდა. აგერ გამოჩნდა აუგარტენისა და ბრიგიტენაუს ხეები. მიწა! მიწა! მიწა! ყველა ტანჯვა-წვალება დავიწყებას მიეცა. ოთხთვალეებიდან გადმოსული ქალი თუ კაცი მოსეირნე ხალხის ტალღას შეეერთა, შორიდან მოისმა საცეკვაო მუსიკა, რომელსაც ახალმოსულ მოზეიმეთა შეძახილებიც შეუერთდა. ხმაური თანდათან მატულობს, მხიარულებას საზღვარი აღარ უჩანს, ტყე და მდელო, მუსიკა და ცეკვა, ღვინო და ნაირ-ნაირი გემრიელი საჭმელი, მოჩვენებები და ჯამბაზები, სადღესასწაულოდ გაჩირადდნებული ლამპიონები და ცაში ატყორცნილი შუშხუნები მთლიანდება ერთ Pays de coca-qne-დ, ელდორადოდ, ზღაპრულ ქვეყნად, რომელიც სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, როგორც გნებავთ, ორიოდე დღეს გრძელდება, შემდეგ კი ზაფხულის ღამის სიზმარავით ქრება და მხოლოდ მოგონებად ან ყოველ შემთხვევაში, ოცნებადღა თუ რჩება.

ისე ადვილად ვერ შევეგუებოდი, ამ დღესასწაულს რომ არ დავსწრებოდი. მე ძალიან მიყვარს ადამიანები, განსაკუთრებით მშრომელი ხალხი და ვითარცა დრამატურგს, გადაჭედულ დარბაზში მაყურებლების დაუოკებელი სწრაფვა ათჯერ უფრო საინტერესოდ და ჭკუის სასწავლებლად მიმაჩნია, ვიდრე ობობასავით ავტორებისგან გამოწოვილი სისხლით გაბერილი სულითა და ხორციით მახინჯი მოლიტერატორო მატადორის „ბრძნული“ მსჯელობა; ვიმეორებ, განსაკუთრებით მიყვარს ხალხი,

როცა ერთად შეიყრებიან, ცოტა ხნით საკუთარ ჭირ-ვარამსაც ივიწყებენ და თავიანთი თავი ერთიანი მთლიანის ნაწილად მიაჩნიათ, რაშიც არსებითად, ბოლოს და ბოლოს, ღვთაებრივი მადლია ჩაქსოვილი, დიახ, ღმერთია სწორედ, ყოველ სახალხო დღესასწაულს სულის ჭეშმარიტ დღესასწაულად რომ წარმოი-სახავს და მეც იქითკენ მივილტვი, როგორც ყველა მლოცველი და ღვთის მავედრებელი. მხიარულ იდუმალ სახეებს რომ ვუკვირდები, ადვილად ვხვდები სიცოცხლით აღსავსე ან გულდამ-ძიმებული ნაბიჯებით მიმავალ რომელიმე ოჯახის წევრთა დაძა-ბულ ურთიერთობასა და ზოგიერთთა უნებლიე შეძახილებს, როგორც საიდუმლოამოცნობილ გასაოცარ ამბავს, პლუტარ-ქეს წიგნის შინაარსსაც რომ სცილდება, რომელშიც ჩვეულებ-რივ ადამიანთა ბიოგრაფიებია მოთხრობილი და, მართლაც ხომ შეუძლებელია, შეიცნო დიდი ადამიანი, არ შეიგრძნო უბრალო მოკვდავის სული. შექეიფიანებული მეეტლეები ერთმანეთს ლანძღვა-გინებას არ აკლებენ, შეუძინევლად ზეცის მკვიდრთა სასუფეველისკენ მიიწევენ უწყვეტ ნაკადად და ნორჩი ქალწუ-ლის სულში, რომელიც მიჯნურის დაჟინებული ვედრების მიუ-ხედავად, თვითონაც უნდომლად ტოვებს გაფიცებულ მოცე-კვავეებს, ჯულიეტას, დიდონასა და მედეას გრძნეულება ჩაბუ-დებულა.

ამ ორიოდვე წლის წინათ მეც იოლად მივეკედლე საეკლესიო დღესასწაულით დაბანგულ სტუმრებს და ქვეითად მოსიარულე-ებში მარჯვედ შევერიე. კაცმა რომ თქვას, ძირითადი სიძნელე გადალახულიც მქონდა, რადგან ასეთი ხეტიალ-ხეტიალით აუ-გარტენის კიდესაც კი მივაღეჭი, საიდანაც უკვე კარგად მოჩან-და მონატრებული ბრიგიტენაუს თვალწარმტაცი სანახაობა. იქ საბოლოო, მაგრამ საკმაოდ მაგარი ბრძოლა კიდევ მომელოდა. ერთადერთ ვიწრო შარას გაივლიდით თუ არა, მხიარულების ახალ ფერხულში ჩაებმებოდით. ამ ორი სოფლის მიჯნაზე გავ-ლებულ გალავანს გისოსიანი ხის კარი ჰქონდა დატანებული.

ისე დღეებში, ჩვეულებრივ მოსეირნეთათვის ეს თემშარა და ალაყაფის კარი მეტისმეტად კი იყო, მაგრამ სადღესასწაულოდ გზაცა და კარიც ოთხჯერ რომ გაეფართოებინათ, მაინც ვერ დაიტევდა ხალხთა დაუსრულებელ ნაკადს, რომლებიც აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ეჯახებოდნენ და ერთმანეთს ხელს უშლიდნენ. მხოლოდ მოზეიმეთა დიდსულოვნებასა და მოთმინებას უნდა მივაწეროთ, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი კეთილად დასრულდა.

ხალხის მდინარებას მივყევი და ერთი შუკის შუაგულში აღმოვჩნდი; მართალია, ახლა მიწაზე უკვე მტკიცედ მედგა ფეხი, მაგრამ, სამწუხაროდ, იძულებული ვიყავი ხშირად გავჩერებულიყავი, მეცადა კვლავ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში გზა გამეკვლია. საკმაო დრო მქონდა, რათა იქაურობა კარგად მიმეთვალთვიერ-მომეთვალთვიერებინა. წინასწარ ნეტარებააღვსილი და სიამტკბილობას მოწყურებული ხალხი არაფრად დაგიდევდა ამდენ ლოდინს; ზოგიერთი მესაკრავე ქუჩის მარცხენა მხარეს ოდნავ განაპირებულ და ამალლებულ ადგილას მოწყობილიყო; ეტყობოდა, ეს მემუსიკენი დიდ კონკურენციას გაქცეოდნენ და იმედოვნებდნენ, ხელგაშლილი ადამიანებისგან შესასვლელშივე რაღაც გასამრჯელო მიეღოთ. იმათთაგან, უსახური მეარფე ქალი უსიცოცხლოდ იმზირებოდა, ძველისძველი ხეივანი, ხისფეხიანი კაცი თვითნაკეთ ინსტრუმენტზე დაკვრით — ძეხორციელი ვერ მიხვდებოდა ციმბალო იყო თუ ორგანი — ცდილობდა, საკუთარი ვნებანი აშკარად გამოეხატა და მსმენელების თანაგრძნობა გამოეწვია, მაგრამ, სინამდვილეში, ამ კაკაფონიით უფრო ტანჯავდა მათ. ვიოლინოსთან ერთ განუყოფელ ნაწილად შერწყმული კუზიანი ბიჭი კი განუწყვეტლივ აუღერებდა ვალსს და დაკვრისას საწყალობლად ძაგრავდა ჭლექიან მახინჯ მკერდს. და ბოლოს, მათგან შორიახლოს იდგა — სწორედ მან მიიბჟრო ჩემი ყურადღება — გაცრეცილ, მაგრამ სუფთა სერ-

თუკში გამოწყობილი მომღიმარი და თავისი თავით ერთობ
კმაყოფილი, ასე სამოცდაათი წლის მელოტი კაცი, რომელსაც
სხვა მუსიკოსებივით ყულაბის ნაცვლად მიწაზე ქუდი ედო და
ძველ, დანჯღრეულ ვიოლინოზე გატაცებით უკრავდა. დაკვრისას
ფეხების ბაკუნით როდი კმაყოფილდებოდა, მოხრილ ტანს მთლი-
ანად აყოლებდა მუსიკის რიტმს. მიუხედავად დიდი მონდომები-
სა,—მოხუცი ძალიან ცდილობდა, მუსიკის მთლიანობა და ტაქტი
არ დაერღვია,—ყოველგვარი ცდა ამაო იყო, რადგან, რასაც უკ-
რავდა, ბგერათა მონაცვლეობა უთავბოლოდ ერეოდა და შესრუ-
ლებაც ერთიან მთლიანობას, რიტმსა და მელოდიურობას კარ-
გავდა. სამაგიეროდ, ისე იყო გატაცებული და ღრმად ჩაძირული,
რომ ამ ნაწარმოების შესრულების გარდა, არაფერი ესმოდა:
ტუჩები უთრთოდა, მზერა მოუწყვეტლივ მიეპყრო ნოტისათ-
ვის, — დიახ, ნამდვილი სანოტო ფურცლისათვის! როცა სხვა
მუსიკოსები თავიანთ მახსოვრობასაც კარგად ენდობოდნენ და
უკეთესადაც უკრავდნენ, ამ წეწვა-გლეჯაში მოხუცს ცხვირწინ
იოლად სატარებელი პატარა პიუპიტრი დაედო და გაჭუჭყია-
ნებულ-დაფურცლული ნოტები ზედ დაემაგრებინა, რომლებ-
შიც იმ ნაწარმოებთა საუკეთესო ნაწყვეტები შემორჩენოდა,
რასაც ასე არეულ-დარეულად უკრავდა. სწორედ ამ უჩვეულო
სურათმა და გამვლელთა გესლიანმა ღიმილმა მიიპყრო ჩემი
ყურადღება, თანაც შევამჩნიე, მოხუცის სამოწყალო ქუდი ცა-
ყურიელი იყო, მაშინ, როდესაც სხვა მუსიკოსებმა ბლომად შეა-
ქუჩეს შავი ფული. ამ უცნაურ ტიპს კარგად რომ დავკვირვე-
ბოდი და თან ხელიც არ შემეშალა, გზის განაპირას საკმაოდ
მოშორებით დავდექი. მოხუცი რამდენიმე ხანს კიდევ უკრავდა.
ბოლოს დაამთავრა, მიმოიხედა, თითქოს გონს მოეგო, ცას ახე-
და, რომელმაც საღამოს მოახლოვება ამცნო, შემდეგ ცარიელ
ქუდს ჩააცქერდა, ნირზეუცვლელად დაიხურა და ვიოლინოს
ქამანი სიმებშუა დაამაგრა? „sunt certi denigie fines,“ თქვა,

პიუპიტრს ხელი წამოავლო და შინისკენ მიმავალ კაცს რომ მიეჩქარება ხოლმე, ზეიმზე მომწყდარი ხალხის საწინააღმდეგო მიმართულებით ძლივს გაიკვლია გზა.

მოხუცს ისეთი იერი დაჰკრავდა, თითქოს ამ ქვეყანას იმიტომ მოვლენოდა, გინდა თუ არა, მაინცდამაინც ჩემში ანთროპოლოგიური ცნობისწადილი გაედვივებინა. მაოცებდა მისი ბეჩავი, მაგრამ კეთილშობილური სახე, გამომეტყველება, ძალდაუტანებელი მხიარულება, ხელოვნების უბადლო სიყვარული და ამავე დროს ასეთნაირი უმწეო შესრულება; ისიც, როცა სხვა მისნაირებისათვის ნამდვილი საშოვრის დრო დგებოდა, მას სწორედ ახლა უნდა გაეწია შინისაკენ; ასევე გამაკვირვა თავისუფლად და შეუმცდარი მახვილით წარმოთქმულმა ლათინურმა სიტყვებმა. ამ კაცს, რასაკვირველია, სათანადო აღზრდა-განათლება და განსწავლულობა ეტყობოდა, თუმცა, ამის მიუხედავად, ჩემ წინ მათხოვრადქცეული მუსიკოსი იდგა! ერთი სული მქონდა, ამ შეუსაბამობაში რაღაც ურთიერთკავშირი გამომეჩხრიკა.

მაგრამ ხალხის მოზღვავებულმა ტალღამ მალე ის ერთ მხარეს მიაგდო, მე კი მეორე ნაპირზე გამომრიყა. გალელულ მოხუცს ხელში პიუპიტრი ეჭირა, ხან აქეთ ეხეთქებოდა, ხან იქით და როცა ალყაფის კარს გასცდა, ხალხის ნაკადს ჯერ კიდევ ხელჩართული ვებრძოდი შუაგულ ქუჩაში. ასე დამეკარგა თვალთახედვიდან და რაჟამს სამშვიდობოს გავალწიე, მუსიკოსის ალიკვალიც აღარსად ჩანდა.

მოსალოდნელი სათავგადასავლო ამბის ჩაფლავებამ სულ მთლად წამიხდინა სადღესასწაულო განწყობილება. აუგარტენი ისე ძირით-ძირობამდე მოვიარე, ერთი ბეწო კუთხე-კუნჭული არ დამიტოვებია უნახავი; გადავწყვიტე, შინ გავბრუნებულიყავი.

ამ ხეტიალში ერთ მომცრო ჭიშკარს მივადექი, საიდანაც გზა ტაბორშტრასეზე გადიოდა; უცებ ძველი ვიოლინოს ნაცნო-

ბი ხმა შემომესმა. ნაბიჯს ავუჩქარე და ამას რას ვხედავ: ჩემი ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი მოხუცი ბიჭებში ჩამდგარა, რაც ძალი და ღონე აქვს ვიოლინოს აუღარუნებს, სულსწრაფი ყმაწვილები კი გარს შემოხვევიან და სთხოვენ, გინდა თუ არა, ვალსი დაუკარიო.

— ვალსი დაუკააა! — გაიძახოდნენ ისინი, — აბა, ერთი შენებური ვალსი, არ გეყურება?

მოხუცი თავისას არ იშლიდა, აინუნშიაც არ აგდებდა იმათ თხოვნას, სანამ პატარებმა არ გააპამპულეს, ლანძღვა-გინებით არ აიკლეს და იქვე ახლო მდგომ ორგანიზტს გარს არ შემოერთყნენ.

— არ სურთ ცეკვა და... — სევდიანად წარმოთქვა მოხუცმა და საკრავი შალითაში ჩადო.

ცხვირწინ დავუდექი.

— ბავშვებმა ვალსის გარდა სხვა რამის ცეკვა არც იციან, — გავეპასუხე მე.

— მერე, მეც ვალსს არ ვუკრავდი? — მომიგო მან და სანოტე ფურცელზე იმ ნაწყვეტს დაადო ქამანი, რომელიც ახლახან დაუკრა. — მაგათი გულის მოსაგებად ხანდახან ამნაირ რამეებსაც ვუკრავ ხოლმე, მაგრამ ბავშვებს გემოვნება ღალატობთ, — თქვა და თავი ნაღვლიანად გადააქნია.

— ნება მიბოძეთ, მათი უმადურობა ცოტაოდნად მაინც გამოვისყიდ-ავანაზღაურო, — ვუთხარი, ჯიბიდან ვერცხლის ფული ამოვიღე და მოხუცს გავუწოდე.

— დიდი სიამოვნებით! დიდი სიამოვნებით! — წამოიძახა მოხუცმა და შიშისაგან აცახცახებულივით ხელები სად წაეღო, აღარ იცოდა, — მაგრამ, ქუდში ჩააგდეთ გეთაყვა, მხოლოდ ქუდში!

ფული შორიახლოს მიწაზე დაგდებულ ქუდში ჩავუძახე; გახარებულმა მოხუცმა იმწამსვე ამოიღო და ჯიბისკენ გააქანა.

— დღეს შინ კარგი ნაშოვნური ვბრუნდები, — თქვა ღიმ-
მორეულმა მუსიკოსმა.

— სიტყვამ მოიტანა და — წამოვიწყე, — თქვენმა საქცი-
ელმა ერთი შემთხვევა გამახსენა, რომელმაც, ამ რამდენიმე ხნის
წინათ, ცნობისწადილი აღმიძრა. თქვენი დღევანდელი შემოსა-
ვალი ბევრი არაფერია, სწორედ იმ დროს კი გაემზადეთ შინ
წასასვლელად, როცა ნაღდი სახეირო დრო დგება. როგორც
მოგეხსენებათ, ზეიმი მთელ ღამეს გრძელდება; ამ ერთ ღამეში
შეგეძლოთ სულ თავისუფლად იმდენს გამორჩენოდით, რასაც
ჩვეულებრივ ერთი კვირის მანძილზე ალბათ ვერ მოახერხებ-
დით. რით ავხსნათ ასეთი საქციელი?

— რით ავხსნათ ასეთი საქციელი? — გაიმეორა იგივე სიტყ-
ვები მოხუცმა. — ბოდიშს ვიხდი, რომ არ გიცნობთ, მაგრამ
გეტყობათ, გულკეთილი და მუსიკის დიდი მოყვარულ-ღამფა-
სებელი უნდა ბრძანდებოდეთ, — ესა თქვა, ვერცხლის ფულა
ერთხელ კიდევ ამოიღო ჯიბიდან, მუჭში მოიქცია და ხელი
მკერდთან მიიტანა. — რაკილა ხშირად დაუცინიათ ჩემთვის,
მინდა მიზეზიც ავიხსნათ. ჯერ ერთი, ღამღამობით არასოდეს
დავხეტიალობ და მიმაჩნია, რომ ჩემ მიერ მდარედ შესრულე-
ბული საცეკვაო ლა სასიმღერო მუსიკით უფლებაც არა მაქვს,
ვინმეს გემოვნება განვუვითარო; მეორე, ადამიანი ვალდებულია,
ყველაფერში წესრიგი დაიცვას, თორემ ველური და თავაწყვე-
ტილი გახდება; და ბოლოს, მესამე, ბატონო ჩემო, მთელი დღე
ხალხის გაუთავებელ ღრიანცელში ვუკრავ და ლუკმა პურს
ძლივს ვშოულობ, მაგრამ საღამო მე და ჩემს უიღბლო ხელოვ-
ნებას გვეკუთვნის. საღამოობით ყოველთვის შინ ვარ და... —
ხმას თანდათანობით დაუწია, სახეზე სიწითლემ გადაჰკრა, უხერ-
ხულობისგან თვალები დახარა, — შთაგონებით ვუკრავ, მხო-
ლოდ და მხოლოდ ჩემთვის, უნოტოდ. ერთი სიტყვით, ვთხზავ,
ანუ, როგორც მუსიკის სახელმძღვანელოებში წერია, იმპროვი-
ზაციას ვახდენ.

ორივენი ვდუმდით. ის დარცხვენილი იყო სანუკვარი საი-
დუმლოს გამჟღავნების გამო, მე კი გაკვირვებული იმით, რომ
კაცი, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ უბრალო ვალსის და-
კვრაც არ ძალუძდა, ახლა ხელოვნების უმაღლეს დანიშნულება-
ზე მელაპარაკებოდა. ამასობაში წასვლაც დააპირა.

— სად ცხოვრობთ? — ვკითხე მე. — მინდა, ერთხელ მაინც
თქვენს მარტოეულ მეცადინეობას დავესწრო.

— ოჰ, — ისე ამოიოხრა, თითქოს შეევედრაო, — განა არ
იცით, როცა ლოცულობთ, მარტოეულმა უნდა ილოცოთ?

— მაშ, დღისით გესტუმრებით, — არ ვეშვებოდი მე.

— დღისით, — მომიგო მან, — მადლიანი ხალხისგან მცირე-
ოდენ საზრდოს ვშოულობ.

— კეთილი, მაშინ დილა იყოს.

— ისე გამოდის, — გაიღიმა მოხუცმა, — თითქოს თქვენ, მო-
წყალეო ხელმწიფევ, გლახა იყოთ, მე კი, თუ ნებას მომცემთ ას-
ეთნაირად გამოვთქვა, თქვენი მწყალობელი. ნამეტნავად თავაზი-
ანი ჩანხართ, მე კი მეტისმეტად კერპი. თქვენი სტუმრობა, დია-
ხაც, დიდი პატივი იქნება ჩემთვის. ერთი თხოვნა მექნება მხო-
ლოდ, გულახდილად მითხარით, როდის ინებებთ მოსვლას, რა-
თა წინასწარ შევთანხმდეთ, თქვენც რომ არაფერმა შეგიშალოთ
ხელი და მეც დაწყებული საქმე უთა გზაზე არ მივატოვო. რო-
გორც მოგახსენეთ, დილაობით არა მცალია. ჩემს წმინდა მოვა-
ლეობად მიმაჩნია, კეთილისმყოფელ და გამკითხავ ხალხს საკად-
რისი მივუზღო. მათხოვარი კი არ გეგონოთ, მოწყალეო ბატო-
ნო. კარგად ვიცი, ქუჩის ზოგიერთი მუსიკოსი იმითაც კმაყო-
ფილდება, დილიდან საღამომდე ერთხელ და სამუდამოდ გაზუთ-
ხულ მელოდიას, გერმანულ ვალსს ან უხამს სიმღერას რომ
აუღარუნებს და მათ თუ მაინც ამწყალობებენ, მხოლოდ იმად,
რათა თავიდან მოიშორონ, ან კიდევ მათი დაკვრა, საცეკვაო
მუსიკა იქნება თუ სამარცხვინო გასართობი მელოდია, მსმე-

ნელთ აწ უკვე გარდასულ სიამტკბილობაზე აუშლის ფიქრებს. მარტო მახსოვრობით რომ უკრავენ, ამიტომაცაა წამდაუწუმ ეშლებათ. მე არა მჩვევია ამნაირი ცრუპენტელობა. ვინაიდან არცთუ ისეთი კარგი მეხსიერება მაქვს, რაკილა ცნობილ კომპოზიტორთა ამდენი ქმნილებანი არც ისე ადვილი დასამახსოვრებელია, ამიტომ ამ რვეულებში სუფთად გადავწერე საკუთარი ხელით.

მოხუცმა სათითაოდ გადაშალა სანოტო ფურცლები და, ჩემდა გასაოცრად, ძველ სახელგანთქმულ ოსტატთა გამორჩეული უძნელესი ნაწარმოებების თითქოს გულდასმით გამოყვანილი, მაგრამ რთული პასაჟებითა და ორმაგი აკორდით შავად აჭრელებული აჩხაბაჩხა ხელნაწერი მიჩვენა. თავისი მოუქნელი თითებით მოხუცი სწორედ ამ ნაწარმოებებს უკრავდა.

— ამ ნაწარმოებთა შესრულება, — განაგრძო მან, — მავალდებულებს, მდგომარეობის და ღირსების მიხედვით დიდი პატივი მივაგო ამა ქვეყნიდან დიდი ხნის წინათ წასულ ოსტატთა და ავტორთა ხსოვნას, თავად მეც დიდ კმაყოფილებას მანიჭებს და იმ სასიკეთო იმედით ვსულდგმულობ, რომ ჩემი მსმენელების უხვი დამწყალობება ტყუილუბრალოდ კი არ იყრება წყალში, არამედ ნაზღაურდება კეთილშობილი ზემოქმედებით მათ სულსა და გემოვნებაზე, რადგან სხვებისგანაც კმარა, რასაც თავგზას უბნევენ და ცუდ ზეგავლენას ახდენენ. ჩემს სიტყვაზე ჯიქურ იმიტომ ვდგავარ, — პირზე თვითკმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა მოხუცს, — რაკილა მუყაითი მეცადინეობაა საჭირო, დილის საათებიც სწორედ მისთვის მაქვს დათმობილი. დილაობით სამ საათს ხელის გაწაფვას ვუნდები. დღისით ლუკმაპურისთვის ვირჯები, ხოლო საღამო მე და ჩვენს გამჩენ ღმერთს გვეკუთვნის; ვფიქრობ, ურიგოდ არა მაქვს განაწილებული დრო, — დაასრულა და თვალები აუწყლიანდა, თან კვლავინდებურად იღიმებოდა.

— კეთილი, — ვუთხარი მე, — ერთ მშვენიერ დილას როგორმე შემოვირბენ. სად ცხოვრობთ?

— გერტნერგასეზე.

— რომელ ნომერში?

— ოცდაათობმეტში, პირველ სართულზე.

— მართლა? — წამოვიდახე, — მდიდრების სართულზე?

— სახლი, კაცმა რომ თქვას, ერთსართულიანია, მაგრამ სხვენში პატარა ოთახია გამოყვანილი, სადაც ორ ქარგალთან ერთად ვცხოვრობ.

— სამნი ერთ ოთახში?

— არა, სამად გვაქვს გაყოფილი; ერთ კუთხეში საკუთარი საწოლიც მიდგას.

— უკვე გვიანია, თქვენ კი სახლისკენ მიიჩქაროდით. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ! — ესა ვთქვი და ხელი ჯიბეზე ვიკარი, რათა ადრე მიცემული მცირე თანხა გამეორმაგებინა, მაგრამ მან ერთი ხელი პიუპიტრს დაავლო, მეორით ვიოლინოს სწვდა და აჩქარებით მომადახა:

— ნება მიბოძეთ, გთხოვოთ, რომ ამ დაკვრის ჰონორარი მთლიანად განაღდებულა, მე კი ჯერჯერობით ამაზე მეტი ნამდვილად არ დამიმსახურებია.

მოხუცმა სიტყვის დამთავრებისთანვე მდაბლად, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ტლანქად დამიკრა თავი და, როგორც მის დაძაბუნებულ ფეხებს ძალუძდათ, ისეთი სიმარდით გაეშურა.

როგორც ვთქვი, დღეს ისე წამიხდა ხასიათი, მოზეიმე ხალხში აღარ გავერიე, პირი ლეოპოლდშტადტისკენ ვიბრუნე და სახლისკენ მიმავალ გზას დავადექი, თუმცა სიცხისა და მტვრისგან შეწუხებულმა და არაქათგამოლეულმა მალე ერთ საზაფხულო რესტორანს მივაშურე, სადაც ჩვეულებრივ დღეებში ტევა არ არის ხოლმე, მაგრამ ამჯერად რესტორანს ყველა თავისი კლიენტი ბრიგიტენაუსთვის გადაელოცა. მოყაყანე ბრბოსგან მოშორებით გამეფებულმა მყუდროებამ ცოტა გამომაცოცხლა და თავში ათასმა ფიქრმა გამირბინა, რომელთა შორის მოხუც

მუსიკოსსაც თავისი წილი ედო; კარგა ხნის შეღამებული იყო, როცა ბოლოს და ბოლოს შინ წასვლა გადავწყვიტე; დანახარჯი მაგიდაზე დავდე, და ქალაქის ქუჩას გავუყევი.

მოხუცმა აკი თქვა, გერტნერგასეზე ვცხოვრობო.

— აქ, სადმე ახლოს, გერტნერგასე ხომ არ გეგულება? — ვკითხე გზაზე მოტუნტულე ბიჭს.

— აგერ იქ, ბატონო! — ხელი გაიშვირა ბიჭუნამ შესახვევისკენ, რომელიც გარეუბანში აშენებული ბინების მოშორებით პირდაპირ ტრიალ მინდორს უერთდებოდა.

გეზი ნაჩვენები გზისკენ ავიღე. გზატკეცილის ორივე მხარეს ერთმანეთისგან დაშორიშორებულ საკმაოდ გაშლილ ბაღ-ჩა-ბაღებში კერძო სახლები მოჩანდა, რომელთა ნახვისას იქ მცხოვრებთა საქმიანობაცა და ქუჩის უძველესი სახელწოდებაც გამვლელთათვის თვალშისაცემი იყო.

ნეტა რომელ ხუხულაში ცხოვრობს ჩემი ობროდი?

ბინის მისამართი ჩემდა უნებურად თავიდან ამომივარდა, ნომრის დანახვის იმედი კი ასეთ სიბნელეში ნამდვილად არა მქონდა. ამ დროს ზურგზემოკიდებული ბოსტნეულით წელში მოხრილმა კაცმა ჩამიარა.

— ეს ჩვენი მოხუცი ისევ აწრიბინებს ვიოლინოს და პატიოსან ხალხს მოსვენებას არ აძლევს! — წაიბურტყუნა მან.

რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, უეცრად, ცოტა მოშორებით, ერთსართულიანი უსანათო სახლის ღია ფანჯრიდან, რომელიც სხვა ბინებისგან სწორედ ამ სამერცხულით განსხვავდებოდა, ვიოლინოს წყნარი და გაბმული ხმა ჩამესმა ყურში. შევჩერდი. ძლივგასაგონი, მაგრამ საკმაოდ მკვეთრი ბგერა ძლიერდებოდა, მერე სუსტდებოდა, ყუჩდებოდა, ხელახლა აბობოქრდებოდა და თითქოს განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს იმეორებდა, რაც მუსიკოსს, ეტყობოდა, ერთგვარ სიამოვნებას ჰგვრიდა. ბოლოს, როგორც იქნა, დადუმდა. გავარჩიე, რომ

ეს იყო კვარტა. მევიოლინე თუ აქამდე ცალკეული ტონალობით ტკბებოდა. აკორდთა ჰარმონიულ შეწყობა-შეხამებას ამჯერად კიდევ უფრო მეტი სიშმაგით განიცდიდა. ხან მოულოდნელი ჩამოკვრით წარმოიქმნებოდა ბგერები, ხან სიმებზე ზომიერი შეხებით; ხმა შუალედურ აკორდთან იხლართებოდა და მიატანდა თუ არა ტერციას, ისევ იგივეს იმეორებდა. შემდეგ გოდებასავით მთრთოლავ და ხანგრძლივ ხმას შერწყმული კვინტა ერთხანს ჩაჩუმდა, მერე თავბრუდამხვევი სისწრაფით განმეორდა, შეერთდა და კვლავ აჟღერდა. მოხუცი ამას იმპროვიზაციას ეძახდა. კაცმა რომ თქვას, ასეთი დაკვრა მართლაც იმპროვიზაცია იყო, მაგრამ მსმენელისთვის კი არა, მხოლოდ და მხოლოდ შემსრულებლისთვის.

არ ვიცი, ეს დაკვრა რამდენ ხანს გაგრძელდებოდა და რა რიგ გააღიზიანებდა მსმენელს, რომ უცბად კარი გაიღო, ბინიდან ნიფხავ-პერანგის ამარა კაცი გამოვიდა, ქუჩის შუაგულამდე მივიდა, კისერი წაიგრძელა და სამერცხულში შესძახა:

— აღარ დაამთავრებ, ბოლოს და ბოლოს?

კაცს გაბრაზებული ხმა კი ჰქონდა, მაგრამ არა ღვარძლიანი და შეურაცხმყოფელი. ვიოლინოს წრიპინი მანამდე შეწყდა, სანამ კაცი სიტყვას დაასრულებდა. კაცი სახლში შებრუნდა, ფანჯარა მიხურა და მალე ჩემს ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უცნობ მისახვევ-მოსახვევებიდან ძლივძლივობით გამოვალწიე და შინისკენ გავემართე; გზაზე მიმავალი ჩემთვის რაღაცეებს ვლიღინებდი, მაგრამ ისე, რომ ხელი არავისთვის შემეშლია.

კარგად ვიცი დროის ფასი და ძალიან მიყვარს დილის საათები. ინათებს თუ არა, ისეთი სურვილი მეუფლება, ასე მგონია, დილიდანვე უნდა შევუდგე რაღაც დიადისა და მნიშვნელოვანის ძიებას, რათა დარჩენილი დრო ავინაზღაურო. ამიტომ დილაობით ძალზე მიჭირს ბინის მიტოვება, მაგრამ თუკი ოდეს-

მე უმიზნოდ და ნაძალადევად გარეთ გავედი, მერე მთელი დღე ან უაზროდ უნდა ვირთობდე თავს, ან კიდევ სევდა-ნალგელი მიღრღნიდეს გულს. მოხუცს კი დავუთქვი, დილით შეგხვდები-მეთქი, მაგრამ ისე მოხდა, რომ სტუმრობა რამდენიმე დღით გადავდე. ბოლოს, რაკილა მოუთმენლობამ იძალა, გზას გავუ-დექი. გერტნერგასეც ადვილად მოვძებნე და ბინასაც იოლად მივაგენი. ვიოლინოს ხმა ამჯერადაც გამოდიოდა, მაგრამ დახუ-რული ფანჯრიდან მელოდია ვერ გავარჩიე. სადარბაზოში შევა-ბიჯე. მებაღე ქალს ისე გაუკვირდა და ენა იმნაირად დაება, ძლივს მიმასწავლა, კიბეს სხვენამდე რომ უნდა ავყოლოდი. ნახევრად ღია დაბალი კარის წინ შევდექი, დავაკაკუნე, მაგრამ რახან არავინ გამომეპასუხა, სახელურს ვწვდი, შევალე და ოთახ-ში შევედი. მოულოდნელად საკმაოდ ფართო, მაგრამ გახრეკილ საბინადროში აღმოვჩნდი, რომლის კედლები წაწვეტილი ჭერით თავდებოდა. იქვე კართან ჭუჭყიანი და არეულ-დარეული საწო-ლი იდგა, მის გარშემო კი ძველძვეულები ეყარა. ჩემ წინ, ვიწრო ფანჯარასთან, ასევე ღარიბული, მაგრამ გულმოდგინედ დალა-გებული ლოგინი და საკმაოდ სუფთა ზედსახური მოჩანდა. სარ-კმელთან მიდგმულ პატარა მაგიდაზე სანოტო ფურცლები და საწერ-კალამი ეწყო, რაფაზე კი ორი საყვავილე ქოთანის იდგა. სადგომის შუაგულში, ერთი კედლიდან მეორემდე ცარცით სქელი ხაზი გაევლოთ და ამის მნახველი ძნელად თუ წარმო-იდგენდა სისუფთავისა და სიბინძურის უფრო მკვეთრ განსხვა-ვებას, გავლებული ხაზის სხვადასხვა მხარეს რომ გამეფებუ-ლიყო და ამ პაწია სამყაროს ეკვატორად ქცეულიყო.

სუფთად და ფაქიზად ჩაცმული მოხუცი ხაზთან დადგმულ პიუპიტრს ჩასჩერებოდა და ვიოლინოზე გულმოდგინედ ვარ-ჯიშობდა. ჩემი თვალისჩინის — ვშიშობ, მარტო ჩემი გამორ-ჩეული ყოფილიყო, — მიერ აუღერებულ არაკეთილხმოვან ბგე-რებსა და დისჰარმონიაზე იმდენი ვილაპარაკე, აღარ მინდა, ამ

ჯოჯობეთური კონცერტის აღწერით მკითხველს თავი მოვაბეზ-
რო. ვინაიდან ცალკეულ ნაწყვეტებზე ვარჯიშობდა. გაფიქრე-
ბადაც არ ღირდა ხორცშესასხმელი ნაწარმოების გამოცნობა,
თუმცა არც მაშინ იქნებოდა ადვილი, ესა თუ ის ქმნილება
მთლიანად რომ შეესრულებინა. ცოტა ხანს რომ მივაყურადე,
ბოლოს და ბოლოს ამ ხლართებში თითქოს რაღაცას მივაგენი და
ჩემდა უნებურად ცნობილი უგუნურობის მეთოდი აღმოვაჩინე:
როცა მოხუცი უკრავდა, იმ დაკვრით ტკბებოდა კიდევც. მუსიკა-
ში ორად ორ რამეს არჩევდა მხოლოდ — კონსონანსსა და დი-
სონანსს, რომელთაგან პირველი არა მარტო დიდ სიხარულს
ჰგვრიდა, არამედ აღტაცებაშიც კი მოჰყავდა, მაშინ როდესაც,
მეორეს, ჰარმონიულადაც რომ აეწყო, შეძლებისდაგვარად
გაუბრებოდა. იმის ნაცვლად, დაკვრისას მახვილი შესაბამისად
შინაარსსა და რიტმზე დაესვა, განსაკუთრებულ ყურადღებას
კეთილხმოვან და შუალედურ ბგერებს ანიჭებდა, ზედმეტად
აგრძელებდა, ამასაც არ სჯერდებოდა, თვითნებურად რამდენ-
ჯერმე იმეორებდა, რის შემდეგ სახეზე შმაგი გამომეტყველება
აღებეჭდებოდა ხოლმე. რაკილა ცდილობდა, რაც შეიძლება სწრა-
ფად შეესრულებინა დისონანსი, ხოლო მისთვის დაუძლეველ
ურთულეს ნაწყვეტებს, რომელთაგან კეთილსინდისიერად არც
ერთ ბგერას არ ტოვებდა, სხვა ნაწყვეტებთან შედარებით ძალ-
ზე ღუნედ ასრულებდა, მუსიკალური ქაოსი იქმნებოდა. კონ-
ცერტი მალე ყელში ამომივიდა. რაღა არ ვილონე, რა ხერხს
აღარ მივმართე, ეგზალტაციური მდგომარეობიდან გამომეყვა-
ნა, მაგრამ ამაოდ; განზრახ ქუდი დავაგდე. მოხუცი მოულოდნე-
ლობისგან შეხტა, მუხლები აუკანკალდა და კინაღამ ვიოლინო
ხელიდან გაუვარდა. უფრო ახლოს მივედი.

— ო, ეს თქვენ ბრძანდებით, მოწყალეო ბატონო? — თქვა
მან, როცა ცოტა გონს მოეგო. — არ მეგონა, თუ სულგრძელ
დაპირებას შეასრულიბდით.

მოხუცმა სკამი შემომთავაზა, ოთახი მიალაგ-მოალაგა, ვი-
ლინო იქვე მისდო, შემდეგ დაბნეულად მიმოიხედა, უცებ კა-
რის გვერდით მაგიდაზე პირქვე დამხობილ თეფშს დაავლო
ხელი და გარეთ გავიდა. მესმოდა, მებაღე ქალს რომ ესაუბრე-
ბოდა. მალე შემობრუნდა, ზურგს უკან თეფში დარცხვენით
ეჭირა და საიდანაც აიღო, უჩუმრად იმავე ადგილას დადო.
ეტყობა, მებაღე ქალს ჩემს გასამასპინძლებლად ხილს ესესხა,
მაგრამ მან უარით გამოისტუმრა.

— ძალიან მყუდროდ ცხოვრობთ, — ვუთხარი, რათა უხერ-
ხულობა გამეფანტა.

— ვცდილობ, სისუფთავე დავიცვა და ყოველგვარ ძველმანს
გარეთ გადავუძახებ ხოლმე, თუ, რა თქმა უნდა, ამ ხაზს გადა-
ცილებული არ არის, — თქვა მოხუცმა და ოთახის შუაგულში
ცარცით გავლებულ ხაზზე მიმანიშნა. — ამის იქით ორი ქარ-
გალი ცხოვრობს.

— ისინიც კეთილსინდისიერად იცავენ საზღვარს?

— ისინი არა, მე — კი, — მიპასუხა. — მხოლოდ კარი
გვაქვს საერთო.

— მერე, მათი მეზობლობით ხელი არ გეშლებათ?

— ისე რა; მართალია, შინ გვიან ბრუნდებიან და ხშირადაც
მალვიძებენ, მაგრამ ჩაძინების სურვილი მალე აღმედვრის ხოლ-
მე. სამაგიეროდ, დილაობით, როცა ჩემს ოთახს ვალაგებ, მათი
გალვიძება მიწევს. ბიჭებიც ერთს კარგად შეიკურთხებიან და
გზას გაუდგებიან.

საუბრის დროს მოხუცი თავით ფეხამდე ავათვალ-ჩავათვა-
ლიერე. სუფთად და ლაზათიანად ეცვა, ასაკთან შედარებით
კარგად გამოიყურებოდა, მოკლე ფეხები აუშნოებდა ოდნავ,
თორემ ხელები ძალზე მოხდენილი ჰქონდა.

— გატყობთ, რომ მაკვირდებით; რაზე ჩაფიქრებულხართ? —
მკითხა მან.

— ერთი სული მაქვს, თქვენი თავგადასავალი შევიტყო, — მოკლედ მოვუჭერი.

— თავგადასავალი? — გაიმეორა მან. — რა თავგადასავალი უნდა მქონდეს. დღევანდელი დღე გუშინდელსა ჰგავს, ხვალინდელი — დღევანდელს ემგვანება. ვიცი, ზეგინდელიც ასეთივე იქნება და მერე, აბა, ვინ რა იცის? მხოლოდ ღმერთმა უწყის ყოველივე და ის თუ იზრუნებს.

— ამჟამინდელი ცხოვრება, შესაძლებელია, მართლაც ერთფეროვანი გქონდეთ, — განვაგრძე მე, — მაგრამ თქვენი ჭაბუკობისდროინდელი ბედ-იღბალი მაინტერესებს. როგორ მოხდა, რომ...

— რომ მუსიკოსი გამოვედი? — პირიდან სიტყვა გამომტაცა მოხუცმა, რაკილა უნებლიედ შევყოვნდი.

მოვუყევი, შეხვედრისთანავე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და რარიგ მომეწონა მის მიერ ლათინურად წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა.

— ლათინურად, — გაიმეორა მან. — ლათინურად, არა? რა თქმა უნდა, ოდესღაც ვსწავლობდი, უფრო სწორად, შემეძლო და უნდა მესწავლა კიდევ. Loqueris latine? — მომმართა მან. — მაგრამ სწავლის გაგრძელება ველარ შევძელი. მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ამას ეძახით ჩემს თავგადასავალს? რანაირად მოხდა? დიახ, რასაკვირველია, სხვადასხვა მიზეზთა გამო. თვითონ მწყურია, ერთხელ კიდევ მოვუთხრო ჩემს თავს. რაიმე ხომ არ გადამავიწყდა. ჯერ მაინც ადრეა, — განაგრძო მან და ხელი ჯიბისკენ წაიღო, საათზე რომ დაეხედა, მაგრამ არ აღმოაჩნდა. ჩემი საათი ამოვიღე. ცხრას ცოტაღა უკლდა.

— საკმაო დრო გვაქვს და, ცოტა არ იყოს, ლაყბობის ხასიათზეც მოვედი, — თქვა მოხუცმა.

თანდათან ძალდაუტანებლად და თავისუფლად ალაპარაკდა, წელში გასწორდა, თავპატიყის გარეშე ქუდი გამომართვა, სა-

წოლზე დადო, დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და მთხრობელის შესაფერი პოზა მიიღო.

— უსათუოდ, — წამოიწყო მოხუცმა, — გაგონილი გექნებათ სასახლის კარის მრჩეველი... — და ერთი სახელმწიფო მოღვაწე დაასახელა, რომელსაც გასული საუკუნის მეორე ნახევარში, მართალია, კანცელარიის მმართველის საკმაოდ მოკრძალებული თანამდებობა ეჭირა, მაგრამ თითქმის მინისტრის ძალაუფლება ჰქონდა მინიჭებული და თავის დროზე დიდი გავლენითაც სარგებლობდა. დავუდასტურე, იმ ადამიანის სახელი ნამდვილად მსმენია-მეთქი.

— ჰოდა, ის კაცი მამაჩემი იყო, — თქვა მან.

მამა? ამ მოხუცი მუსიკოსის მამა? მათხოვრის? ასეთი გავლენიანი, ყოვლისშემძლე პიროვნება და მისი მამა? ეტყობა, მოხუცმა გაკვირვება ვერ შემამჩნია და გულდაჯერებით განაგრძო თხრობა.

— სამ ძმათაგან მე შუათანა ვიყავი; სახელმწიფო სამსახურში ორივენი დაწინაურდნენ, მაგრამ არც ერთი ცოცხალი აღარ არის; ამ ქვეყანაზე ჯერჯერობით მე დავრჩი, — თქვა თვალებდახრილმა მოხუცმა და გაქუცული შარვლიდან ბეწვები გადაიბერტყა. — მამაჩემი პატივმოყვარე და ფიცხი კაცი იყო. ჩემი ძმები ყველაფერს სწრაფად უსრულებდნენ, მე კი გონებაჩლუნგი შემარქვა. ისე, კაცმა რომ თქვას, ცოტა შუბლმაგარი ნამდვილად გახლდით. როგორც მახსოვს, — განაგრძო და ნიკაბით როგორც მახსოვს, თუ არ ვცდები, რასაკვირველია, ყველაფრის სწავლა შემეძლო, თუ დროს მომცემდნენ და სწავლებასაც ცოტა რამ წესრიგს შეიტანდნენ. ჩემი ძმები ერთი საგნიდან მეორეზე არჩევებით გადახტოდნენ, ზერელედ რაღაცას დაისწავლიდნენ და იმითაც კმაყოფილდებოდნენ, მე კი თუ ძირითადობამდე არ ჩავწვდებოდი, ერთი სიტყვაც რომ გამომეტო-

ვებინა, ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყოს. ამიტომ, ჩემდა უნებურად, ყოველთვის ვიჩაგრებოდი. ახალი სულ ერთთავად იქითკენ მიილტვოდა, საიდანაც ჯერ ძველს ფეხი არ მოეცვალა, მაგრამ გავჯიუტდებოდი და ერთ ადგილს ვტკეპნიდი ხოლმე. ასე შემაძაგეს მუსიკა, რომელიც ახლა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს და ჩემი ცხოვრების ძირითად საყრდენად მიმაჩნია. საღამოობით, ბინდბუნდში, როცა ვიოლინოს მოვიმარჯვებდი, უნოტოდ რომ დამეკრა ჩემებურად და მისი ხმით დავმტკბარიყავი, საკრავს ხელიდან გამომტაცებდნენ და მეუბნებოდნენ, აპლიკატურა გაგიფუჭდებაო, და მაშინვე გაკვეთილზე მიკრავდნენ თავს, სადაც უკვე ჩემი ტანჯვა-წამება იწყებოდა. არასოდეს არაფერი მჯავრებია ცხოვრებაში ისე, როგორც მაშინ ვიოლინო მძაგდა.

მამა ძალზე უკმაყოფილო იყო ჩემი ქცევით, საღამოს სიტყვებს არ იშურებდა და მემუქრებოდა, რომელიმე სახელოსნო მასწავლებელში მიგაბარებო. სიტყვა ვერ შევბედე, თორემ ამაზე ბედნიერება რა იქნებოდა! დიდი სიამოვნებით გამოვიდოდი ხარატი ან ასოთამწყობი. თვითონ ისეთი ამაყი იყო, ამას არასოდეს იზამდა. დადგა სკოლის გამოსაშვები გამოცდები; მამაჩემის გული რომ მოეგოთ, გამოცდებზე დასასწრებად დაიყოლიეს. უსინდისო მასწავლებელმა წინასწარ გამაფრთხილა, რასაც შემეკითხებოდა; ამდენად, ყველაფერი კარგად წარიმარათა. ჰორაციუსის ლექსს რომ ვამბობდი, ერთი სიტყვა მთლად გადამავიწყდა. მასწავლებელმა თავი გადააქნია, მამაჩემს გაუღიანა. ვცდილობდი, თვითონ მომეგონა და ისე ღრმად ვიყავი ნახა. ვცდილობდი, თვითონ მომეგონა და ისე ღრმად ვიყავი ფიქრებში ჩაძირული, არაფერი გამიგია. მასწავლებელმა რამდენჯერმე გაიმეორა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს და ბოლოს მამაჩემს მოთმინების ფიალა აევისო. „Cachinum!“ (აი, ეს სიტყვა დამამოთმინების ფიალა აევისო. „Cachinum!“ (აი, ეს სიტყვა დამავიწყდა), დაიღრიალა გაცეცხლებულმა. მოსახდენი მოხდა. ამ

სიტყვის გახსენებამ ყველაფერი გადამავიწყა. ბევრს ეცად-
ნენ, რათა ფეხზე წამოვეყენებინე, მაგრამ საქმე გათავებული
იყო. ბოლოს დარცხვენილი წამოვდექი. როცა მამას ჩვეულები-
სამებრ ხელზე საკოცნელად მივუახლოვდი, მან ხელი მკრა,
აღგა, იქ დამსწრეთ მოხდენილად დაუკრა თავი და წავიდა. „Ce
queux“, — მლანძღავდა ის, რაც მაშინ არ ვიყავი, ახლა კი ნამ-
დვილად ვარ. მშობლების სიტყვა ხანდახან წინასწარმეტყველუ-
რია. საერთოდ, მამაჩემი, კეთილი კაცი გახლდათ, მაგრამ ფიც-
ხი და ამპარტავანი იყო.

იმ დღიდან მოყოლებული მამას ჩემთვის ხმა აღარ გაუცია.
მის განკარგულებებს შინაურებისგან ვიგებდი. მეორე დღესვე
გამომიცხადეს, შენი მეცადინეობა დამთავრებულიაო. ამან ძალ-
ზე შემაშფოთა, რადგან მივხვდი, როგორი გულნატკენი უნდა
ყოფილიყო მამა. მთელი დღე არაფერი გამიკეთებია. მხოლოდ
მწარედ ვტიროდი, შუალედებში ენის წაუბორძიკებლად ვიმე-
ორებდი ლათინურს, ყველაფერს ვსწავლობდი, განსაკუთრებით
კი იმ სტროფებს, გამოცდაზე რომ გავიჩხირე. აღვუთქვი, უნი-
ჭოს, მონდომებითა და სიბეჯითით დამეძლია ყოველივე, თუ
მომავალში სწავლის გაგრძელების უფლება მომეცემოდა, მაგ-
რამ მამაჩემი მიღებულ გადაწყვეტილებას აღარასოდეს გადა-
თქვამდა ხოლმე.

რამდენიმე ხანს მამისეულ სახლში უსაქმოდ ვიყავი. ბოლოს
საცდელად ერთ-ერთ კანტორაში გამამწესეს, თუმცა არითმეტი-
კაში არასოდეს ვყოფილვარ ძლიერი. სამხედრო სამსახურიც
შემომთავაზეს, მაგრამ ისე მეზიზღებოდა, ცივი უარით გავის-
ტუმრე. მუნდირის დანახვაზე ტანში დღესაც კი ჟრუანტელი
მივლის. შინაურებსა და ახლობლებს საფრთხისგან რომ იცავენ,
გასაგებიცაა და მისასალმებელიც, მაგრამ, როცა სისხლის ღვრა-
სა და ადამიანის დასახიჩრებას კაცი ხელობად გაიხდი... არა!
არა და არა! — დაიქუხა მოხუცმა და მხრებზე ისეთნაირად

მოიჭირა ხელები, თითქოს საკუთარი და სხვათა ნაჭრილობევიც ერთნაირად ტკივაო.

ასეა თუ ისე, ერთ კანცელარიაში მოვეწყვე გადამწერად. ის ადგილი ჩემთვის ზედგამოჭრილი იყო. დიდი ხალისით ვასრულებდი წერით სამუშაოებს და უნდა ვაღიარო, რიგიან ქალაქებზე კარგი მელნით წმინდა ხაზების გავლებაზე ან სიტყვებისა და ასოების ლამაზად გამოყვანაზე თავშესაქცევი საქმე დღესაც არაფერი მეგულება. განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრიდა ნოტების სუფთად გადაწერა, თუმცა მაშინ მუსიკაზე საერთოდ არ ვფიქრობდი.

მუყაითობა არ მაკლდა, მაგრამ ძალზე იშვიათი ვიყავი. სასვენო ნიშნების უზუსტოდ ხმარება ან ხელნაწერში გამოტოვებული სიტყვა, თუნდაც შინაარსს არა დაშავებოდა რა, მწარე წუთებს განმაცდევინებდა ხოლმე. ერთთავად ვყოყმანობდი და შიშისგან სული მელეოდა, ჩემებურად გადამეწერა თუ ორიგინალს ზუსტად გავყოლოდი; მუშაობით ჩემი მემართებოდა, უქნარას სახელი კი გამივარდა. რამდენიმე წელს ჯამაგირიც არ ამიღია; როცა ჩემი რიგიც მოვიდა და ჩინის მონიჭებაზე დადგა საქმე, საბჭოს სხდომაზე მამაჩემმა ხმა სხვას მისცა, რასაც მის პატივსაცემად დანარჩენებმაც მხარი დაუჭირეს.

— ამ დროს... აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, — მცირე ხნით თხრობა შეწყვიტა, — მართლაც თავგადასავლის მსგავსი რაღაც გამოდის. მაშ, განვაგრძოთ ეს ამბავი! ამ დროს ჩემს ცხოვრებაში ორი დიდი მოვლენა მოხდა: ყველაზე სამწუხაროც და ყველაზე სასიხარულოც. სახელდობრ: მამისეული სახლიდან წასვლა და სანუკვარი მუსიკისკენ მიბრუნება, ჩემს ვიოლინოსთან კვლავდაბრუნება, რომელიც დღევანდლამდე ჩემი ერთ-

გულია.

ვცხოვრობდი მამისეული ბინის ერთ პატარა უკანა ოთახში, რომლის ფანჯრები მეზობლის ეზოში გადიოდა. პირველად ოჯახ-

თან ერთად ვსადილობდი; ამ ხნის განმავლობაში კაციშვილი არ გამომლაპარაკებია. როცა ჩემი ძმები ახალ თანამდებობაზე გადაიყვანეს, მამაჩემს კი ხშირად პატიუებდნენ და თითქმის ყოველდღე უწევდა სტუმრად წასვლა, — დედა დიდი ხანია ცოცხალი აღარ იყო, — მიზანშეუწონლად მიიჩნიეს, სამზარეულო მარტო ჩემი გულისთვის მოეცდინათ. კვების გასამრჯელოს მოახლეებიც იღებდნენ და მეც, მაგრამ ფულს ხელზე კი არ მაძლევდნენ, არამედ ყოველთვის ერთ-ერთ რესტორანში მიხდიდნენ. ამიტომ ჩემს ოთახში ყოფნა მხოლოდ საღამოობით თუ მიწევდა. მამა მოითხოვდა, საკანცელარიო მუშაობის დამთავრების შემდეგ, სახლში, სულ ცოტა, ნახევარი საათი მაინც დავრჩენილიყავი ხოლმე. მეც, თვალების სისუსტის გამო, შებინდებისას მარტოდმარტო ვიჯექი ჩაბნელებულ ოთახში. რაღაზე არ ვფიქრობდი იმ დროს და არც მოწყენილი ვიყავი და არც გახარებული.

ერთხელ, ასე რომ ვიჯექი, მეზობლის ეზოდან სიმღერა შემომესმა. ბევრი ჰანგი გამიგონია, მაგრამ ის მელოდია განსაკუთრებით მომეწონა. ასეთი მკაფიო, გულში ჩამწვდომი და მეტყველო სიმღერისთვის სიტყვები ზედმეტიცაა. საერთოდ, მე თუ მკითხავთ, სიტყვა მხოლოდ ხელს უშლის მუსიკას. — მან პირი დაადო და ხრიწიანი ხმით წაიმღერა. — ხმა ბუნებამ დაბადებიდანვე არ მომმადლა, — თქვა და ვიოლინოს სტაცა ხელი. ამჯერად შეუცდომლად დაუკრა საკმაოდ სასიამოვნო ჰანგი, მაგრამ არცთუ ისე გამორჩეული სიმღერა, თანაც სიმებზე შეხებისას თითები აუკანკალდა და ლოყებზე ცრემლი ჩამოუგორდა.

— ესაა ის სიმღერა, — თქვა მოხუცმა და ვიოლინო გვერდზე გადადო. — ყოველდღიურად დიდი სიამოვნებით ვუსმენდი, მაგრამ როგორ ცინცხლადაც არ უნდა ჩამრჩენოდა მეხსიერებაში, ვერასდროს მივალწიე, ცხოვრებაში ერთხელ მაინც სწორად წამემღერა. ყოველ წამს ველოდი ამ სიმღერას. უეცრად

თვალში მეცა ვიოლინო, რომელიც ჭაბუკობიდან მოყოლებულ-
ლი, როგორც ძველი და გამოუყენებელი რამ საგანი, სულ
კედელზე ეკიდა. მაშინვე ვტაცე ხელი, მაგრამ მოშლილი აღმო-
ჩნდა; ალბათ ჩემი არყოფნის დროს მოახლეები უკრავდნენ
ხოლმე. რაწამს ქამანი ვიოლინოს სიმებს შევახე, მოწყალეო
ბატონო, მომეჩვენა, თითქოს უზენაესმა თავისი მარჯვენა შემო-
მაშველა. სასიამოვნო ბგერები სულის კუნჭულს აღწევდნენ და
კვლავ უკან ამოქროდნენ. ჩემ გარშემო დამათრობელი სურნე-
ლი ტრიალებდა. ეზოში მოსმენილი სიმღერა და ამ თითებით
ამეტყველებული ვიოლინოს ხმა იყო ჩემი მარტოობის ერთად-
ერთი მეგობარი. მაშინ დავიჩოქე და ხმამაღლა ლოცვა აღვა-
ვლინე, მაგრამ მაინც ვერ ჩავწვდი, აქამდე რატომ არ ვიცოდი
ამ ღვთიური საკრავის ფასი, ასე რად მძაგდა ბავშვობაში; ვიო-
ლინოს გაშმაგებით ვკოცნიდი, გულში ვიკრავდი და ვუკრავდი,
გაუთავებლად ვუკრავდი.

მელოდია, რომელსაც ქალიშვილი ეზოში ღიღინებდა, განუ-
წყვეტლივ მესმოდა, მაგრამ მისი გამეორება არცთუ ისე იოლი
აღმოჩნდა.

ამ სიმღერის ნოტები არ მქონდა. შევნიშნე, ოდესღაც ვიო-
ლინოზე რასაც ვუკრავდი, თითქმის ისიც დამვიწყებოდა. რაიმე
ნაწარმოების დაკვრა კი არ შემეძლო, ისე, სასხვათაშორისოდ
ვუკრავდი. ამიტომაც, რომ დღემდე რასაც ვუკრავ, გარდა იმ
სიმღერისა, ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია. მართალია, გი-
ლაც-ვილაცეები ვოლფგანგ ამადეუს მოცარტისა და სებასტიან
ბახის ქმნილებებს ასრულებენ, მაგრამ მაღალ ღმერთს მაინც
ვერავინ შესწვდება. აბა, ვის ძალუძს უნაკლოდ გადმოსცეს
ბგერისა და ხმის მარადიული მადლი და სიკეთე, მისი სასწაულ-
მოქმედი შეთანხმებულ-შეწყობილება ვნებიანი და დაუკმაყო-
ფილებელი სმენის საშუალებით ისე, რომ... — განაგრძობდა
დინჯად და თან სახეზე აღმური ასდიოდა, — მესამე ხმა პირ-

ველს შეერწყოს, მეხუთე — მესამეს და რომ *nota sensibilis*-მა ახდენილ ოცნებასავით ჰაერში ფრინველივით შეინავარდოს, ხოლო დისონანსმა ავი განზრახვისა ან ქარაფშუტული ყოყლო-ხინობისთვის ქედი მოიხაროს მის წინაშე, რომ მოხდეს შეერთებისა და განზიდვის სასწაული, რომლის წყალობითაც სეკუნდა და ჰარმონიის ნაწილად გარდაიქმნას. ყოველივე ეს, ცოტა მოგვიანებით, ერთმა მუსიკოსმა ამიხსნა. ისიც, რაც ბოლოს და ბოლოს მაინც ვერ გავიგე, *fuga* და *punktum contra punktum* და *canon a duo, a tre* და ა. შ., მთლიანი ციური შენობა ღმერთის ხელითაა შედუღაბებული და აღმართული. ეს ამბავი, რამდენიმე კაცის გარდა, არავის სურს მოისმინოს. უფრო მეტიც, ადამიანები წინ ეღობებიან სულის ლად ქროლვას და სიტყვებსაც არ იშურებენ, ღვთის შვილები როგორ უერთდებიან მიწიერ ქალიშვილებს და ბოლოს რა შედეგი მოსდევს მას. მოწყალეო ბატონო, — დააბოლოვა ქანცმილეულმა, — ადამიანებს საზრდოსავით სჭირდებათ მეტყველება, მაგრამ სასმელსაც კარგად უნდა მოვუფრთხილდეთ, რადგან ისიც უზენაესისგან გვაქვს ბოძებული.

ჩემი მოხუცი ისე გამოცოცხლდა, ძლივსლა ვცნობდი. ცოტა ხანს დადუმდა.

— რაზე შევჩერდი? — თქვა მცირე დაყოვნების მერე — ჰო, მართლა, სიმღერაზე და რომ უნდა დამეკრა. მაგრამ არაფერი გამომივიდა. უფრო გარკვევით რომ მომესმინა, სარკმელს მივუახლოვდი. ამ დროს მომღერალმა ეზო გადაიარა. მართალია, ზურგიდან მოვკარი თვალი, მაგრამ ვირწმუნე, ნაცნობი უნდა ყოფილიყო. ეტყობა, კალათში გამოუცხობი ნამცხვარი ეწყო. ქალიშვილს სიმღერა არ შეუწყვეტია, ეზოს კუთხეში ჭიშკარი გამოაღო და იქვე შეჩერდა, რადგან ეტყობოდა, სახაბაზო ახლოს იყო; ხის ჯამების ჯახუნმა ჩემამდე მოაღწია; სიმღერა ხან მინელდებოდა, ხან კი მკაფიოდ ისმოდა იმ ხმასავით, ადამიანი

რომ დაიხრება, სიცარიელეში ჩასძახებს, მერე კვლავ წელში გასწორდება და ჩვეულებრივ განაგრძობს სიმღერას. სულ მალე უკან გამობრუნდა და მაშინ პირველად შევნიშნე, რატომაც მეჩვენა ნაცნობად. მართლაც, დიდი ხანია ვიცნობდი; სხვათა შორის, ჩვენს კანცელარიაში მყავდა ნანახი.

საქმის ვითარება ასეთი იყო. სამუშაო დილაადრიან იწყებოდა და საღამომდე გრძელდებოდა. ახალგაზრდა მოხელეები, რომლებსაც მართლა მოშივებოდათ ან სურდათ ნახევარი საათით შეესვენათ, ჩვეულებისამებრ თერთმეტი საათისთვის წასახემსებლად რამეს ყიდულობდნენ. ვაჭრები, ყველაფერში რომ ხეირს ეძებენ, ღორმუცელებს გზას უმოკლებდნენ და მიუხვევ-მოუხვევლად სასუსნავი შენობაში მოჰქონდათ: ან კიბესთან მოყუჩდებოდნენ ანდა დერეფანში აიტუზებოდნენ. ხაბაზი პატარ-პატარა ნაზუქებს ყიდდა, მეზღვე ქალი კი ალუბალს ასაღებდა. მაგრამ სუყველას ღვეზელი ერჩია, რომელსაც მეზობლად მცხოვრები ვინმე გრიზლერის ქალიშვილი თავად აცხობდა და მათ ცხელ-ცხელს სთავაზობდა. მყიდველნი დერეფანშივე გარშემო ეხვეოდნენ. იგი იშვიათად თუ შეივლიდა რომელიმე ოთახში, სადაც კანცელარიის უჟმური მმართველი, მოჰკრავდა თუ არა თვალს, მაშინვე გარეთ გააბრძანებდა ხოლმე; გულნატკენი ქალიშვილი ბუზლუნ-ბუზლუნით წავიდოდა.

არც ერთი ჩემი ამხანაგი გოგონას ლამაზმანად არ თვლიდა. ძალზე პატარად მიაჩნდათ და ისიც ვერ გამოეცნოთ, რა ფერის თმა ჰქონდა. კატისთვალეობა რომ იყო, ზოგიერთს ეჭვი ეპარებოდა, მაგრამ ნაყვავილარ სახეს ერთხმად აღიარებდნენ. ჩამკვრივებული ტანისა რომ იყო, ამაზეც ყველა კვერს უკრავდა; იმასაც ამბობდნენ, ცოტა თავაგდებულთაა; ჩვენმა თანამშრომელმა გაგვანდო: ერთხელ ისეთი სილა გამაწნა, ლოყა მთელი კვირა მეწოდოდა.

პირადად მე მისგან არასდროს არაფერი მიყილია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფული არ მქონდა, მეორეც, საჭმელ-სასმელი ყოველთვის აუცილებლობად არ მიმაჩნდა (ხანდახან ზედმეტადაც) და აზრად არ მომსვლია, ჭამა-სმაში ოდესმე სიამე და კმაყოფილება მეძია. ერთმანეთს ამიტომ არ ვიცნობდით. ერთადერთხელ, ამხანაგებს რომ გავებრაზებინე, დააჯერეს, თითქოს ღვეზელის ყიდვა მსურვებოდეს. ის ჩემს საწერ მაგიდას მოადგა და კალათი გამომიწოდა.

— არაფერი არ მინდა, ძვირფასო გოგონავ! — ვუთხარი მე.

— თუ არაფერი გსურთ, მაშ, ხალხს ტყუილუბრალოდ რაღაზე აწუხებთ? — გაბრაზებით წამოიძახა მან.

როცა ამხანაგების ოინებს მივხვდი, ყველაფერი გულახდილად მოვახსენე და ბოდიშიც მოვუხადე.

— ჯანდაბას, რაც არის, არის, ღვეზელის გასახვევად ერთი ფურცელი მაინც მიწყალობეთ, — მთხოვა მან.

ავუხსენი, ქალაღი ჩემი კი არა, კანცელარიის ქონებაა, სახლში კი ბლომად მაქვს და თუ გნებავთ, მოგიტანთ-მეთქი.

— სახლში მეც ბლომადა მაქვს, — თქვა დამცინავი ღიმილით და წავიდა.

ეს ამბავი რამდენიმე დღის წინ მოხდა და მეც მსურდა ამ გაცნობით მესარგებლა. ვინაიდან სახლში ქალაღი მართლა არ გვაკლდა. მეორე დილასვე, რაც სერთუკის ჯიბეში ფურცლები ჩამეტეოდა, ჩავიჩარე და კანცელარიისკენ გავწიე; საკუთარი თავი რომ არ გამეცა, ჯავშანი დიდი წვალეებით შუადღემდე უნდა მეტარებინა, სანამ ამხანაგების ფუსფუსით, გასვლა-შემოსვლითა და ყბების მოძრაობით არ მივხვდი, ღვეზელის გამყიდველი მოსული უნდა ყოფილიყო; ამასობაში მყიდველთა რაოდენობა კიდევაც შეთხელდა. ამით ვისარგებლე, ოთახიდან გამოვედი, ჯიბიდან ქალაღი ამოვიღე, ძალ-ღონე მოვიკრიბე და გოგონასკენ გავემართე, რომელსაც კალათი იატაკზე ედგა და სკამზე,

რომელზედაც ჩვეულებრივ იჭდა ხოლმე, მარჯვენა ფეხი შემოდო; გოგონა წყნარად ღიღინებდა და ტაბურეტზე შედგმულ ფეხს სიმღერას რიტმულად აყოლებდა. როცა მივუახლოვდი, თავიდან ფეხებამდე ამათვალ-ჩამათვალიერა, რამაც კიდევ უფრო შემაცბუნა.

— ძვირფასო გოგონავ, — როგორც იქნა მოვახერხე, — ამას წინათ ქალაღდი მოხოვეთ. მაშინ არ მქონდა. ახლა სახლიდან მოვიტანე და თუ... — ვთქვი და ქალაღდი გავუწოდე.

— ხომ მაშინვე გიპასუხეთ, ქალაღდი სახლში მეც ბლომადა მაქვს-მეთქი, — მომიგო მან. — ისე, შესაძლებელია, გამომადგეს.

ესა თქვა, თავი მოხდენილად დამიკრა, საჩუქარი გამომართვა და კალათში ჩადო.

— ღვეზელი არ გნებავთ? — მკითხა, თან ნახელავს გადახედა, — თუმცა კარგები უკვე დაიტაცეს.

მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, თქვენთან სულ სხვა სათხოვარი მაქვს-მეთქი.

— ნუთუ მართლა? — მკითხა მან, მკლავი კალათის სახელურში გაუყარა და მკვირცხლი თვალები შემომმანათა.

სხაპასხუპით დავადევნე, მუსიკის დიდი მოყვარული გახლავართ და არცთუ ისე დიდი ხანია, თქვენი შესანიშნავი სიმღერები მოვისმინე, განსაკუთრებით ერთი ძალიან მომეწონა-მეთქი.

— თქვენ?.. ჩემი სიმღერები?.. — წამოიძახა მან. — სად? მაშინ საუბარი განვაგრძე და ვუთხარი, აქვე მეზობლად ვცხოვრობ, ეზოში თქვენს საქმიანობას თვალყურს ვადევნებ, ერთი სიმღერა ძალიან მომეწონა და ვიოლინოზე გადატანაც მივცადე-მეთქი.

— ესე იგი, ისა ხართ, — წამოიყვირა გოგონამ, — ვიოლინოს ასეთნაირად რომ აწრიპინებთ?

როგორც ვთქვი, მაშინ ჯერ კიდევ ახალბედა ვიყავი; მოგვიანებით, ამ თითების სიმარღე რომ განმევეითარებინა, დიდი ჯაფა დამადგა, — შეწყვიტა თხრობა მოხუცმა და მარცხენა ხელის თითები ისეთნაირად ამოძრავა ჰაერში, გეგონებოდათ, ვიოლინოზე უკრავსო.

მისი ნათქვამის გაგონებაზე სისხლი თავში ამივარდა, — განაგრძო თავგადასავალი, — მაგრამ, როცა სახეზე შევაცქერდი, წამოსროლილი სიტყვები თვითონვე ინანა.

— ძვირფასო გოგონავ, — ვუთხარი მე, — ვიოლინოს სწორედ იმიტომ ვაწრიბინებ, ამ სიმღერის ნოტები რომ არა მაქვს, ამიტომ, ძალიან გთხოვთ, თუ არ შეწყუხდებით, ეს სიმღერა დამიწეროთ.

— დაგიწეროთ? — გაიკვირვა გოგონამ. — ეს სიმღერა დაბეჭდილია და ქუჩის ყველა კუთხეში იყიდება.

— სიმღერა? — შევეპასუხე მე. მარტო სიტყვები რაში გამოვიყენო.

— დიახ, სიტყვები... სიმღერა...

— მუსიკა სადღა ვიშოვო?

— ნუთუ იმასაც წერენ? — იკითხა მან.

— რა თქმა უნდა! — დაბეჯითებით ვუპასუხე, — ეგაა მთავარი. თქვენ როგორ შეისწავლეთ, ძვირფასო გოგონავ?

— მოვისმინე, როგორც მღეროდნენ და მეც მივბაძე.

მისმა თანდაყოლილმა ნიჭმა განმაცვიფრა. საერთოდ, გაუნათლებელ ადამიანებში უამრავი ტალანტია, მაგრამ ეს ხომ ნამდვილი, ჭეშმარიტი ხელოვნება არ არის. კვლავ სასოწარკვეთილება დამეუფლა.

— მაინც როგორია ის სიმღერა? — იკითხა მან. — იმნაირი სიმღერები იმდენი ვიცი.

— ყველა უნოტებოდ?

— რა თქმა უნდა. მითხარით, რომელი სიმღერა მოგწონთ?

— ყველაზე შესანიშნავი, — ვალიარე მე — ჯერ მაღალ კილოზე სრულდება, შემდეგ თითქოს სულის სიღრმეში იჭრება და ბოლოს ნელ-ნელა ყუჩდება. ყველაზე ხშირად იმას მღერით ხოლმე.

— აჰ, ალბათ ეს იქნება! — თქვა მან, კალათი კვლავ იატაკზე დადგა, ფეხი სკამზე შემოსდო და წკრიალა ხმით დაიმღერა; თავი ისე ლამაზად და ნაზად დახარა, სანამ სიმღერას დაამთავრებდა, მის მკლავს წავეტანე.

— ოჰო, — წამოიყვირა მან, ხელი გამომტაცა, ალბათ იფიქრა, ეს ვიღაცაა თავს ზედმეტ უფლებას აძლევსო, მაგრამ არა, მე მიწოდდა მხოლოდ ხელზე მეკოცნა, მერე რა, რომ გოგონა ღარიბი იყო. ამჟამად მეც ღარიბი არა ვარ?!

რაკილა სიმღერის ხელში ჩაგდების წადილი გამიქარწყლდა და სასოწარკვეთილმა თავში ხელი ვიტაცე, გოგონამ დამამშვიდა და მითხრა: პეტერსკირხეს ორგანიზტი მამაჩემის მაღაზიაში ხშირად დაიარება ჯავზის საყიდლად, იმას ვთხოვ ეს სიმღერა ნოტებზე გადაიტანოს და ამ რამდენიმე დღეში გადმოგცემთო. გოგონამ კალათს ხელი წამოავლო და წავიდა. კიბემდე მივაცილე. კიბის ზედა საფეხურზე რომ ვიდექი და ის-ის იყო გამოვეშვიდობე, კანცელარიის მმართველმა შეგვნიშნა; მე მუშაობის გაგრძელება მიბრძანა, გოგონა კი კარგა ლაზათიანად გალანძლა, რადგან, მისი აზრით, კეთილი სულისა არ უნდა ყოფილიყო. მისმა საქციელმა ძალზე აღმაშფოთა და დავაპირე პირში მიმეხალა, თქვენის ნებართვით, სრულიად საწინააღმდეგო აზრისა ვარ-მეთქი, მაგრამ კაბინეტში შემასწრო. მეც თავი შევიკავე და ჩემი საწერი მაგიდისკენ გავემართე. ალბათ, იმ დღიდან ვედარავინ დააჯერებდა, დაუდევარი მოხელე და გარყვნილი რომ არ ვიყავი.

მართლაც, იმ დღეებში სიმღერის ჰანგი გონებიდან არ მცილებოდა და ისე ვიყავი თავბრუდასხმული, არაფრის კეთება აღარ

შემეძლო. გაიარა რამდენიმე დღემ, მაგრამ არ ვიცოდი, ნოტებისთვის ღირდა თუ არა შევლა. როგორც გოგონამ თქვა, ორგანისტი მამამისის მალაზიაში ჯავზის საყიდლად დადიოდა, რომელსაც ალბათ ლუდს აყოლებდა, მაგრამ რამდენიმე დღე გრილი ამინდი დაიჭირა და ხომ შესაძლებელია, პატივცემული მუსიკოსი ღვინოს მისძალებოდა და ჯავზი კარგა ხანს აღარ დასჭირვებოდა? თუ ნოტებისთვის მისვლა ნაადრევი გამოვიდოდა, ვშიშობდი, უპატივცემულობასა და უზრდელობაში არ ჩამოერთმიათ, არადა, თუ დიდხანს ვალოდინებდი, მაშინ გულგრილობა არ დაეწამებინათ. გოგონასთან დერეფანში დალაპარაკება კი ვერ გადამეწყვიტა, რადგან ადრე საუბრის დროს ამხანაგებმა რალაც იცნოსეს და ერთი სული ჰქონდათ, როდის გამპენტავდნენ.

ამასობაში ხელახლა შევუდექი ვიოლინოზე გულმოდგინე მეცადინეობას და ძირფესვიანად შევისწავლე დაკვრის ხელოვნება; ხანდახან თუ მივცემდი თავს იმპროვიზაციის უფლებას, მაშინაც ფანჯარას მაგრად ჩავკეტავდი ხოლმე, რადგან ვიცოდი, ჩემი დაკვრა არავის მოსწონდა. სარკმელი ღიაც რომ ყოფილიყო, ჩემი საყვარელი სიმღერა მაინც არ ისმოდა. მეზობელი გოგო ან სულ აღარ მღეროდა, ან თუ ღიღინებდა, ისიც კარდახურულ ოთახში და, რალა თქმა უნდა, ვერაფერს გავიგონებდი.

ბოლოს და ბოლოს, სამიოდე კვირამ რომ განვლო, ვეღარ მოვითმინე. ის კი არა, ორ საღამოს მალულად დავიარებოდი შესახვევში უქუდოდ, რათა, მოხელეები თუ დამინახავდნენ, ჰგონებოდათ, ალბათ, რამეს ეძებსო, მაგრამ გრიზლერის სარდაფს რომ მივადგებოდი, ისეთი კანკალი ამიტანდა, მსურდა თუ არა, მაშინვე უკან უნდა გამოვბრუნებულიყავი. ბოლოს, როგორც უკვე ვთქვი, ვეღარ მოვითმინე. ერთ საღამოს ძალ-ღონე მოვიკრიბე, ოთახიდან გავედი (მაშინაც უქუდოდ), კიბეს ჩავუყევი, შესახვევს დავადექი და მტკიცე ნაბიჯით გრიზლერის

მალაზიისკენ გავწიე. მიახლოებისას ცოტა ხანს შევეყოვნდი და ჩავფიქრდი, მერე როგორღა მოვქცეულიყავი.

სარდაფში სინათლე ენთო და ლაპარაკი ისმოდა. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ დავიხარე და შიგნით შევიხედე. ნაცნობი გოგონა დახლთან იჯდა და ხის ვარცლში ცერცვსა და ლობიოს არჩევდა. მის წინ ბეჭებზე ქურთუკმოგდებული, ზორბა და ჯანლონით სავსე მამაკაცი იდგა, რომელსაც ხელში რალაცნაირი კეტი ეჭირა და ერთი შეხედვით ყასაბს მოგაგონებდათ. როგორც ეტყობოდათ, ორივენი კარგ ხასიათზე იყვნენ და ტკბილად ჭუჭუკებდნენ; გოგონამ ერთი ორჯერ ხმამაღლაც გადაიხარხარა, ოღონდ არც თავი აუწევია და არც მუშაობა შეუწყვეტია. არ ვიცი, ცუდად რომ ვიყავი გადახრილი იმიტომ, თუ რა დამემართა, ისევ კანკალმა ამიტანა; უცებ ვილაცამ ქეჩოში ჩამავლო ხელი და წინ გამიგდო. თვალის დახამხამებაში თავი სარდაფში ამოვყავი; როცა კისერზე ხელი მიშვეს და ირგვლივ მიმოვიხედე, მეღუქნე შევიცანი, რომელიც თურმე შინ ბრუნდებოდა და როცა შემნიშნა, ფანჯარაში საეჭვოდ ვიჭვრიტებოდი, ასეთნაირად გამიმასპინძლდა.

— დალახვროს ეშმაკმა! — დაიღრიალა მან, — ახლა კი გასაგებია, შებინდებისას კალათებიდან რად ქრება ქლიავი, და პეშვობით ცერცვი და ქერი. მეხი დაგტყდომოდეს მაგ თავზე! — ესა თქვა და ისეთი გამეტებით მეძგერა, თითქოს თავდატყდომაში თავისი თავი ეგულისხმოს.

ერთი ხანობა თავი მიწასთან გასწორებულად ჩავთვალე, მაგრამ, როცა გამიელვა, ჩემს პატიოსნებაში ვილაცას ეჭვი შეეპარა, უცბად გონს მოვეგე და თავშეკავებულობა ვამჯობინე. იმ ბრიყვს ჯერ თავმდაბლად მივესალმე, მერე კი მოვახსენე, ქლიავისა და ქერისთვის კი არ მოვსულვარ, თქვენს ქალიშვილს ვესტუმრე-მეთქი. მაშინ შუაგულ სარდაფში მდგომმა ყასაბმა გულიანად გადაიხარხარა და გასასვლელისკენ გაემართა. მან

რამდენიმე წამის წინ გოგონას ყურში რაღაც რომ ჩასჩურჩულა, მან კი ნიშნის მოგებით ბეჭებზე ხელი ღონივრად წაუტყაპუნა და ეშმაკურად გადაიკისკისა.

გრიზლერმა სტუმარი გააცილა. იმ დროს სულ მთლად დაეკარგე მხნეობა და უჩუმრად ვიდექი გოგონას წინ, რომელიც ლობიოსა და ცერცვს ისე გულგრილად არჩევდა, თითქოს ამ სარდაფში მომხდარი ამბავი სულაც არ ეხებოდა. უცებ კარი გაიღო და მაღაზიაში კვლავ მამამისი შემოვიდა.

— ათასჯერ დალაზვროს ეშმაკმა! — თქვა მან, — რა გნებავთ, ბატონო, ჩემი ქალიშვილისგან?

შევეცადე, საქმის ვითარება და მოსვლის მიზეზი ამეხსნა.

— რაო? სიმღერაო? — ვედარ მოითმინა, — ახლავე გიმღერებთ, როგორც საჭიროა! — თქვა და რიხიანად აღმართა და დაუშვა მარჯვენა.

— აი, აქ დევს, — წარმოთქვა გოგონამ ისე წყნარად, რომ ვარცლზე დაყრილ ჭოტოვან მცენარეებში ხელის რევა არც შეუწყვეტია; შემდეგ სავარძლიანად გვერდზე გადაიხარა და თითი დახლისკენ გაიშვირა.

იქითკენ გავქანდი და სანოტო ფურცელი დავლანდე. ალბათ ის სიმღერა იყო, მაგრამ მოხუცმა დამასწრო, სწვდა სასწაულებრივ ფურცელს და დაჭმუჭნა.

— გეკითხები, ეს რა არის? ან ეს კაცი ვინაა?

— ეს ბატონი კანცელარიაში მუშაობს, — უპასუხა გოგონამ და მატლიანი ცერცვი შორს მოისროლა.

— კანცელარიაში? — დაიყვირა მან.— ამ სიბნელეში უქუდოდ?

უქუდოდ იმიტომ გამოვედი, აქვე მეზობლად ვცხოვრობ-მეთქი, მოვახსენე და ჩემი ბინა ავუწერე.

— ის სახლი კარგად ვიცი! — ყვიროდა გაავებული. — იქ,

მრჩევლის გარდა, არავინ ცხოვრობს, — და მამაჩემის გვარი წამოაყრანტალა, — მოსამსახურეებსაც კი ვიცნობ.

— მე მრჩევლის შვილი გახლავართ, — ისე ხმადაბლა ვთქვი, თითქოს ვატყუებდი.

ბევრი ცვალებადობა მინახავს ცხოვრებაში, მაგრამ ამ სიტყვების მერე ასე უეცრად სახეშეცვლილი და გუნებაგარდაქმნილი კაცი ჩემს დღეში არსად შემხვედრია. შესაგინებლად დაფიქრებული პირი ღია დარჩა, თვალები კვლავ მრისხანედ უელავდა, მაგრამ ნიკაპსა და ტუჩებზე ღიმილისმაგვარი რაღაც გამოუკრთა და ბოლოს ნელ-ნელა გაიღრიჭა. გოგონა უწინდებურად წელში ოდნავ მოხრილიყო და უხალისოდ მუშაობდა, ეგ იყო მხოლოდ, თავი მოხდენილად აიქნია და გაწეწილი თმა ყურებიდან უკან გადაიყარა.

— ბატონ კარის მრჩევლის შვილი? — წამოიყვირა მოხუცმა და სახე გაეზადრა. — თქვენი კეთილშობილება სკამზე დაბრძანებას ხომ არ ინებებს? ბარბარა, სტუმარს სკამი მოართვი! — გოგონა სავარძლიდან ზანტად წამოიზლაზნა. — დამაცა ერთი, შე ჩუმჩუმელა! — უსაყვედურა ქალიშვილს, მერე იქვე მდგარი სავარძლიდან კალათი გადმოდგა, ჩვრით გადაწმინდა და დაბრძანდითო, შემომთავაზა. — ჩვენთვის დიდი პატივია, — ენას აღარ აჩერებდა, — ბატონო მრჩევლო, უფრო სწორად, ბატონო მრჩევლის შვილო, ჩანს, მუსიკას თქვენც ეწაფებით, არა? ალბათ ჩემი ქალიშვილივით მღერით, რა თქმა უნდა, ბევრად უკეთესადაც, უთუოდ ნოტებით, როგორც, საერთოდ, ნამდვილ ხელოვნებას შეჰფერის.

გამოვუტყდი, სამწუხაროდ, ბუნებას ამით არ დავუჭილდოვებივარ-მეთქი.

— თუ დიდგვაროვანი ადამიანებივით ფორტეპიანოზე უკრავთ?

ვალღარე, მხოლოდ ვიოლინოზე ვახერხებ-მეთქი.

— ერთ დროს, ჭაბუკობაში, ვიოლინოს მეც ვაწრიბინებდი! — წამოიყვირა მან.

„ვაწრიბინებდის“ წარმოთქმისთანავე ჩემდა უნებურად გოგონას შევხედე და შევატყვე, ისეთი ირონიული ღიმილი დასთამაშებდა, რომ უხერხულობისგან შევიშმუშნე.

— ალბათ გნებავთ, გოგონას ყურადღება მიიქცით, რასაკვირველია, მხედველობაში მაქვს მუსიკალური ყურადღება, — განაგრძობდა საუბარს. — საამური ხმა და ბევრი ღირსება აქვს, მაგრამ, ღმერთო დიდებულო, არაფრის შნო რომ არ მისცა უფალმა! — დაასრულა და მარჯვენა ხელის ცერა და სალოკო თითები რამდენჯერმე გაატკაცუნა.

შემრცხვა, დაუმსახურებლად მუსიკის ამდენი ცოდნა რომ მომაწერეს, და მსურდა, ყველაფერი გულწრფელად ამეხსნა, როცა ქუჩიდან ვილაც გამვლელმა ჩამოგვძახა:

— სალამო მშვიდობისა, თქვენს თავშეყრას გაუმარჯოს!

უცებ შევცბი, რადგან ჩვენი მსახურის ხმა შევიცანი. გრიზლერმაც იცნო. ენის წვერი გამოყო, მხრები აიჩეჩა და წაიჩურჩულა: თქვენი დიდად პატივცემული მამის ერთ-ერთი მოსამსახურე გახლდათ, მაგრამ ვერ გიცნობდათ, რადგან კარისკენ ზურგშექცევით იდექითო.

ასეც იყო, მაგრამ მალულობისა და უმართებულობის შეგნებამ კალაპოტიდან ამომაგდო. დასამშვიდობებლად ორიოდესიტყვა წავიბურტყუნე და სარდაფიდან ამოვედი. მოხუცი რომ ქუჩაში არ დამწეოდა და ფურცელი ხელში არ ჩაეჩარა, ის სიმღერაც გადამავიწყდებოდა.

შინ ამ განწყობით დავბრუნდი, ოთახში ჩავიკეტე და მოვლენების შემდგომ მსვლელობას დაველოდე. მანაც დიდხანს აღარ დაიგვიანა. თურმე მსახურს ვუცვნივარ. რამდენიმე დღის შემდეგ ოთახში მამაჩემის მდივანი შემოვიდა და განმიცხადა, მშობლიური ბინა უნდა მიატოვო. წინააღმდეგობა და შეკა-

მათება ამაო და უნაყოფო გამოდგა. ერთ შორეულ გარეუბანში პატარა ოთახი მიქირავეს და ამგვარად ახლობელ ნათესავებს მო-
მწყვიტეს. ჩემს მომღერალსაც აღარ ვნახულობდი. კანცელარია-
ში ღვეზელის მოტანა სამუდამოდ აუკრძალეს, მამამისის მაღა-
ზიაში შევლა კი ვერ გადამეწყვიტა, რადგან ვიცოდი, ჩემიანებს
ძალიან გავანაწყენებდი. ერთხელ, ქუჩაში, მოხუც გრიზლერს
შემთხვევით პირისპირ რომ შევეყარე და სახემოდუშულმა ზურ-
გი შემაქცია, მეხდაცემულივით ერთ ადგილზე გავხევდი. რაკი-
ლა ნახევარ დღეზე მეტს მარტოობაში ვატარებდი, ვიოლინოს
ხელს დავავლებდი, გაუთავებლად ვუკრავდი და ვვარჯიშობდი.

უფრო უარესი თურმე წინ გველოდა! ბედნიერებამ ჩვენი
სახლის ანგელოზს ზურგი შეაქცია. ჩემმა თავქეიფმა და დაუდ-
გრომელმა უმცროსმა ძმამ, რომელიც იმხანად უნგრეთში იყო
დაბანაკებული და დრაგუნთა პოლკის ოფიცრად ირიცხებოდა,
სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილმა და გახურებულ ცხენ-
ზე ამხედრებულმა დუნაის გადაცურვა მოინდომა და უგუნურ
სანაძლეოს ანაცვალა თავი. ოჯახის თვალისჩინი, უფროსი ძმა
კი ერთ-ერთ პროვინციის მაგისტრატურაში გაამწესეს მოხელედ.
ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან მუდმივი შუღლისა და
დავიდარაბის გამო, როგორც იქაურები ირწმუნებოდნენ, მამის-
გან ფარულად შეგულიანებულ-წაქეზებულს, მტრებისთვის
ოდონდ ზიანი მიეყენებინა და ყალბი მონაცემების გამოგზავ-
ნასაც არად დაგიდევდათ. კვლევა-ძიებას შესდგომიან თუ არა,
ჩემს ძმას იქიდან მაშინვე გუდა-ნაბადი აუკრავს. მამაჩემის
მრავალრიცხოვანმა მტრებმა თურმე თავი აიშვეს და მისი სამ-
სახურიდან გაგდება მოითხოვეს. ალყაშემორტყმული მამა გავ-
ლენიანობის დაკარგვას მწარედ განიცდიდა და სამაგისტრატო
სხდომებზე თითქმის ყოველდღე უკიდურესად გამომწვევი სიტ-
ყვებით გამოდიოდა. ერთხელ, სიტყვას რომ წარმოთქვამდა,
შუცებ დამბლა დასცემია; ენაწართმეული შინ წაუყვანიათ. ეს

ამბავი არ გამიგია. კანცელარიაში მეორე დღეს შევნიშნე, ჩუმ-ჩუმად რომ ჩურჩულებდნენ და ჩემზე ანიშნებდნენ. ამნაირ რაღაცეებს დიდხანია შეჩვეული ვიყავი და ამიტომ აინუნშიაც არ ვაგდებდი. პარასკევს — სისხლი ოთხშაბათს ჩაექცა — ოთახში მოულოდნელად სახელოზე მიკერებულ მუქმარმაშიანი შავი კოსტუმი შემომიტანეს. ძალიან რომ გავიკვირვე, მიხვდნენ და მერე ყველაფერი მიაჩვენეს. საერთოდ, ღონე და გამძლეობა არ მაკლდა, მაგრამ ძალა გამომეღია, გრძნობა დავკარგე და იატაკზე გავიშხლართე. საწოლზე გადამასვენეს; ისეთი ციებ-ციხელება დამმართნია, თურმე დღედაღამ გაუთავებლივ ვბოდავდი. მეორე დღით ჩემმა ჯანმრთელმა სხეულმა მაინც იმარჯვა, მაგრამ მამა უკვე დაემარხათ.

ვეღარასოდეს დაველაპარაკებოდი; როგორღა მეთხოვა პატიება, რაც მწუხარება მივაყენე; რანაირადღა მომეხსენებინა მადლობა მოღებული დაუმსახურებელი მოწყალებისთვის, დიახ, მოწყალებისთვის! ერთთავად კეთილი გზისკენ რომ მიბიძგებდა, მეც ვიმედოვნებდი, ერთხელაც იქნება სიკეთეს ნამდვილად მივაგნებ-მეთქი, მაგრამ როდის იყო, ჩვენს მიზანდასახულობას რომ ასამართლებდნენ და არა ჩადენილ საქმეს!

რამდენიმე დღე ოთახიდან ფეხი არ გამიდგამს და პირში ხემსი არ ჩამსვლია. ბოლოს, როგორც იქნა, გავაღწიე, მაგრამ სადილის შემდეგ კვლავ სახლს მივაშურე; მხოლოდ შებინდებისას ძმისმკვლეელი კაენივით დიდხანს დავეხეტებოდი ბნელ ქუჩებში. მამისეული ბინა საზარელ აჩრდილად მეჩვენებოდა და ახლოს არ ვეკარებოდი. მაგრამ ერთხელ, ასეთნაირად რომ მაფრთხობდა, მოულოდნელად ჩემს წინ აღმოჩნდა და მეც უაზროდ მივშტერებოდი. მუხლები ისე მიკანკალებდა, იძულებული გავხდი, ცოტა ხანს გავჩერებულიყავი. ზურგს უკან, კედელს თვალი მოვკარი თუ არა, გრიზლერის მაღაზიის კარი მაშინვე ვიციანი; სარდაფში სანთელი ენთო, ბარბარა დახლთან იჯდა,

მუხლზე წერილი ედო და შორიახლოს მდგომ მამას ესაუბრებოდა. სიცოცხლის ფასად რომ დამჯდომოდა, მაინც უნდა შევსულიყავი. ძალიან ძნელია, როცა არავინ გყავს, შენი მწუხარება შესჩივლო და მანაც თანაგიგრძნოს, გაიზიაროს. დარწმუნებული ვიყავი, მოხუცი გაბრაზებული იქნებოდა ჩემზე, მაგრამ გოგონასგან ტკბილ სიტყვას ველოდი. პირიქით კი მოხდა. შევედი თუ არა, ბარბარა წამოდგა, ქედმაღლურად შემომხედა, მეორე ოთახში გავიდა და კარი ჩაკეტა. სამაგიეროდ მოხუცმა ხელი ჩამკიდა, დამსვა, სანუგეშო სიტყვები არ დაიშურა და მერე ისიც კი მითხრა, ახლა უკვე მდიდარი კაცი ხარ, შეგიძლია უზრუნველად იცხოვრო. ბოლოს მკითხა, მემკვიდრეობად რამდენი მიიღეო. ვერაფერი ვუპასუხე. დამანამუსა, ვექილთან წავსულიყავი. აღვუთქვი, აუცილებლად წავალ-მეთქი. მისი აზრით, აბა, კანცელარიაში რაღა მესაქმებოდა! მემკვიდრეობა მხოლოდ და მხოლოდ ვაჭრობაში უნდა დამებანდებინა. ყველაზე დიდ მოგებას ბოსტნეული და ხილი მომცემდა, მოზიარე კი, რომელიც კარგად ერკვეოდა ამ საქმეში, გროშებს გულდენებად აქცევდა. მოხუცს ამნაირ რამეებში ჭიპი ჰქონდა მოჭრილი. შემდეგ ქალიშვილს შეეხმაურა, მაგრამ იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, თუმცა ერთი ორჯერ ისე მომეჩვენა, თითქოს კარი ჭრიალებდა. რაკილა ბარბარა არა და არ გამოჩნდა, მოხუცი კი გაუთავებლივ სულ ფულზე მელაპარაკებოდა, გამოვემშვიდობე და წასვლა დავაპირე, რაზეც სინანული გამოთქვა, მაღაზიაში მარტო ვარ და სამწუხაროდ ვერ გაგაცილებო. სასოწარკვეთილი და დანადგლიანებული ვიყავი, მაგრამ ერთობ დანუგეშებული წამოვედი. როცა ქუჩაში ცოტა ხნით შევდექი და მამისეულ სახლს შევატყერდი, ანაზღად ზურგს უკან წყნარი, მაგრამ მტკიცე ხმა შემომესმა: „ადვილად ნურავის ენდობით, ყველას თქვენ მოტყუება სწადია!“ იმწამსვე შევბრუნდი, მაგრამ ვერავინ დავლანდე. მხოლოდ გრიზლერის სარდაფის ფანჯრის გაჭრიალება

7. ფრანც გრილპარცერი

მიმახვედრა, ხმაც რომ არ მეცნო, ბარბარა მალულად ზრუნავდა ჩემზე. ეტყობა გოგონამ ჩვენი საუბარი მოისმინა. ნუთუ მამამისის კლანჭებიდან დახსნას მიპირებდა? იქნებ შემთხვევით მოჰყარა ყური, მამაჩემის გარდაცვალების უმაღლეს თანამშრომლებმა—ზოგიერთს ხეირიანადაც რომ არ ვიცნობდი—და უცნობებმაც მხარში ამოდგომა და გაჭირვებულთათვის დახმარება რომ მთხოვეს და მეც დავაიმედე, მემკვიდრეობას ხელთ ვიგდებ თუ არა, არაფერს დავიშურებ-მეთქი? ვინმეს თუ რამეს შევპირდი, თავს ვალდებულად ვთვლიდი, სიტყვა შემესრულებინა, მაგრამ გადავწყვიტე, მომავალში მეტი სიფრთხილე გამომეჩინა. სამემკვიდრეო სახსრებიც გავიგე. რამდენსაც ვარაუდობდნენ, მართალია, იმდენი არ აღმოჩნდა, მაგრამ მაინც საკმაოდ დიდი თანხა შეადგინა—თერთმეტი ათასამდე გულდენი. დილიდან საღამომდე ჩემი ოთახი მთხოვნელთა და დახმარების მძებნელთაგან აღარ ცარიელდებოდა. მტკიცედ გადავწყვიტე, მხოლოდ და მხოლოდ იმათთვის გამემართა ხელი, ვისაც მართლა ძალიან უჭირდა. ერთხელ ბარბარას მამაც გამომეცხადა და მისაყვედურა, აგერ მესამე დღეა ჩვენთან აღარ შემოგივლიაო, რაზეც სრული სიმართლე მოვახსენე, ვშიშობ, თქვენი ქალიშვილი ზედმეტად არ შევაწუხებ-მეთქი. მითხრა, ამან სულაც არ უნდა დაგაღონოს, რადგანაც ამჟამად ტვინი სხვანაირად მოვუმართეო, და ისე ღვარძლიანად გადაიხარხარა, შიშის ზარი დამეცა. ამიტომ, როცა სიტყვა მემკვიდრეობაზე ჩამოაგდო, ბარბარას გაფრთხილება გამახსენდა და თანხაზე კრინტი აღარ დამიძრავს. შემოთავაზებულ ერთობლივ ვაჭრობაზეც მოხერხებული უარი შევაგებე.

მე სულ სხვა აზრები მიტრიალებდა თავში. მამაჩემის ხართით ყველაფერს რომ მითმენდნენ, იმ დღესვე კანცელარიაში ჩემ მაგივრად სხვა დანიშნეს, რაც სრულიად არ მანადვლებდა, რაკი ხელფასს არ ვღებულობდი. მაგრამ მამაჩემის მდივანმა, რომელიც ბოლო დროს მომხდარი ამბების გამო ულუკმაპუროდ

დარჩა, ცნობების, ასლებისა და თარგმანის კანტორის დაარსების გეგმა გამანდო, რომლის მთლიანი ხარჯები მე უნდა გამეწია, ის კი სიამოვნებით კისრულობდა დირექტორობას. მე დავიჟინე, ნოტებიც გადავაწერინოთ-მეთქი, და ჩემი რომ გავიტანე, თავი ბედნიერად ჩავთვალე. ფული კი გავიღე, მაგრამ სიფრთხილისათვის ხელწერილი ჩამოვართვი. დაწესებულებისთვის დაბანდებული დიდძალი თანხა, რომელიც სასამართლოში დავაგირავე, ოდნავადაც არ მალელვებდა, რადგან ისე ვთვლიდი, თითქოს კარადაში მდებოდეს.

საქმე გაჩარხულად ჩავთვალე და ცოტა თავისუფლად ამოვისუნთქე; მაშინ მხნედ, დამოუკიდებელ და ნამდვილ კაცად ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი თავი. მამა იშვიათადლა მახსენდებოდა. ვიქირავე უკეთესი ბინა, შევიძინე ახალი ტანსაცმელი და ერთ საღამოს ნაცნობი ქუჩებით გრიზლერის მაღაზიისკენ გავწიე; მივაბიჯებდი და ჩემს საყვარელ სიმღერას ვდილინებდი; მართალია, შეშლებოდა, მაგრამ ჰანგის მეორე ნაწილის სწორად მღერა ვერასგზით ვერ შევძელი. სარდაფში რომ შევაბიჯე, კარგ გუნება-განწყობილებაზე ვიყავი, მაგრამ ბარბარას ყინულივით ცივმა გამოხედვამ მაშინვე ძველებური მოკრძალებულობა გამახსენა. მამამისი გულდიად შემომეგება, მან კი არაფრად ჩამაგდო, ქალაღდის პარკების კეთება განაგრძო და ჩვენი საუბრის დროს ბაგეც არ გაუხსნია. მხოლოდ ერთხელ, როცა გრიზლერმა სიტყვა მემკვიდრეობაზე გადამიკრა, გოგონა წამოდგა და ისეთ კილოზე შესძახა „მამა!“, რომ მოხუცმა ველარაფერი აწამა და სალაპარაკო თემა უმაღლ შეცვალა. მერე მთელ საღამოს პირში წყალჩაგუბებულებით იყო, ჩემთვის ზედაც არ შემოუხედავს და როცა ვემშვიდობებოდი, მისი ნათქვამი „ლამენებისა!“ ისეთნაირად ჟღერდა, თითქოს მეუბნებოდა, მადლობა ღმერთსაო!

მიუხედავად ამისა, მაღაზიაში სტუმრობას მოვუხშირე და

თანდათანობით გოგონაც გადმოვიბირე. მხარში ამოდგომისთვის მადლობას კი იმსახურებდა, მაგრამ ყოველდღე გაუგონარი სიტყვებით მლანძღავდა და მთათხავდა. მისი თქმით, მეტისმეტად უგერგილო და მოუქნელი ვიყავი, თითქოს ღმერთს ჩემთვის მარჯვენა დანანებოდა და ორი მარცხენა ხელი მოეცა: სერთუკი ბოსტნის საფრთხობელასავით გადგას ტანზეო; ისეთნაირად დააბიჯებ, შინაურ მამლაყინწას იხვი რომ ბაძავს სიარულშიო. განსაკუთრებით ღიზიანდებოდა, თუ მყიდველს ზრდილობიანად მოვეპყრობოდი. რადგანაც დაწესებულების გახსნამდე უსაქმოდ დავყიადებდი, მომავალში კი ყოველდღიური ურთიერთობა უნდა მქონოდა ხალხთან, გადავწყვიტე, გრიზლერის მაღაზიაში წვრილმანების გაყიდვაში გავწაფულიყავი, რაც ხშირად ნახევარ დღეს მართმევდა. მყიდველებს სანელებელს ვუწონიდი, ბავშვებს კაკალსა და ქლიავის ჩირს მივუთვლიდი... ხურდას ვუბრუნებდი; ვინაიდან ანგარიში წამდაუწუმ მეშლებოდა, ბარბარა მაშინვე საქმეში ჩაერეოდა, ხელიდან წვრილ ფულს გამომგლეჯდა, დამცინოდა და კლიენტებთან მამასხარავებდა. თუ მუშტრებს თავაზიანად მივესალმებოდი ან გულმოწყალებდ გამოვემშვიდობებოდი, ჯერ კარს არ იყვნენ მიტანებულნი, უხეშად მიაძახებდა: „სალამს თვითონ საქონელი იმსახურებს!“ და ზურგს შემომმაქცევდა. მაგრამ, ხშირად, ძალზე კეთილი იყო. როცა ბავშვობას ვიხსენებდი, ქალაქის ამბებს ვუყვებოდი ან კანცელარიის მოხელეთა საქმიანობაზე გავუბამდი საუბარს, სადაც ერთმანეთს პირველად გავეცანიოთ, გატრუნული მისმენდა, ოღონდ ხანდახან მოწონების ნიშნად რაღაცას წამოიძახებდა, უფრო ხშირად კი მკიცხავდა.

მუსიკასა და სიმღერაზე კრინტი არასოდეს დაგვიძრავს. მიხი აზრით, კაცმა ან უნდა იმღეროს, ან ხმაგაკმენდილი იჯდეს, ლაპარაკი რა საჭიროაო. მაღაზიაში რომ გვემღერა, უხერხული იყო, ხოლო უკანა ოთახში, სადაც მამა-შვილი ცხოვრობდა,

შესვლის უფლება არ მქონდა. მაგრამ ერთხელ, როცა შეუმჩნევლად შევედი, ჩემკენ ზურგშექცეული, თითის წვერებზე იდგა, მკლავები მაღლა აეშვირა და თაროზე რაღაცას ეძებდა. ეძებდა და წყნარად ლილინებდა. ეს ის სიმღერა იყო, ჩემი სიმღერა! იგი იმ ჩიტოვით ჟღერებდა, ნაკადულის პირას ყელს რომ მოიღერებს, თავს მოხდენილად გადაიგდებს, ბუმბულს გაიშლ-გაისუფთავებს და მერე ისევ ნისკარტით რომ გაისწორებს. უცებ წარმოვიდგინე, მწვანე ველზე მივაბიჯებ-მეთქი, ჩემდა უნებურად რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და ბოლოს ისე მივუახლოვდი, მომეჩვენა, ვინმე კი არ მღეროდა, არამედ ის ჰანგი თითქოს შიგნიდან, ჩემი სულიდან მოისმოდა: ოდნავ წინ გადაწეული, მხრებში გაიმართა თუ არა, ველარ მოვითმინე, წავეტანე და ხელები წელზე მოვხვიე. მაშინ, არც აცვივა, არც აცხელა, თვალის დახამხამებაში ბზრიალასავით შემოტრიალდა, სიბრაზისგან სახეაღწეილმა ხელი მაღლა ასწია და სანამ ბოდიშის თქმას მოვახერხებდი...

როგორც ადრე მოვახსენეთ, კანცელარიაში ხშირად იგონებდნენ, ჩვენს დაწესებულებაში ბარბარას ღვეზელი გასაყიდად რომ მოჰქონდა და ერთ თავხედს სილა გააწნა. რასაც მაშინ პატარად მიჩნეულ გოგონას ღონეზე და მკლავის ძალაზე ამბობდნენ, ღიმილს გვგვრიდა და გაზვიადებული გვეჩვენებოდა, სინამდვილეში კი თურმე აკნინებდნენ მის ძალოვნებას. მეხნაკრავივით ვიდექი. თვალწინ სხივები ირეოდნენ, ციური სხივები, მზის, მთვარისა და ვარსკვლავების სადარი, ანგელოზთა მინამსგავსი, დამალობანას რომ თამაშობენ და თან მღერიან. მოჩვენებებით აღგზნებულის წინაშე არანაკლებ შემკრთალი ბარბარა იდგა და ხელს ნაზად მისვამდა, ნატკენ ლოყაზე მეფერებოდა.

— ასე მაგრა არ მინდოდა, — თქვა მან, — და ეს უკვე მეხის მეორედ დაცემას ჰგავდა, უცებ მისი თბილი სუნთქვა და

მოხლოებული ტუჩები ჩემ ლოყასთან ვიგრძენი; მომეალერსა და ნაზად მაკოცა; ეს იყო ნაღდი კოცნა ამ ლოყაზე, აი, აქ, — მოხუცმა ლოყაზე ხელი გაიტყაპუნა და თვალებიდან ცრემლი წამოუვიდა. — მერე რა მოხდა, აღარც მახსოვს, — განაგრძო კვლავ თხრობა. — ოღონდ ერთი რამ მახსენდება, ნდომით რომ ვეძგერე, ბარბარა უკანა ოთახში გავარდა, მინის კარი ჩაკეტა, მე კი სახელურს ვეცი და გაღება დავაპირე. რახან წელში ოდნავ მოხრილი გოგონა მთელი ტანით მინის კარს აკვროდა, გამბედაობა მოვიკრიბე, მოწყალეო ბატონო, და ვნებიანი კოცნა გამჭვირვალე შუშაში უკან დავუბრუნე.

— ოჰო, როგორც გატყობთ, კარგ დროს ატარებთ! — მომესმა ზურგიდან ხმა. ეს გრიზლერი გახლდათ, რომელმაც ოთახში ის-ის იყო შემოაბიჯა. — აბა, ჩემო ძვირფასებო... ბერბე, სისულელეს თავი ანებე და ახლავე აქ მოდი! ერთი კოცნა რომ გაიმეტო, არაფერი დაგაკლდება.

მაგრამ ის არ გამოვიდა. მეც გაურკვეველად ორიოდე სიტყვა წავიბურტყუნე, დაბნეულმა გრიზლერის ქუდი ავიღე და წასვლა დავაპირე, მაგრამ მოხუცმა შემნიშნა, გაიცინა, ხელიდან გამომგლიჯა და ჩემი მომაჩეჩა. აღრეც მოგახსენეთ, ის დღე უბედნიერესი დღე იყო ჩემთვის-მეთქი; იმასაც ვიტყოდი, ერთადერთი-მეთქი, მაგრამ მთლად სწორი არ იქნებოდა, რადგან ღვთისგან ადამიანს ბევრი წყალობა აქვს ბოძებული.

ძნელი მისახვედრი იყო, რას ფიქრობდა გოგონა ჩემზე. გამიბრაზდებოდა, თუ წყალობის თვალით შემომხედავდა? სტუმრობა ველარ გადამეწყვიტა, მაგრამ კეთილად მომეგება. ბარბარა გულარხეინად უჯდა სამუშაოს და ძველებურად შარს აღარაფერზე მღებდა. ცოტა ხნის მერე იქვე მდგომ სკამზე მიმანიშნა, დაჯექი და მომეხმარეო. ვისხედით წყნარად და ვმუშაობდით. მოხუცმა წასვლა ამჯობინა.

— მამა, — მიმართა ქალიშვილმა, — ნუ წახვალთ, რაზეც უნდა გეზრუნათ, ის საქმე უკვე მოგვარებულია.

მოხუცმა ფეხები ღონივრად დააბაკუნა იატაკზე და დარჩა. სარდაფში ბოლთის ცემას მოჰყვა და რაზე არ ილაპარაკა, მაგრამ საუბარში ვერ ამიყოლია. უცებ გოგონამ წამოიკივლა, მუშაობით გართულმა თითი გაიჭრა; მართალია, დიდი აზიზი არ იყო, მაგრამ სიმწრისგან ხელს აქეთ-იქით იქნევდა. დავაპირე, ჭრილობა მენახა, მაგრამ ახლოს არ გამიკარა.

— შენს ლაზღანდარობას ბოლო აღარ უჩანს! — წაიბუზღუნა მოხუცმა, ქალიშვილს ცხვირწინ აეტუზა და ხმამაღლა უთხრა: — რაც საზრუნავი გვქონდა, ჯერჯერობით ის საქმე სულაც არ არის მოგვარებული! — და მძიმე ნაბიჯით გარეთ გავიდა.

რაკი დრო ვიხელთე, მოვისურვე გუშინდელ ქცევაზე ბოდიში მომეხადა, მაგრამ ბარბარამ სიტყვა შემაწყვეტინა და მითხრა: — ძველს თავი ვანებოთ და ახლა ისა სჯობს, ნამდვილ საქმეზე გონივრულად მოვისაუბროთო.

ქალიშვილმა თავი ასწია, თხემით ტერფამდე ამხედ-დამხედა და წყნარად განაგრძო:

— ხეირიანად აღარც მახსოვს, როდის გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ ამ ბოლო დროს ხშირ-ხშირად მოდიხართ და ჩვენც შეგეჩვიეთ. თქვენს პატიოსნებაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ უნებისყოფო ბრძანდებით, სხვების საქმეები გიტაცებთ, საკუთარი კი ვერ მოგიგვარებიათ. ამიტომ თქვენი მეგობრებისა და ნაცნობების კეთილშობილური ვალია, თვალი მოგადევნონ, რომ არაფერში იზარალოთ. ხანდახან ნახევარ დღეს მაღაზიაში ატარებთ, ითვლით, სწონით, ზომავთ, ყიდით, მაგრამ თქვენთვის რა სარგებლობა მოაქვს? ან რას აპირებთ მომავალში, საკუთარი თავი ხომ უნდა უზრუნველყოთ?

მამაჩემის მიერ ბოძებული მემკვიდრეობა ვახსენე.

— ალბათ დიდი თანხა გერგოთ.

ვუთხარი რაოდენობა.

— ეგ ფული ბევრიც არის და ცოტაც; ბევრი, თუ რაიმე საქმეს წამოიწყებთ და ცოტა, თუ ხელგაშლილ ცხოვრებას მოინდომებთ. მამამ ხომ შემოგთავაზათ თანამდებობა, მაგრამ მხარის დაჭერა არ გირჩიეთ, რადგან ამნაირ რამეებში ბევრჯერ დააბანდა ფული და ბოლოს ნაზარალები დარჩა, მერე, — ხმას დაუწია, — რატომღაც სხვების ხარჯზე მოგებას მიეჩვია, ის კი არა, უკეთესად არც ახლო მეგობრებს ექცევა. ვინმე პატიოსანი ხომ უნდა გიდგეთ გვერდში.

თითი მისკენ გავიშვირე.

— პატიოსანი კი ვარ, — თქვა მან, მკერდზე ხელი მიიღო და თვალები აქამდე ნაცრისფრად რომ უციმციმებდა, ღია ლურჯად, ცისფრად აუელვარდა, — მაგრამ მე ჩემი გზა მაქვს. ჩვენს მაღაზიას უმნიშვნელო შემოსავალი აქვს; მამას ლუდხანის გახსნა გადაუწყვეტია; იქ საჩემო არაფერი იქნება, აბა, რა უნდა ვაკეთო. საშინაო საქმეებს კარგად გავუძლვებოდი, მაგრამ სამსახური არ მინდა. — ამ სიტყვებს რომ წარმოთქვამდა, დედოფლის იერი ჰქონდა. — თუმცა წინადადება მომცეს, — განაგრძო მან, წინსაფრის ჯიბიდან ბარათი ამოიღო და დახლზე უგულოდ დააგდო, — მაგრამ მაშინ აქედან აბარგება მომიწევს.

— შოორს? — ვკითხე მე.

— მერე რა? ეს ამბავი რატომ განაღვლებთ?

ავუხსენი, მაშინვე მასთან ერთად გადავიხვეწებოდი იმავე მხარეში.

— ბავშვი ხომ არა ხართ! ეგ ვის გაუგია, როცა საქმე სულ სხვა რამეს ეხება. თუ მენდობით და ჩემს გვერდით ყოფნა გსურთ, აქვე ახლოს მოდური მაღაზია როა, ის შეისყიდეთ. ამ საქმეში საკმაოდ გარკვეული ვარ და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არათუ იზარალებთ, გვარიანი მოგებაც დაგრჩებათ.

შესაფერის სამუშაოს თქვენვე გამოძებნით, საანგარიშო და საწერი არ გამოგელევით. შემდეგ რა მოხდება, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, მაგრამ სულ მთლად უნდა გარდაიქმნათ! მძაგს ქალაჩუნა მამაკაცები!

უცბად წამოვხტი და ქუდს ხელი დავტაცე.

— რა მოხდა? სად გარბინართ? — მკითხა მან.

— ყველაფერი უნდა გავაუქმო! — მივაძახე სუნთქვაშეკრულმა.

— რა უნდა გააუქმოთ?

მაშინ დაწვრილებით მოვუყევი ცნობებისა და ასლების კანტორის დაარსების მომავალ გეგმებზე.

— მაგის დაფუძნება ბევრს არაფერს მოგცემთ, — მითხრა მან. — ცნობების შეგროვება ყველას ძალუძს, წერას კი სკოლაშიც ასწავლიან.

განვუმარტე, იმ დაწესებულებაში მუსიკალური ნაწარმოებების გადაწერასაც ვაპირებთ, რაც ყველას ემარჯვება-მეთქი.

— ასეთი სულელური აზრები როდემდე უნდა გიტრიალებდეთ თავში? — მეძგერა გაავებული. — ერთხელ და სამუდამოდ დაეხსენით ამ მუსიკას და გირჩევნიათ, ყოველდღიურ საარსებო საშუალებაზე იფიქროთ! მარტო თქვენ სად შეგიძლიათ საქმის გაძლოლა!

გავანდე, მოზიარე უკვე მოძებნილი მყავს-მეთქი.

— მოზიარე? — წამოიძახა მან. — უსათუოდ მოგატყუებენ! ჯერ ფული ხომ არ მიგიციათ?

ჩემდა უნებურად კანკალმა ამიტანა.

— ფული ხომ არ მიგიციათ? — გამიმეორა კითხვა.

გამოვუტყდი, დაწესებულების მოსაწყობად ჯერჯერობით სამი ათასი გულდენი მივეცი-მეთქი.

— სამი ათასი გულდენი? — გაიკვირვა მან. — ამდენი?

— დანარჩენი სასამართლოში შევიტანე და იქ შემენახება.

— ესე იგი, უფრო მეტი? — წამოიყვირა მან.
ვუთხარი დაგირავებული თანხა.

— ფული თქვენ თვითონ შეიტანეთ?

— არა, ჩემმა თანამოზიარემ.

— რაიმე საბუთი გაგაჩნიათ?

არავითარი საბუთი არ მქონდა.

— ვინ არის თქვენი თანამოზიარე? — ბოლომდე ჩამეკითხა.
ცოტათი მაინც დავმშვიდდი, რომ შემეძლო მამაჩემის მდი-
ვანი დამესახელებინა.

— ღმერთო დიდებულო! — წამოიკივლა ბარბარამ, სავარ-
ძლიდან წამოვარდა და გულხელდაკრეფილი დადგა. — მამა!
მამა!

მოხუცი შემოვიდა.

— დღევანდელ გაზეთებში რა წაიკითხეთ?

— ვილაც მდივანზე? — იკითხა მან.

— ჰო, ჰო, სწორედ იმაზე!

— ვალები აიღო, ხალხს ფული დასცინცლა და მიიმალო.
ახლა თურმე გამწარებული დაეძებენ!

— მამა! — გაჰკიოდა ბარბარა, — ესეც მოუტყუებია! პატი-
ოსნად მინდობია, მას კი უგროშოდ დაუტოვებია.

— ეშმაკმა დალახვროს, ამნაირი ბრიყვი! — აღრიალდა მო-
ხუცი. — სულ ამას არ ჩაგჩიჩინებდი? მაგრამ შენ ყოველთვის
ამართლებდი. ხან დასცინოდი, ხან კიდევ თავს დებდი მის პატი-
ოსნებაზე! მორჩა! გათავდა! მე თქვენ გიჩვენებთ აქ ვინც არის
უფროსი! აბა, ბარბარა, ახლავე მოუსვი შინისაკენ! თქვენ კი,
მოწყალეო ბატონო, აქედან აიბარგეთ და გთხოვთ, ჩვენთან
სტუმრობაზე მომავალში თავს ნულარ შეიწუხებთ. აქ მოწყა-
ლებას როდი არიგებენ!

— მამა — შეეხმაურა ქალიშვილი, — ნუ მოეპყრობით ასე
მკაცრად, მაგას თავისი უბედურებაც ეყოფა.

— მეც მანდა ვარ, — ღრიალებდა მოხუცი, — არ მინდა მაგნაირი ბედი მეწიოს. აი, ნაღდი კაცი! — განაგრძო მოხუცმა და ხელი გაიშვირა იმ ბარათისკენ, რომელიც ცოტა ხნის წინ ბარბარამ დახლზე დააგდო. — აი, კაცი, რომელსაც თავში ჭკუა აქვს და ჯიბეში ფული, არც სხვას მოატყუებს და არც არავის მოატყუებინებს თავს; პატიოსანი კაცისთვის კი ყველაზე მთავარი სწორედ ეს არის.

ისღა წავიბურტყუნე, დაგირავებული თანხა დაკარგულია თუ არა, ჯერ ზუსტად დადგენილი არც არის-მეთქი.

— ერთბაშად, აბა, — ყვიროდა გაუთავებლივ, — ეგ შენი მდივანი სულელი ვინმე ხომ არ გგონიათ! კაი არამზადა და თაღლითი უნდა იყოს. იჩქარეთ, არსად გაგეპაროთ, იქნებ სადმე დაიჭიროთ!

ესა თქვა, ზორბა ხელი მხარზე დამადო და კარისკენ მიბიძგა. უცებ გავუსხლტი და ბარბარასკენ შევბრუნდი, რომელიც იდაყვით დახლს დაყრდნობოდა, თვალთ იატაკს მიშტერებოდა და აღელვებისგან გული ისე მძლავრად უცემდა, რომ მკერდი ჩქარ-ჩქარა აუღ-ჩაუდიოდა. მსურდა მივახლოვებოდი, მაგრამ გაკაპასებულმა ფეხები დამიბაკუნა და როცა გამოსამშვიდობებლად მარჯვენა გავუწოდე, მკლავი ისეთნაირად აიქნია, გეგონებოდათ, კვლავ სილის გაწვნას მიპირებსო. უჩუმრად გავედი და მოხუცმაც მაშინვე ჩარაზა კარი.

ასე ბანცალ-ბანცალით დავყიალებდი ქუჩაში და მოულოდნელად ერთ ტრიალ მინდორში ამოვყავი თავი. ხან სასოწარკვეთილებაში ვვარდებოდი, ხან კი იმედი მომეცემოდა. თანდათან მახსენდებოდა: როცა ჩემი ფულადი სახსრები დასაგირავებლად წავიღეთ, მამაჩემის მდივანი სავაჭრო სასამართლომდე მივაცილე. ის მარტო შევიდა, მე კი ალაყაფის კარებთან ვუცდიდი. იქიდან რომ გამოვიდა, მითხრა, ყველაფერი მოგვარებულია და ქვითარს ამ დღეებში ბინაზე გამოგიგზავნიანო. მართა-

ლია, საბუთი არ მიმიღია, მაინც გულმოდგინედ ველოდებოდი.

სალამო უამს ქალაქში დავბრუნდი. მაშინვე მდივნის ბინისკენ გავეშურე. ხალხმა დამცინა; ზოგმა მკითხა, გაზეთებს არ კითხულობთო? სავაჭრო სასამართლოს შენობა იქვე რამდენიმე ნაგებობის შემდეგ იდგა. თითქმის ყველა წიგნი ყურადღებით გაწვავთვალა, მაგრამ ვერც მის და ვერც ჩემს გვარს ვერსად წავაწყდი. ის კი არა, თანხის შეტანაზე, საერთოდ, არსად არაფერი იყო აღნიშნული. ჩემს გაუბედურებულობაში ეჭვი რომ აღარ მეპარებოდა, კინალამ უარესიც არ დამემართა! რაკილა კანტორის დაფუძნების ხელშეკრულება დამტკიცდა, მდივნის მევალებმა ხელი მტაცეს და პასუხისგებაში მიცემა დამიპირეს, მაგრამ მოსამართლეებმა არ გამიმეტეს. ქებისა და მადლობის მეტი რა მეტქმის! თუმცა, სულ ერთია, სხვანაირი განაჩენიც აღარაფერს შემიცვლიდა ცხოვრებაში.

ამ აურზაურმა და აფორიაქებულობამ, მართალი გითხრათ, გრიზლერიც გადამავიწყა და მისი ქალიშვილიც. ოდნავ რომ დავწყნარდი და თვალი გადავაავლე მომავალს, უკანასკნელი სალამოს სურათი ცოცხლად დამიდგა თვალწინ. მოხუცის სიხარბე და ანგარებიანობა სავსებით გასაგები იყო, მაგრამ ქალიშვილის საქციელი რითღა ამეხსნა? ზოგჯერ ვფიქრობ, ჩემი კუთვნილი ფული გონივრულად რომ გამომეყენებინა და ბარბარა უზრუნველმეყო, იქნებ... მაგრამ მას ხომ არ ვუყვარდი? ახლად მახსენდება: მოხუცი ხელებს ისეთნაირად შლიდა, რომ მოუქნელი და ულაზათო ტანი საძაგლად მოუჩანდა, ქალიშვილს კი, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ჩემი თავაზიანი მოპყრობა მხოლოდ და მხოლოდ ზიზღს ჰგვრიდა.

ფიქრსა და განსჯაში გადიოდა დღეები. ერთ სალამოს, ბინდბუნდში, — იმ დროს ჩვეულებრივად მაღაზიაში ვატარებდი ხოლმე — ოთახში მიუყუჭული, ფიქრებში ვიყავი წასული. უცებ მისი ხმა შემომესმა; ისე მომეჩვენა, თითქოს მლანძღავდა და

დამცინოდა კიდეც. მართლაც, აივანზე რაღაც გაფაჩუნდა, მერე კარი გაიღო და ოთახში ბარბარა შემოვიდა. სკამზე მილურსმულივით ვიჯექი და თავი სიზმარში მეგონა. გაფერმკრთალებულს ილღიაში პატარა ბოხჩა ამოეჩარა. ოთახის შუაგულამდე რომ მოაღწია, შეჩერდა, ყრუ კედლებს შეხედა, უბრალო ავეჯს თვალი მოავლო და ღრმად ამოიოხრა. მერე კედლისკენ გააბიჯა, კარადასთან შედგა, ფუთა გახსნა, რამდენიმე კვართი და ცხვირსახოცი ამოიღო — ბოლო დროს მზრუნველობას არ მაკლებდა — უჯრა გამოსწია, დაცარიელებული რომ ნახა, ერთხანს გულხელდაკრეფილი იდგა, მაგრამ რა ექნა, იქაურობა წესრიგში მოიყვანა და მოტანილი თეთრეული შიგ ჩააწყო. შემდეგ კარადას მოსცილდა, ჩემკენ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა, გამოღებულ უჯრისკენ თითი გაიშვირა და თქვა: — აი, ხუთი კვართი და სამი ცხვირსახოცი. რამდენიც წავიღე, იმდენივე მოვიტანე. — მერე უჯრა ფრთხილად შესწია, იდაყვები კარადას მიაყრდნო და ხმამაღლა აქვითინდა. ეტყობოდა, შეუძლოდ შეიქნა, რადგან კარადის ახლოს სკამზე ჩამოჯდა, სახეზე ცხვირსახოცი აიფარა და წყვეტილ-წყვეტილი სუნთქვით მივხვდი, გაუთავებლად რომ სლუკუნებდა. დინჯად მივუახლოვდი და მკლავზე ხელი წავავლე; გულმოწყალება გამოიჩინა და დამანება, მაგრამ, როცა თვალი თვალში გავუყარე და მის მოღუნებულ მკლავს შევეხე, სწრაფად წამოხტა, ხელი გამომტაცა და წყნარად მითხრა: — რაღა დროსია? დაგაგვიანდათ! თქვენი ბედოვლათობით საკუთარი თავიც გააუბედურეთ და ჩვენც; პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, საკუთარი თავი. რაკი ასეთი უგერგილო და გულუბრყვილო ხართ, გაიძვერა და პატიოსან ადამიანებს ვერ არჩევთ, ერთნაირად ენდობით და თქვენი საქმეებისთვის ვერ მოგივლიათ, — ოღნავ ხმა მოუღება, — კაცმა რომ თქვას, თანაგრძნობას არც იმსახურებთ. მიუხედავად ამისა, მაინც მებრალებით. ამჯერად გამოსამშვიდობებლად მოვედი.

დიახ, შეგიძლიათ შეიცხადოთ, მაგრამ, რა ვქნა, ყველაფერი თქვენი ბრალია. მოუქნელ და ტლანქ ადამიანებს დღემდე წინა-აღმდეგობას ვუწევდი, ახლა კი იძულებული ვარ აქედან ავი-ბარგო და საბოლოოდ მათ შევუერთდე. მაშ ასე, ყველაფერი მოვაგვარე; ხელი უკვე ჩამოგართვით; გეთხოვებით სამუდამოდ; აბა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — შევამჩნიე, თვალეები კვლავ ცრემლით აევსო, თავი ნაღვლიანად გადააქნ-გადმოაქნია და გასასვლელისკენ გაეშურა. დამბლადაცემულივით ვიდექი. როცა კარს მიუახლოვდა, ერთხელ კიდევ შემობრუნდა და მითხ-რა: — ამჟამად თეთრეული გარეცხილი და გაუთოებული გაქვთ. ფრთხილად იყავით, არაფერი დაკარგოთ! უარესი დრო მოდის! — მარჯვენა ასწია, პირჯვარი გადაიწერა და შორიდან მომამახა: — ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, იაკობ! უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

როცა ვიგრძენი, სიცოცხლის ნიშანწყალი კვლავ დამიბრუნ-და, დავედევნე, ორ-სამ საფეხურს ერთბაშად გადავახტი, წამით კიბის ბაქანზე შევჩერდი და ისე შევკვირე: „ბარბარა!“-მეთქი, მაშინვე ერთ ადგილას გახევდა, მაგრამ რამდენიმე საფეხური რომ ჩავირბინე და მივუახლოვდი, შესდექიო, შემომამახა, ფეხს აუჩქარა, ალაყათის კარებს გასცდა და უცებ გაუჩინარდა.

მას შემდეგ ბევრი სიმწარე მიგემია, მაგრამ იმ დღის მსგავ-სი არასოდეს; მეორე დღეს ნაღველი კიდევ შემიმსუბუქდა. ხეირიანად არც ვიცოდდი, როგორ მოვქცეულიყავი; ერთ დილას, იმ იმედით, იქნებ ახალი ამბავი შევიტყო-მეთქი, გრიზლერის მაღაზიის შორიახლოს დავიწყე ყიალი. რახან ვერაფერი გავიგე, ავდექი და ფანჯრიდან შევიხედე; დახლთან უცხო ქალი იდგა, რომელიც წონიდა, ფულს ითვლიდა და მყიდველებს ხურდას უბრუნებდა. გავბედე, სარდაფში შევედი და ვკითხე, ეს მაღა-ზია ხომ არ შეგისყიდიათ-მეთქი?

— ჯერჯერობით არა, — მიპასუხა ქალმა.

— მეპატრონეები სად არიან?

— დღეს დილაადრიან ლანგენლებარში გაემგზავრნენ.

— ქალიშვილიც? — ძლივს ამოვილაპარაკე.

— რა თქმა უნდა, ქორწილი უკვე დანიშნულია.

ქალი რასაც მომიყვა, მერე სხვებმაც დამიდასტურეს. აი, ის ყასაბი, პირველად მაღაზიაში მოსვლისას რომ ვნახე, დიდი ხანია თურმე ქალიშვილს ცოლობას სთხოვდა, მაგრამ ვერაფრის დიდებით ვერ დაითანხმა, სანამ სასოწარკვეთილი და ყველაფერზე ხელჩაქნეული მამამისმა ძალდატანებით არ დაიყოლია. მის წინადადებას დაჰყვა თუ არა, იმავე დღით მამა-შვილი გზას გაუდგა. და იმ წუთებში, როცა ქალს ვესაუბრებოდი, ბარბარა უკვე ყასაბის მეუღლე იყო.

გამყიდველი რომ ამ ამბავს მიყვებოდა, აღარაფერი მესმოდა, გაქვავებულივით ერთ ადგილას ვიდექი მანამ, სანამ მაღაზიაში მოსულმა მუშტრებმა გვერდით არ გამწიეს და როცა ქალმა მკითხა, კიდევ ხომ არაფერი გაინტერესებთო, იქაურობას უჩუმრად გავეცალე.

შეგიძლიათ მერწმუნოთ, მოწყალეო ბატონო, — განაგრძო თხრობა, — იმ დროს ამქვეყნად ჩემზე უუბედურეს კაცად არავინ მიმაჩნდა. პირველ წამებში ასეც იყო, მაგრამ, როცა მაღაზიიდან გამოვედი, ცოტა ხნით შევბრუნდი და თვალი მოვაავლე პატარა ფანჯრებს, საიდანაც ბარბარა ქუჩას გადაჰყურებდა ხოლმე, უცებ სულიერი სიმშვიდე დამეუფლა: იმდენი საზრუნავი რომ აღარ ექნებოდა, საკუთარ ოჯახს გაუძღვებოდა, მთელი ცხოვრების მანძილზე უქონელ და უსახლკარო ადამიანზე არ იქნებოდა მიჯაჭვული და მასთან მწუხარებასა და გაჭირვებას არ გაინაწილებდა, — მარტო ამის გაფიქრება გულზე მაღამოდ მედებოდა და გულმხურვალედ ვლოცავდი ბარბარას და მის მიერ არჩეულ გზას.

ვინაიდან საქმეები დღითი დღე უკან-უკან მიდიოდა, გადავ-

წყვიტე, მუსიკით საარსებო წყარო მეძია; სანამ ფული მეპო-
ვებოდა, ვსწავლობდი, ვიზებირებდი და ვიწერდი გამოჩენილი
ოსტატების ნაწარმოებებს, განსაკუთრებით ძველი ოსტატების
• შედეგებს; როცა უკანასკნელი გროშიც გამომელია, ვცადე,
მუსიკალური ცოდნა-განათლებიდან რაიმე გამომედნო; პირვე-
ლად ამის საბაბი ჩემივე დიასახლისის ბინაზე მომეცა, სადაც
მცირეოდენმა სტუმრებმა მოიყარეს თავი. რაკილა ჩემ მიერ
შესრულებულ ნაწარმოებებს წარმტება არ ხვდა წილად, მაშინ
ეზოებში გადავინაცვლე და მრავალრიცხოვან მცხოვრებთათვის
- ვუკრავდი, რომელთა შორის მართლა მოიძებნებოდა კლასიკური
მუსიკის დამფასებლები, და ბოლოს, დიდ სიამოვნებას მგვრიდა
საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე გამოჩენა, რადგან ზოგი
გამვლელი შეჩერდებოდა, მოისმენდა, ამბავს გამომკითხავდა,
თანაგრძნობას გამოხატავდა და გზას განაგრძობდა. ფულს რომ
მაძლევდნენ, სრულებითაც არ ვთაკილობდი. ბოლოს და ბოლოს
ჩემი მიზანიც ხომ სწორედ ეს იყო! სახელმოხვეჭილ ვირტუ-
ოზებთან შედარება ოცნებაში რომ არ შემეძლო, ხომ ვხედავდი,
თავიანთ გამოსვლებში საკმაოდ დიდ გასამრჯელოს რომ იღებ-
დნენ. ასე ღარიბულად, მაგრამ პატიოსნურად მოვალწიე ამ
დღემდე.

რამდენიმე წლის შემდეგ ბედმა ერთხელ კიდევ გამიღიმა.
მოულოდნელად ბარბარა მესტუმრა. მის ქმარს დიდძალი ფუ-
ლი ეშოვნა და ქალაქის გარეუბანში საკუთარი საყასბო გაეხს-
ნა. ბარბარა ორი შვილის დედა გამხდარიყო; უფროსისთვის
ჩემი სახელი — იაკობი დაერქმია. პროფესია და მოგონებანი
გარდასულ დროზე იმის უფლებას არ მაძლევდა, ვინმეს რაიმეს
შევხვეწნოდი; ბოლოს, თვითონ დამპატიყეს ბინაზე და მთხო-
ვეს, უფროსი შვილისთვის ვიოლინოზე დაკვრა მესწავლებინა.
მცირე ნიჭის პატრონს მხოლოდ კვირაობით შეეძლო მეცადინე-
ობა, რადგან დანარჩენ დღეებში მამას ეხმარებოდა, მაგრამ

ბარბარას სიმღერა ჩინებულად გამოუდიოდა. სწავლისა და ვარჯიშობისას ხშირად დედაც აპყვებოდა და ღიღინებდა ხოლმე. ამდენი ხნის განმავლობაში ქალი ძალზე შეცვლილიყო, ჩათქვირებულიყო და ძველებურად მუსიკა აღარ ანაღვლებდა, მაგრამ ის სიმღერა ისევე დიდებულად უღერდა, როგორც, მაშინ.

თხრობა დაამთავრა თუ არა, მოხუცმა ხელი სტაცა ვიოლინოს და ის სიმღერა ააუღერა; თავდავიწყებით უკრავდა და უკრავდა, ყურადღება აღარც მოუქცევია. ბოლოს და ბოლოს, როცა ძალიან მომწყინდა, ავდექი, რამდენიმე ვერცხლის ფული მაგიდაზე დავდე და ოთახიდან გამოვედი, მოხუცი კი გატაცებით განაგრძობდა დაკვრას.

ამის მერე დიდხანს ვმოგზაურობდი და შინ მხოლოდ ზამთრის დასაწყისში დავბრუნდი. ახალმა შთაბეჭდილებამ ძველი სულ მთლად გადამავიწყა და ჩემი მუსიკოსიც მეხსიერებიდან ამომიგდო. მაშინლა გამახსენდა, როცა ადრეულ გაზაფხულზე თოვლისა და ყინულის არაბუნებრივი დნობა დაიწყო და არნახულმა წყალდიდობამ ქალაქის გარეუბნების დაცემული ვაკობი დატბორა. გერტნერგასეს მიდამოები ჭაობებად იქცა. რადგან მოხუცი მუსიკოსი სხვენზე ცხოვრობდა და არსაიდან საფრთხე არ ემუქრებოდა, ამიტომ ზედმეტი გარჯაც არ ღირდა; ყველაზე დიდი ხიფათი ალბათ სარდაფების ბინადართ დაატყდა თავს და ურიცხვი მსხვერპლიც იქ იყო მოსალოდნელი, მაგრამ ყოველგვარ შემწეობას მოკლებულ მოხუცს, კაცმა არ იცის, რა უჭირდა. სანამ წყალდიდობა გრძელდებოდა, ბევრიც რომ მოგენდომებინათ, მაინც ვერაფერს გახდებოდი; რაც ძალა შესწევდა, ხელისუფლება ეხმარებოდა მოსახლეობას და მიწისგან მოწყვეტილთ სურსათ-სანოვაგეს ნავეებით აწვდიდა. როცა წყალი დაშრა და ქუჩებში სიარული შესაძლებელი გახდა, გადავწყვიტე, ნებაყოფილობით შეწირულებაში მცირეოდენი წვლილი მეც შემეტანა და იქითკენ გავწიე.

ლეოპოლდშტადტი საზარელი სანახავი იყო. ქუჩებში დამსხვრეული ნავეები და ავეჯეული ეყარა, სარდაფებში კი წყალი იდგა და ათასგვარი ხაბაკ-ხუბაკები დაცურავდა. როცა ზედახორასა და ჭყლეტას თავი დავალწიე, ანჯამებიდან ჩამოგდებულ და ბოძებს მიყუდებულ კარს მივაწყდი, იგი გაიღო და იქვე ახლოს აურაცხელი გვამი დავინახე, რომლებიც ხელისუფლების ორგანოებს, ეტყობა, იმიტომ ჩაემწკრივებინათ, ყველას თავისი მიცვალებული ეცნო. უპატრონო მკვდრებს ბინებშიც მიაკვლიეს. ზოგი ფანჯრის გისოსს ზეზეურად ჩაბლაუჭებოდა, იმდენი ადამიანი დამხრჩვალყო, სახელმწიფო მუშაკები ვერ აუდიოდნენ ურიცხვი ცხედარი კანონიერი წესით აღეწერათ.

უგუნებოდ მივაბიჯებდი. ყოველი მხრიდან ტირილი და გულის განმგმირავი კივილი მესმოდა. დედები დაკარგულ ბავშვებს ეძებდნენ. ბოლოს გერტნერგასეს მივადექი. მივხვდი, ხალხი დაკრძალვაზე რომ მოსულიყო, და შავოსანთა სახეებს შევაშტერდი, თუმცა იმ ბინიდან, რომელსაც ვეძებდი, ისე მომეჩვენა, პროცესია ცოტა მოშორებით ჩანდა. მივუახლოვდი თუ არა, შევამჩნიე, საპროცესიო მზადებასა და დაკრძალვაში მონაწილე მოფუსფუსე ადამიანებს მებაღე ქალის ბინასთან რაღაცა რომ აკავშირებდათ. კართან დარბაისლური შესახედაობის, ხნიერი, მაგრამ კარგად შენახული მამაკაცი იდგა. მაღალყელიან ჩექმებში, ყვითელი ტყავის შარვალსა და ათრეულ სერთუკში გამოწყობილი ახმახი, რომელიც სოფლის ყასაბს მიაგავდა, გარშემო მყოფთ საკმაოდ გულგრილად ესაუბრებოდა და განკარგულებებს იძლეოდა. გვერდით ჩავუარე და ეზოში შევედი. მოხუცმა მებაღე ქალმა მაშინვე მიცნო, მომეგება და თვალცრემლიანი მომესალმა.

— თქვენც დაგვდეთ პატივი? — თქვა მან. — დიახ, ჩვენი საბრალო მოხუცი ახლა ციურ ანგელოზებთან ერთად უკრავს, რომლებსაც სიკეთის ქმნაში ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა.


ის სულმნათი ადამიანი იმ დღესაც უღარდელად თავის ოთახში იჯდა. წყალმა რომ იმატა და იმატა და უცებ პატარების ყვირილი შემოესმა, მაღლიდანვე გადაეშვა, აქეთ ეცა, იქით ეცა და იცით, სანამ სამჭედლოს საბერველივით არ აქოშინდა, რამდენი ბავშვი გადაარჩინა დახრჩობას და სიკვდილს ხელიდან გამოსტაცა? ამასთანავე, ადამიანი ყველაფერს ხომ ვერ მიაღვენებთვალს; ჩემს ქმარს კედელში ჩატანებულ კარადაში საანგარიშო დავთრები და რამდენიმე ქალაქის გულდენი ჩარჩენია; მოხუცმა ნაჯახი მოიმარჯვა და თუმცა წყალი მკერდამდე წვდებოდა, კარადა გატეხა და ყველაფერი უკლებლივ მოგვიტანა. გაცივდებოდა, აბა რა დაემართებოდა! პირველ ხანებში ვერაფრით დავეხმარეთ. მერე და მერე, როცა ჯანმრთელობა თანდათან გაუუარესდა და ბოდვა დაიწყო, არაფერი დაგვიზოგავს, სულ თავზე ვადექით და იმაზე მეტად ვიტანჯებოდით. ის კი გაუთავებლივ უკრავდა და უკრავდა, ტუჩებით ტაქტს ითვლიდა და შენეშვნებს იძლეოდა. როცა წყალმა ცოტა დაიწია და დალაქისა და მღვდლის მოყვანა მოხერხდა, მოხუცი მოულოდნელად საწოლზე წამოჯდა, თავი უცნაურად გადააქნია და ყურები იმგვრად დაცქვიტა, თითქოს საიდანღაც სასიამოვნო ხმა მოესმაო, ერთი გაიღიმა, ბალიშზე დაეშვა და სული განუტევა. წამობრძანდით ზევით. სხვათა შორის, მოხუცი ხშირად გიგონებდათ. ქალბატონიც იქ გახლავთ. გვსურდა, მიცვალებული ჩვენ დაგვესაფლავებინა, მაგრამ ქალბატონმა ყასბის მეუღლემ იუარა და ნება არ დაგვრთო.

ქალმა ხელი მიბიძგა და სხვენში ამაველ ციცაბო კიბეზე მიმანიშნა; ოთახის კარი ღია იყო; იქაურობა სულ მთლად დაეცარიელებინათ და შუაგულში მიცვალებული დაესვენებინათ; კუბო თავდახურული იყო; სადაცაა მეზარგულებიც გამოჩნდებოდნენ. სასთუმალთან საკმაოდ ფაშფაშა ქალი იჯდა, რომელსაც ნახევარი ცხოვრების გზა გაელია, ჭრელი ჩიფის ტოლომა

წამოესხა, თალხი ყელსახვევი შემოეხვია და ჩაჩხეც შავი ბაფთი ეკეთა. ისე გამოიყურებოდა, შეუძლებელია, ოდესმე ლამაზი ყოფილიყო. მის წინ ბიჭი და გოგო იდგნენ; დედა მოზარდებს უხსნიდა, როგორ მოქცეულიყვნენ დაკრძალვისას. ოთახში რომ შევედი, სწორედ იმ დროს დედამ მუჯლუგუნი წაჰკრა ბიჭს, რომელიც კუბოს ძალზე უხერხულად დაყრდნობოდა; მერე ჩამოცურებული გადასაფარებელი გულმოდგინედ გაასწორა. მებაღე ქალი წინ გამიძღვა; ქვემოთ სასულე ორკესტრანტებმა რომ ჩაჰბერეს, იმავდროულად ყასბის ხმამაც ამოაღწია: „ბარბარა, უკვე დროა!“ მებარგულებიც მოვიდნენ; მათთვის რომ გზა მიმეცა, გვერდით მივდექი. კუბო ასწიეს, ეზოში ჩაიტანეს და სამგლოვიარო პროცესიაც დაიძრა. მოწათვეები ჯვრითა და ბაირალით კუბოს წინ მიუძღოდნენ, მღვდელი კი თავისი საკრებულოთი მიჰყვებოდა. უკან ყასბის შვილები და ცოლქმარი მიაბიჯებდნენ. ქმარი, თითქოს ლოცულობსო, გაუთავებლივ ტუჩებს აცმაცუნებდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა. ცოლი მონდომებით კითხულობდა ლოცვანს, მაგრამ შიგადაშიგ ბავშვები აწყვეტინებდნენ, რადგან ხან წინ უბიძგებდა, ხან აჩერებდა. ეტყობოდა, დასაფლავების წეს-ჩვეულება გულთან ერთობ ახლოს მიჰქონდა. ამიტომ კვლავ ლოცვანს უბრუნდებოდა. პროცესიამ სასაფლაოს მიაღწია. სამარე გათხრილი იყო. თითო მუჭა მიწა პირველად მორბელებმა მიაყარეს. კაცმაც იგივე მოიმოქმედა. ქალმა კი დაიჩოქა და წიგნი თვალებთან მიიტანა. მესაფლავებმა თავიანთი საქმე მოათავეს და განახევრებული პროცესია უკან გაბრუნდა. კარებთან პატარა აყალმაყალი ატყდა, რადგან ჩანდა, ქალმა მესაფლავების მოთხოვნა იძვირა. დაკრძალვაზე მოსული ხალხი სწრაფად მიმოიფანტა. ასე მიაბარეს მოხუცი მუსიკოსი მიწას.

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ კვირა-უქმეს, ჩემი ფსიქოლოგიური ცნობისმოყვარეობა რომ დამეკმაყოფილებინა, ყას-

ბის ბინისკენ გავეშურე; რომ ვერაფერი მოვიმიზეზე, ისღა მოვიფიქრე, სამახსოვროდ მოხუცის ვიოლინო მეტხოვა. ოჯახის წევრები შინ იყვნენ და მწუხარების კვალი არც ემჩნეოდათ. ერთი კია, ვიოლინო ჯვარცმის პირდაპირ კედელზე სარკის გვერდით სიმეტრიულად დაეკიდათ. როცა სტუმრობის მიზანი და სურვილი მოვახსენე და ვიოლინოში საკმაოდ დიდი თანხაც შევთავაზე, ქმარს ამ სარფიან გარიგებაზე კრინტიც არ დაუძრავს, მაგრამ ცოლი სკამიდან წამოიჭრა და მითხრა: „არაფრის გულისთვის! ეს ვიოლინო ჩვენი იაკობისაა, რამდენიმე გულდენი კი, ცოტა იქნება თუ ბევრი, ბოლოს და ბოლოს არ გაგვამდიდრებს!“ ესა თქვა, კედლიდან მტვრიანი ვიოლინო ჩამოიღო, ყოველი მხრიდან შეათვალიერა, სული შეუბერა, ბუდეში ჩადო და თითქოს ქურდებს უფრთხისო, გასაღებით ჩაკეტა. არც ადრე და არც მაშინ სახეზე არ შემიხედავს. ამ დროს მოახლემ ოთახში ქვებით წვნიანი შემოიტანა; ყასაბმა ყურადღება არც მომაქცია, ხმამალლა სადილისწინა ლოცვა წამოიწყო, მალე ბავშვებმაც თავიანთი წკრიალა ხმა შეუერთეს, მე კი, შეგარგოთმეთქი, ვუთხარი და გასასვლელისკენ გავემართე. ანაზდად ქალს თვალი შევაავლე. იგი უცებ შემოტრიალდა და შევამჩნიე, თვალთაგან ლაპალუპით წამოსული ცრემლები როგორ ჩამოსდიოდა ლოყებზე.



სიტყვა ბეთქოვენის საფლავზე

რადგანაც განსვენებულის საფლავთან ვდგავართ, გერმანიის ერთიანი ხალხის წარმომადგენელნიც ვართ ამჟამად; ვგლოვობთ მის ნაწილს, მის სისხლსა და ხორცს, რომელიც ჩვენთვის მარად დარჩება მშობლიური ხელოვნების ბრწყინვალე-ბად და სამშობლოს სულის გამჟღავნებად. ახლაც ცოცხალია იგი და დაე მომავალშიც დიდხანს იარსებოს გერმანულ ენასა და კილოზე შექმნილი სიმღერების ტიტანმა! მჟღერხმიანი სიმღერის უკანასკნელი დიდოსტატი, მუსიკალური ხელოვნების ჯადოქარი, ჰენდელისა და ბახის, ჰაიდნისა და მოცარტის მემკვიდრეობის გამგრძელებელი, მათი მარადიული დიდების მღა-ლადებელ-განმავრცობელი განსრულდა და აცრემლებულნი ვდგავართ ახლა დადუმებული საკრავის დამსხვრეულ სიმებთან.

დადუმებული საკრავისა-მეთქი! ნება მიბოძეთ ასე ვუწოდო მას! რადგან ხელოვანი იყო იგი და მხოლოდ ხელოვნებით ნასულდგმულები. ცხოვრების უკუღმართობამ მძიმე დაღი და-ასვა და როგორც გემდამსხვრეული მგზავრი ნაპირისაკენ მიილ-ტვის, ასე აღმოჩნდა შენს მკლავებში, კეთილისა და ჭეშმარი-ტების სადარო დიდებულო დაო, ჩვენთა ვნებათა დამყუჩებე-ლო, ზეგარდმომომნიჭებელო ხელოვნებაე! შემოგეკედლა და ვიდრე კარიბჭე დაგმანული ჰქონდა, თვით შენ იყავ მასში და შენ საუბრობდი მასთან. როცა სმენასთან ერთად სინათლაც დაკარგა, შენი იერი მარად გულით დაჰქონდა, მოკვდა და მკერდს შერჩა მაინც სახება შენი.

ნამდვილი ხელოვანი იყო. ვინ შეიძლება გვერდით ამოვუ-ყენოთ? მითიური არსება ზღვის ტალღებს რომ მიაპობს, ისე გადალახა მან ხელოვნების სამანები: მტრედის ღულუნი ჭეჭა-

ქუხილამდე, ძიებითა და უინიანობით მიგნებული მუსიკალური ხლართებიდან შემზარავ ტონალობამდე, სადაც შექმნილი ბუნებრივად ერწყმის სამყაროს ძალთა უწყესიერო თვითნებობასა და სიხალისეს. ყველაფერს ჩასწვდა, უკლებლივ ყველაფერი მოიცვა. ვინც შემდეგ მოვა, ის ვერ განაგრძობს, მან თავიდან უნდა დაიწყოს, რადგან მისმა წინამორბედმა დაამთავრა იქ, სადაც ხელოვნება თავდება. ადელაიდე და ლეონორე! ვიტორიის გმირთა ზეიმი! წირვის ღვთაებრივი გალობა! სამი და ოთხხმიანი პირმშონი! მგრგვინავი სიმფონია! „ღვთივ კურთხეული ნეტარების ნაპერწკლის“ გედის სიმღერავ! საგალობელთა და სიმებიან საკრავთა მუზავ! გარს შემოერთყით და დაფნები მიმოაბნით მის საფლაგზე.

ის ხელოვანი იყო, მაგრამ ამავე დროს ადამიანიც. ადამიანი! — ამ სიტყვის უსრულქმნილესი მნიშვნელობით. სამყაროს გაერიყა — უხიაგად მონათლეს, გრძნობას არ აპყვა — უგრძნობელობა დასწამეს: მაგრამ ვინც მძლავრია, ის არც განელტვის სიძნელეებს! ასეა სწორედ: გრძნობამოჭარბებული გაურბის მოზღვავებულ გრძნობას. ქვეყანას გაემიჯნა, რადგან თავის სულის სიღრმეში ვერ ჰპოვა იარაღი, რითაც წინ აღუდგებოდა მას. ადამიანებს გაეთიშა, რათა მათთვის ყველაფერი მიეცა, თვით კი არაფერი მიეღო მათგან. შესაფერისი ჯუფთის უპოვნელი, მარად კენტად დარჩა, მაგრამ სიკვდილამდე შემოინახა ყველასადმი ადამიანური გული, მოყვასთა მშობლიურობა და ერთიანი სამყაროს მადლი და სიკეთე.

ასეთი იყო, ასეთად მოკვდა, ამნაირად იარსებებს ყველა დროში.

დაიყუჩეთ ტკივილები, ვინც მას სამუდამოდ ეთხოვებით. თქვენ კი არ დაგიკარგავთ იგი, არამედ ახლა მიაგენით. ოდეს ჩვენი სიცოცხლის კარი სამუდამოდ ირაზება, ტაძრის კარიბჭეზე უკვდავებაც აღიბეჭდება ხოლმე. ის იქ არის სამარადუდამოდ,

ყველა დროის თავკაცთა გვერდით, უკვე დამცხრალი, გამოეთხო-
ვეთ დამწუხრებულნი, მაგრამ მისი საფლავიდან წადით დამწვი-
ლებულნი. და თუ ოდესმე ცხოვრებაში მის ქმნილებათა ძლი-
ერება მოვარდნილი ქარიშხალივით შეგაზანზარებთ, როცა
თქვენი ცრემლები დაეცემიან ჯერ კიდევ გაუჩენელ მოდგმას,
მაშინ მოიგონებდეთ ამ დროს და მარად გახსოვდეთ: რაჟამს
მიიცვალა, მწარედ ვტიროდით და როს დაკრძალეს, ჩვენც ვეს-
წრებოდით.

კლარა ვიკი და ბეთჰოვენი

უებრო კაცმა, ამა ქვეყნად ფუჭ ცხოვრებით მოყირჭებულმა, თვის ჯადოქმნილი საგანძური განრისხებით ჩაკეტა უმაღლ საღ კლდესავით მიუვალ და ანდამატივით-უმაგრეს სკივრში, გასაღები მოისროლა უძირო ზღვაში და აღესრულა.

ქონდრისკაცები ირჯებიან განუკითხავად, მაგრამ ამოდ! ვერაფერი მოარგეს საკეტს!

და ჯადოქრებს ზანდუკსა შიგან სძინავთ, ვით ოსტატს.

აღევებულ ზღვის ნაპირას მოთამაშე ასული ერთი

გაკვირვებული აკვირდება გამალებულ მათ ნადირობას.

დაუფიქრებლად, ქალიშვილთ რომ-სჩვევიათ ხოლმე,

თეთრ თითებს ჩაყოფს აქაფებულ ტალღებში ზღვისა

და უცაბედად ხელთ ჩაიგდებს იმ გასაღებს გახარებული!

აღელვებულ წამოხტება, ბაგაბუგი გააქვს გულს მისას,

თვალანთებულს და სხივოსანს სკივრიც თითქოს მისჩერებოდეს.

გასაღები მოერგო უცებ და სახურავიც აეხადა.

ჯადო სულები ამოიჭრნენ და მორჩილად თავი დახარეს.

ულამაზესმა და უმანკო ზვიადმა ქალმა, მომხიბლავი,

თეთრი თითებით, მთვლემარე სულნი ჯადოქრულად აათამაშა.

უ ე ნ ი უ ვ ნ ე ბ ი

გვ. 15. ს ა ნ დ ო მ ი რ ი — გავრცელებული სახელწოდებაა პოლონეთის ერთ-ერთი უძველესი და ლამაზი ქალაქის სანდომეჟისა (Sandomierz), რომელიც მდინარე ვისლის მარცხენა ნაპირზეა გაშენებული და XX საუკუნემდე ძლიერ ციხესიმაგრედ ითვლებოდა.

გვ. 16. ი ა ნ ს ო ბ ე ს კ ი (1629—1696) — პოლონეთის მეფე (1674—1696). ნიჭიერმა მხედართმთავარმა და შორსმჭვრეტელმა დიპლომატმა რამდენჯერმე მწარე დამარცხება აგემა თურქებს. 1686 წელს მოსკოვთან დადო „საუკუნო ზავი“.

გვ. 26. პ ლ ო ც კ ი — ვისლაზე აგებული პოლონეთის ქალაქი (Plock).

გვ. 28. მ ა ლ ტ ი ს ო რ დ ე ნ ი ს რ ა ი ნ დ ი — სასულიერო სარაიონდო ორდენი, რომელიც მისი დამაარსებლის — წმინდა იოჰანესის სახელითაც არის ცნობილი. ეს ორდენი რომის პაპმა ოფიციალურად დაამტკიცა 1113 წელს. მას შემდეგ მთელ ევროპაში გავრცელდა. 1526 წელს კუნძულ მალტაზე „სადვთო რომის იმპერიის“ იმპერატორს კარლოს მეხუთეს (1500—1558) რაინდებმა საზეიმოდ შეჰფიცეს, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ და დაიცავდნენ ხმელთაშუა ზღვასა და მის სანაპიროებს თურქ და აფრიკელ მეკობრეთა თავდასხმებისაგან.

გვ. 58. პ რ ე ლ ა ტ ი — (ლათ. praelatus) ეკლ. უმაღლესი სასულიერო პირის წოდება კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიაში.

გვ. 60. ლ ე ო პ ო ლ დ შ ტ ა დ ტ ი — მაშინდელი ვენის ერთ-ერთი ოლქი, რომელიც მდინარე დუნაის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. ვენის მცხოვრებთა მთავარი სავაჭრო ცენტრი.

გვ. 60. ა უ გ ა რ ტ ე ნ ი — ლეოპოლდშტადტში გაშენებული დიდი ბაღი.

გვ. 60. პ რ ა ტ ე რ ი — პატარა კუნძული, რომელიც პარკის სილამაზით განთქმულია მთელ მსოფლიოში. იგი ვენელთა ყველაზე მყუდრო, დასასვენებელი, თავშესაქცევი და სასეირნო ადგილია.

გვ. 60. ბ რ ი გ ი ტ ე ნ ა უ — ვენის ჩრდილოეთით მდებარე გარეუბანი. წმინდა ბრიგიტეს დღესასწაულს კათოლიკური ეკლესია ყოველწლიურად აღნიშნავს 8 ოქტომბერს.

გვ. 60. ს ა ტ უ რ ნ ა ლ ი ე ბ ი — (ლათ). Saturnalia — ნათესების ძველიტალიელთა ღმერთის — სატურნუსის პატივსაცემად გამართული დღესასწაულები ძველ რომში, რომლის სახელთანაც დაკავშირებული თანასწორუფლებიანობა, მშვიდობა, კაცთმოყვარეობა, ბარაქა, დოვლათი, საერთო-სახალხო მხიარულება.

გვ. 62. Status quo — (ლათ.) გარკვეული დროის განმავლობაში მდგრადი, უცვლელი მდგომარეობა. მწერალს აქ კონკრეტულად მხედველობაში აქვს ავსტრიის რთული პოლიტიკური ვითარება 1848 წლის მარტამდელ რევოლუციამდე.

გვ. 62. Pays de cocagne — (ფრანგ.) — ზღაპრული ქვეყანა.

გვ. 63. პ ლ უ ტ ა რ ქ ე (46—125) — ბერძენი ფილოსოფოსი, მწერალი-მორალისტი.

გვ. 63. ჯ უ ლ ი ე ტ ა, დ ი დ ო ნ ა, მ ე დ ე ა — მსოფლიოს კლასიკოსთა ნაწარმოებების (იგულისხმება შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, ვერგილიუსის „ენეიდა“, ევრიპიდეს „მედეა“ და თვით გრილპარცერის „ოქროს საწმისი“) მთავარი პერსონაჟები.

გვ. 65. Sunt certi denique fines — (ლათ.) „ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს“ (ნაწყვეტი ჰორაციუსის ლექსიდან).

გვ. 77. Loqueris latine? — (ლათ.) ლაპარაკობ ლათინურად?

გვ. 79. Gachinnum — (ლათ.) სიცილი, ხარხარი.

გვ. 80. Ce gueux — (ფრანგ.) დავრდომილი, მათხოვარი.

გვ. 84. Nota sensibilis — (ლათ.) მთრთოლვარე, ამაღელვებელი, გულისმაჩუყებელი შემავეალი ტონი.

გვ. 84. fuga — (ლათ.) ფუგა.

გვ. 84. punctum contra punctum — (ლათ.) კონტრაპუნქტი (პოლიფონია).

გვ. 84. canon a due, a tre — (იტალ). ორი და სამხმოვანი კანონი.

გვ. 97. გ უ ლ დ ე ნ ი — ოქროს (XVII საუკუნიდან ვერცხლის) ფული გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ავსტრო-უნგრეთში მიმოქცევაში იყო 1892 წლის ფულის რეფორმამდე.

გვ. 114. ლ ე ო პ ო ლ დ შ ტ ა დ ტ ი ს ა ზ ა რ ე ლ ი ს ა ნ ა ხ ა ვ ი ი ყ ო — ქალაქ ლეოპოლდშტადტში მომხდარი არნახული წყალდიდობა ისტორიული ფაქტია. ეს უბედურება იქაურ მცხოვრებლებს თავს დაატყდათ

1830 წლის 1 მარტს, ღამით. ამ საშინელმა ამბავმა შესძრა მგრძნობიარე მწერალი და უბიძგა ეს შესანიშნავი ნოველა დაეწერა თუნდაც დიდი მოგვიანებით.

გვ. 120. ...1800 წლის ზაფხული ბეთჰოვენმა ავსტრიის პატარა და მყუდრო სოფელ უნტერდიობლინგში გაატარა. აქ ნახა მან პირველად სააგარაკოდ ჩამოსული, მეზობლად მცხოვრები ცხრა წლის ფრანც გრილპარცერი (რა თქმა უნდა, 30 წლის კომპოზიტორი მაშინ ვერც წარმოიდგენდა, რომ მომავალი პოეტი და დრამატურგი მისი გარდაცვალების გამო სამგლოვიარო სიტყვას დაწერდა). გავიდა ხანი. დიდი კომპოზიტორი და უკვე აღიარებული დრამატურგი შემოქმედებამ ერთმანეთთან დაახლოვდა-დაამეგობრა.

...1827 წლის 26 მარტს ვენაში გადაუღებლად თოვდა და ქარბორბალა ტრიალებდა. დაუძლურებული ბეთჰოვენი საწოლში წამოჯდა, ვილაცას ღონივრად მუშტი მოუღერა, დაემუქრა, შემდეგ ღონემიხდილი მიწვა და საბოლოოდ მიიძინა.

29 მარტს გამოიღარა. მზემაც გამოაჭყიტა, ბეთჰოვენის დაკრძალვას ოცი ათასამდე კაცი დაესწრო. ეკლესიამ და პოლიციამ სიტყვის თქმა უკლებლივ ყველას აუკრძალა, მაგრამ სასაფლაოს კარიბჭესთან, სადაც უკვდავ კომპოზიტორს მის მიერვე ოთხი ტრომბონისათვის დაწერილი სამგლოვიარო მუსიკა მიაცილებდა, იმდროინდელმა ცნობილმა მსახიობმა ჰ. ანში-უტცმა შთამაგონებლად წარმოთქვა ფ. გრილპარცერის გამოსათხოვარი სიტყვა.

გვ. 123. ერთი ათეული წელი საკმარისი აღმოჩნდა დიდი კომპოზიტორის დასავიწყებლად. სწორედ ამ დროს ვენაში ჩამოდის მე-19 საუკუნის უგამორჩეულესი პიანისტი, რობერტ შუმანის მომავალი მეუღლე — კლარა ვიკი. 1838 წლის 7 იანვარს 19 წლის პიანისტმა პირველად შეასრულა ბეთჰოვენის „აპასიონატა“. მისი ვირტუოზობით მოხიბლულმა და აღფრთოვანებულმა გრილპარცერმა იმ საღამოსვე დაწერა ლექსი და ახალგაზრდა ხელოვანს დიდი მოწიწებით მიართვა. პიანისტის მამამ ჟურნალ „ვინერ ცაიტ-შრიფტს“ გადაუგზავნა, სადაც 9 იანვარს გამოქვეყნდა კიდევ. მიძღვნა მალე სხვა ჟურნალ-გაზეთებმაც გადაბეჭდეს. ლექსი მაშინვე იტალიურად ითარგმნა და მუსიკაც დაიწერა. შუმანმა ერთ-ერთ წერილში კლარა ვიკს მისწერა: ყველაზე შესანიშნავი მაინც ეს ლექსი იქნება, რაც კი ოდესმე თქვენზე დაიწერებო.

შინაარსი

წინასიტყვაობა — ვიქტორ კახენიაშვილისა	5
სანდომიჩის მონასტერი	21
საბრალლო მუსიკოსი	59
სიტყვა ბეთჰოვენის საფლავზე	119
კლარა ვიკი და ბეთჰოვენი	123
შენიშვნები	124